



საბჭოთა სამართალი

№ 1

იანვარი—თებერვალი
1960 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

83*

0908

მშენიშვნისმოყვარეობის დიადი აქტი	3
საქართველოს კომპარტიის XX ყრილობა	5
გ. ი ნ წ კ ი რ ვ ე ლ ი —სამართლებრივი ურთიერთობის ცნების საკითხისათვის	7
გ. ტყეშელაძე—შენადგენი, დენადი და განგრძობითი დანაშაული	13
ბ. სალუქვაძე—ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე	21
ს. ქაჯაია, ზ. მეხენგისერი—ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა ახალი ამოცანების დონეზე	25
ს. ნ ა ნ ი ტ ა შ ვ ი ლ ი —საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით	30
ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის მასალები	33

ქართული იურიდიული ტერმინოლოგიისათვის

გ. ახვლედიანი—ზოგიერთი შენიშვნა „ლექსიკონის“ გამოქვეყნებულ მასალაზე	41
ა. გელვაანი—ცალკეული იურიდიული ტერმინების დაზუსტებისათვის	42

წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

ბ. ფურცხვანიძე—რამდენიმე შენიშვნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ	47
თ. ცაგურიანი—შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტისათვის	52
ზ. ნ ა რ ი მ ა ნ ო ვ ი —მუშა-მოსამსახურეთა გარანტიების გაფართოებისა და ცალკეული ნორმების დაზუსტებისათვის	55

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ი ო ნ ლ ე ქ შ ა ს ი — მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში	59
დ. ცინცაძე—ნაშრომი პირადი საკუთრების უფლების შესახებ	67

ნარკვევნი

შ. ესეიტაშვილი—სვერის საიდუმლოება	69
---	----

სასამართლო პრაქტიკა	76
იურიდიული ყურნალების ფურცლებზე	79
ინფორმაცია	81
კაპიტალისტურ ქვეყნებში	84
ქრონიკა	85
იუმორის კუთხე	86



СОДЕРЖАНИЕ

стр.

Великий акт миролюбия	3
XX съезд компартии Грузии	5
Г. Ницкирвели—к вопросу о понятии провооотношения	7
Г. Ткешеладзе—Составное, длительно и продолжаемое преступление	13
Б.Салуквадзе—Добровольные народные дружины на страже общественного порядка	21
С. Каджая, З. Месенгисери—Деятельность товарищеских судов—на уровень новых задач	25
С. Наниташвили—С помощью всей общественности	30
Материалы Грузинской Юридической терминологии	33

К ВОПРОСУ ГРУЗИНСКОЙ ЮРИДИЧЕСКОЙ ТЕРМИНОЛОГИИ

Г. Ахвледиани—Некоторые замечания к опубликованным материалам „Словаря“	41
А. Геловани—К уточнению отдельных юридических терминов	42

ПРЕДЛОЖЕНИЯ ПО НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Б. Пурцхванидзе—Некоторые замечания к проекту уголовного кодекса грузинской ССР	47
Т. Цагурия—К проекту основ трудового законодательства	52
З. Нариманов—К расширению гарантии рабочих и служащих и уточнению отдельных норм	55

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Нон Лекшас—Причинная связь в уголовном праве	59
Д. Цицадзе—Труд о праве личной собственности	67

О Ч Е Р К

Ш. Эсенташвили—Тайна Сверх	69
Судебная практика	76
На страницах юридических журналов	74
Информация	81
В капиталистических странах	84
Хроника	85
Уголок юмора	86

მშვიდობისმოყვარეობის დიადი აქტი

1960 წლის დასაწყისივე აღინიშნა სასიხარულო, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენით. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ინიციატივით ჩვენი ქვეყნის პარლამენტმა — სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ განახორციელა მშვიდობისმოყვარეობისა და ჰუმანიზმის დიადი აქტი, მიიღო კანონი საბჭოთა შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ. უმაღლესმა საბჭომ ამასთან დაკავშირებით მოწოდებით მიმართა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მთავრობებსა და პარლამენტებს.

არასოდეს არცერთ მთავრობასა და პარლამენტს არ გადაუდგია ესოდენ გაბედული და ბრძნული ნაბიჯი განიარაღების დარგში. ეს შესძლო მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანამ, მთელს მსოფლიოში მშვიდობის მედროშემ — სსრ კავშირმა, რომელიც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ურყევად ხელმძღვანელობს დიდი ლენინის იმ მითითებით, რომ „სოციალიზმის იდეალი ეს არის განიარაღება“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ამომწურავად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები საბჭოთა მთავრობის თანმიმდევრული ბოძოლა მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის, მისი დაუცხრომელი ზრუნვა იმისათვის, რომ პრაქტიკულად განახორციელოს თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური და უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემა — საყოველთაო და სრული განიარაღება. „ჩვენ თანახმა ვართ შემციროთ ჩვენი შეიარაღებული ძალები, — განაცხადა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, — იმიტომ, რომ არა გვსურს ომი, იმიტომ, რომ არავისზე არ ვაპირებთ თავდასხმას, არა გვსურს ვისმეს დავემუქროთ და არა გვაქვს არავითარი დამპყრობლური მიზნები“.

მშვიდობის დიადი კანონი უწოდა მსოფლიოს პროგრესულმა კაცობრიობამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ისტორიულ გადაწყვეტილებებს. კანონი საბჭოთა შეიარაღებული ძალების 1.200 ათასი კაციით შემცირების შესახებ უდიდეს ზეგავლენას ახდენს ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანთა შეგნებაზე, ამჟიბროვებს და განამტკიცებს მშვიდობის მომხრეთა ძალებს, დამანგრეველად მოქმედებს „ცივი ომისა“ და „ომის ზღვარზე“. ბალანსირების მოყვარულთა ისედაც შესუსტებულ პოზიციებზე.

საბჭოთა ხალხი, რომელიც უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ახალ ისტორიულ კანონს, სამართლიანად ამაყობს საბჭოთა მთავრობის კიდევ ერთი ინიციატივით, იმით, რომ ჩვენი ქვეყანა მშვიდობისათვის ბრძოლის სათავეში დგას და მთელ მსოფლიოს უჩვენებს მშვიდობისმოყვარეობისა და ჰუმანიზმის მაგალითებს. სესიის გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მეომრებიც, რომელთაც იგივე ინტერესები და მიზნები ამოძრავებთ, რაც მთელს ხალხს — ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის აშენება.

ახალი კანონის მიღება კიდევ ერთხელ ცხადყოფს საბჭოთა ეკონომიკის,

მეცნიერებისა და ტექნიკის არნახულ მიღწევებს, მის განუზომელ უპრობლემო ბუმს კაპიტალისტურთან შედარებით. სწორედ ამან განაპირობა ის, რა უპრობლემო შეიარაღებული ძალების ახალი შემცირება განხორციელდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის ზიანის მიუყენებლად. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ხალხის ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით საბჭოთა არმია აღჭურვილია ისეთი თანამედროვე იარაღითა და საშუალებებით, რომ მზად არის ყოველ წუთს პასუხი გასცეს გათავხედებულ აგრესორებს თუ ისინი გაბედავენ ხელყონ ჩვენი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება.

აგრესიული კაპიტალისტური წრეები, რომელთაც აშინებთ საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მიმზიდველი ძალა, ცდილობენ ყოველმხრივ შეამცირონ საბჭოთა მთავრობის ახალი ინიციატივის მნიშვნელობა. ამ მიზნის მისაღწევად სიცრუისა და თაღლითობის ყოველი ფორმაა გამოყენებული. მაგრამ ახლა, როცა უმაგალითოდ გაიზარდა საბჭოთა ქვეყნის ავტორიტეტი, მშვიდობის ძალები მთელ მსოფლიოში, შეუძლებელია ადვილად შეიყვანო შეცდომაში საზოგადოებრივი აზრი, სხვადასხვა მონაპორებით მოადუნო მათი სიფხიზლე.

კანონის მიღებასთან დაკავშირებით დიდი ამოცანები დგას ჩვენი იურიდიული ფრონტის წინაშე. იურისტი-მეცნიერები, სასამართლო-პროკურატურის მუშაკები მოვალენი არიან ღრმად და ყოველმხრივ განუმარტონ მოსახლეობას ამ კანონის მიღების ისტორიული მნიშვნელობა, გააცნონ მათ ლენინური საბჭოთა მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რასაც თანმიმდევრულად, უდიდესი სიმტკიცით ახორციელებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. აუცილებელია ამისათვის გამოყენებულ იქნას პროპაგანდის მრავალფეროვანი ფორმები: ლექციები და მოხსენებები, საუბრები და სტატიები, ანგარიშები ამომრჩეველებთან და შეხვედრები ცალკეულ საწარმოსა და დაწესებულებათა კოლექტივებთან.

როგორც ცნობილია, სულ მალე კანონის მიღების შემდეგ და მის საფუძველზე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ. ეს დადგენილება გამოხატულებაა იმ დიდი ზრუნვისა, რასაც ჩვენი პარტია და მთავრობა იჩენენ ყოფილი მეომრებისადმი.

პროკურატურის მუშაკები მოწოდებული არიან სისტემატურად ადევნონ თვალყური ამ დადგენილების განხორციელებას საწარმოს, დაწესებულებათა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების მხრივ. აუცილებელია ყოფილ მეომრებს ახალ კოლექტივებში ხვდებოდნენ დიდი სითბოთი და ყურადღებით. უქმნიდნენ მეგობრულ ატმოსფეროს, ეხმარებოდნენ ახალი სპეციალობის შეძენასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

საბჭოთა მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივა, ის მხურვალე მხარდაჭერა, რაც მან მიიღო მსოფლიოს ყველა ხალხებისაგან იმის მტკიცე გარანტიაა, რომ ნამდვილად შესაძლებელია განხორციელდეს სკკპ XX ყრილობაზე წამოყენებული და დასაბუთებული დებულება, ხალხების სანუკვარი ოცნება—სამუდამოდ გამოირიცხოს ომი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობა

ყრილობას, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია უფრო მტკიცედ იმუშაონ თავიანთი კადრების აღზრდასა და შემადგენლობის გაუმჯობესებაზე, გადაჭრით აღმოფხვრან ნაკლოვანებანი; მთავარი ყურადღება მიაქციონ პროფილაქტიკურ მუშაობას დამნაშავეობის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის რეზოლუციიდან.

26 იანვარს მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ. ყრილობა შეიკრიბა ჭეშმარიტად ისტორიულ მომენტში, როცა საბჭოთა საზოგადოება შევიდა თავისი განვითარების ახალ ეტაპში, როდესაც ჩვენი ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით პრაქტიკულად ახორციელებს კაცობრიობის საწუვარ ოცნებას — კომუნიზმის მშენებლობას.

რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უკანასკნელი წლების შედეგებმა — რომლებიც ასახული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მყავანაძის მოხსენებაში, — ყრილობის მთელმა მუშაობამ ცხადყო, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია — სკკპ ერთერთი უძველესი და სახელოვანი რაზმი — საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა იდეურად და ორგანიზაციულად, უფრო მჭიდროდ დარაზმა თავისი რიგები პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ყრილობამ შეაჯამა სკკპ XXI ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციისა და მშრომელთა სახელოვანი ბრძოლის პირველი შედეგები, დასახა ფართო ღონისძიებანი შვიდწლიანი გეგმით რესპუბლიკის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ღონის ამაღლების, პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებთან ერთად ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო საბჭოთა კანონიერების განმტკიცების, დანაშაულობებთან ბრძოლის საქმეში საზოგადოებრიობის როლის გაძლიერების, ახალი ამოცანების შესაბამისად სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების საქმიანობის გარდაქმნის საკითხებს.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა განხორციელებისათვის მიღებული ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკაში დამნაშავეობა შემცირდა.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. როგორც მიუთითებდა ყრილობაზე ამხანაგი



ვ. პ. მუხანაძე „სოციალიზმის სრული გამარჯვებით გამოწვეული ის დღმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, რომლებიც საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში მოხდა. და გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ამოცანები მოითხოვენ სოციალისტური კანონიერების შემდგომ სრულყოფასა და განმტკიცებას“.

ამ მხრივ კი გასაკეთებელი ბევრია. სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული სერიოზული ნაკლოვანებები. არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის მოთხოვნა ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების აღმოფხვრის შესახებ, არის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების არაოპერატიული და უხარისხო გამოძიებლსა და სასამართლო განხილვის ფაქტები.

სასამართლოსა და პროკურატურის ხელმძღვანელმა მუშაკებმა უნდა გააძლიერონ დახმარება ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოებისადმი, უფრო მეტად იზრუნონ საზოგადოებრიობის როლის ამაღლებისათვის დანაშაულობათა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობაზე საბჭოთა კანონიერების საკითხების ღრმა განხილვამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩვენი კანონმდებლობის განვითარების, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხები. მოქალაქეთა უფლებების დაცვა და საბჭოთა დემოკრატიის გაფართოება წარმოადგენს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, მისი ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ზრუნვის საგანს.

ეჭვი არ არის, რომ სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებმა წარმატებით შეასრულებენ ყრილობის სახელმძღვანელო მითითებებს, გააუმჯობესებენ თავიანთ მუშაობას. მიაღწევენ დანაშაულებრივ გამოვლინებათა აღმოფხვრას, სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

სამართლებრივი ურთიერთობის ცნების საკითხისათვის

დოც. ბ. ინჟირავლი

საზოგადოებრივი ცხოვრება რთული და მრავალფეროვანია. იგი ხასიათდება სხვადასხვა მხარეებითა და ურთიერთობებით, მაგრამ მათში მთავარი და განმსაზღვრელია ეკონომიური მხარე. წარმოებითი ურთიერთობანი — ადამიანთა ურთიერთობა წარმოების პროცესში.

გარდა წარმოებითი ანუ ეკონომიური ურთიერთობებისა საზოგადოებრივ ურთიერთობებს წარმოადგენენ აგრეთვე იდეოლოგიური ურთიერთობანი. წარმოებითი ურთიერთობა, მათი ერთობლიობა საზოგადოების ბაზისს შეადგენს, ხოლო იდეოლოგიური ურთიერთობანი — ზედნაშენური მოვლენებია.

წარმოებითი ურთიერთობანი მატერიალური ხასიათის ურთიერთობებია, რომლებიც წარმოიშვებიან ადამიანთა ნებისა და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ხოლო იდეოლოგიური ურთიერთობანი ნებითი ხასიათისა არიან, რომლებიც მხოლოდ მას შემდეგ ჩნდებიან, როდესაც ადამიანთა ცნობიერებაში, მათ გონებაში გაივლიან. როგორც ზედნაშენში შემავალი მოვლენები, იდეოლოგიური ურთიერთობანი საბოლოოდ ყოველთვის საზოგადოების ბაზისით, ანუ მატერიალური, წარმოებითი ურთიერთობებით განისაზღვრებიან, მაგრამ თავის მხრივაც აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ ბაზისის მიმართ, ე. ი. უკუმოქმედებენ წარმოებით ურთიერთობებზე.

იდეოლოგიურ ურთიერთობათა ერთ-ერთ სპეციფიკურ სახეს წარმოადგენენ სამართლებრივი ანუ იურიდიული ურთიერთობანი, რომლებიც ისევე როგორც ყველა იდეოლოგიური ურთიერთობა საზოგადოების ზედნაშენში შედის და საბოლოო ანგარიშით მატერიალური, წარმოებითი ურთიერთობებით — ბაზისით განისაზღვრება. თავის ცნობილ წინასიტყვაობაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ კ. მარქსი შემდეგი ტიტყვებით ახასიათებს სამართლებრივი ურთიერთობების დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობებისაგან: „ჩემმა გამოკვლევამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ სამართლებრივი ურთიერთობანი, ისევე როგორც სახელმწიფოს ფორმები, ვერც თვით მათგან გაიგებიან, ვერც ადამიანის გონების ეგრეთწოდებულ საერთო განვითარებიდან, რომ პირიქით, ისინი ფესვგადგმული არიან ცხოვრების მატერიალურ პირობებში“.

ამასთან ერთად მარქსი იქვე ხაზს უსვამს, რომ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, ბაზისს, რომელზედაც აღიმართება იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორ-



მები შეესაბამება. სწორედ ამ იურიდიულ ზედნაშენს შეადგენენ სამართლის ნორმებთან ერთად სამართლებრივი ურთიერთობანი.

ცხადია, რომ გარდა საერთო დამახასიათებელი ნიშნებისა, რაც ყველა ზედნაშენურ მოვლენებს და მათ შორის სამართლებრივ ურთიერთობებს გააჩნია, ამ უკანასკნელებს აქვთ აგრეთვე სპეციფიკური, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

1. სამართლებრივი ურთიერთობანი, წარმოადგენენ რა იურიდიული ზედნაშენის ნაწილს, სხვა იდეოლოგიური ურთიერთობებისა და ყველა ზედნაშენური მოვლენების მსგავსად, საბოლოო ანგარიშში საზოგადოების ეკონომიური ბაზისით განისაზღვრებიან. ე. ი. წარმოებით ურთიერთობების ხასიათზეა დამოკიდებული ამა თუ იმ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი ურთიერთობების მთელი სისტემა. მაგრამ თუ ზოგჯერ სამართლებრივი ურთიერთობანი თვით ეკონომიურ ურთიერთობათა იურიდიულ გამოხატულებას წარმოადგენენ, სხვა შემთხვევებში ისინი არა ეკონომიურ, არამედ სხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს გამოხატავენ..

ასე მაგალითად, მარქსი მიუთითებდა, რომ თვითეულ საზოგადოებაში წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე საკუთრების ურთიერთობა არც ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წარმოებითი ურთიერთობების იურიდიული გამოხატულება. ასევე საქონლის გაცვლის ეკონომიური ურთიერთობების იურიდიულ გამოხატულებას წარმოადგენს საქონლის მფლობელთა შორის დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა, რაც ყიდვა-გაყიდვისა და სხვა სახის ხელშეკრულებებით ფორმდება.

რაც შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც სამართლებრივ ურთიერთობათა შინაარსს შეადგენენ არა ეკონომიური ურთიერთობანი, არამედ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვა მხარეები, სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, როგორცაა საოჯახო, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მმართველობის ურთიერთობანი და ა. შ. ასეთ შემთხვევებში სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც ეკონომიური, ისე სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმას, მათ იურიდიულ გამოხატულებას.

2. სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სამართლის ნორმების საფუძველზე, მათი განხორციელების შედეგად წარმოიშევიან.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული სამართლებრივ ურთიერთობებსა და სამართლის ნორმებს შორის დამოკიდებულების საკითხზე. ზოგიერთი იურისტი, მაგალითად, პროფ. მ. პ. კარევა ამტკიცებს, რომ სამართლის ნორმები არეგულირებენ სამართლებრივ ურთიერთობებს¹. ხოლო იურისტების მეორე ჯგუფი (პროფ. ს. თ. კენჭიანი, ა. ა. პიონტოვსკი) თვლის, რომ სამართლის ნორმა და სამართლებრივი ურთიერთობა ერთ მთლიანობას წარმოადგენენ, რომ სამართლებრივი ურთიერთობა — ესაა სამართლის ნორმა მის მოქმედებაში, მის განხორციელებაში.²

¹ იხ. «Советское государство и право». 1956 г., № 3.

² С. Т. Кечекьян, Правозначения в социалистическом обществе. 1958 г., стр. 19.

А. А. Пионтковский, Некоторые вопросы общей теории государства и права, «Советское государство и право». 1956 г., № 1, стр. 18.

მაგრამ იურიდიული მეცნიერების წარმომადგენელთა უმრავლესობა (მ. ბ. ავარკოვი, ნ. ვ. ალექსანდროვი, თ. ს. იოფე და სხვ.) ასაბუთებს, რომ სამართლის ნორმები არეგულირებენ არა სამართლებრივ ურთიერთობებს, არამედ არსებულ ფაქტიურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს სამართლებრივი ურთიერთობების მეშვეობით. ძირითადად ამავე პოზიციაზე მდგომ ი. კ. ტოლსტოის თავის მონოგრაფიაში სამართლებრივი ურთიერთობის თეორიის პრობლემებზე ამ საკითხის გარკვევაში ერთგვარი თავისებურება შეაქვს, კერძოდ იგი წერს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა, რომელიც ამ ურთიერთობას სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათს ანუ ფორმას აძლევს, წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ წინამძღვარს, აუცილებელ წინაპირობას.¹

მუხებდავად აზრთა ამგვარი სხვადასხვაობისა და თეორიული ხასიათის დავისა, რომელიც ზოგჯერ სქოლასტიკურ ხასიათს ატარებს, არავინ არ უარყოფს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება არსებობდეს სამართლის ნორმის გარეშე და რომ ეს ურთიერთობანი მხოლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე, მისი განხორციელების შედეგად წარმოიშვებიან.

3. სამართლებრივი ურთიერთობის შემდეგი სპეციფიური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი მონაწილენი გამოდიან სამართლის ნორმებით დადგენილ უფლებათა და მოვალეობათა მატარებლად. უფლებებისა და მოვალეობების დაწესებით სამართლის ნორმა შემოქმედებას ახდენს ცალკეულ პირებზე და სწორედ ამ უფლება-მოვალეობათა არსებობის გამო, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, — მყარდება იურიდიული, ანუ სამართლებრივი ურთიერთობა ცალკეულ პირთა შორის.

სამართლებრივი ურთიერთობის წარმოქმნისას, სამართლის ნორმებით დადგენილი უფლებები და მოვალეობები ერთმანეთს შეესაბამებიან, შეესატყვისებიან, ე. ი. თვითეული მხარის უფლებას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან მოსთხოვოს სხვას რაიმე მოქმედების შესრულება, როგორც წესი, შეესაბამება მეორე მხარის მოვალეობა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისა. ამიტომ არის, რომ სამართლებრივ ურთიერთობას პირთა ორმხრივ ურთიერთკავშირად სთვლიან. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი-იურისტი უარყოფს ამ შეხედულებას და თვლის, რომ სამართლებრივი ურთიერთობა პირთა სამხმრივი კავშირია, სახელდობრ, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შორის და მათსა და სახელმწიფოს შორის.²

ასეთი დებულების არეუმენტაცია და დასაბუთება იმით, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები ყოველთვის უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, არ არის დამაჯერებელი და არ ქმნის იმის აუცილებლობას, რომ ამ ურთიერთობაში სამხმრივი კავშირი დავინახოთ. ცხადია, რომ ყველა შემთხვევაში სამართლის ნორმის, უფლებისა და მოვალეობის უკან სახელმწიფო დგას, მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ მის მონაწილეთა შორის მყარდება. სახელმწიფო როგორც გაბატონებული

1. იხ. Ю. К. Толстой, к теории правоотношения, 1959 г., стр. 3.

2. იხ. Н. Т. Александров, Юридическая норма и правоотношение, 1947 г. стр. 16.

Л. С. Явич. Советское право — регулятор общественных отношений в СССР. Сталинабад, 1957 г., стр. 77.

კლასის პოლიტიკური ორგანიზაცია, ადგენს სამართლის ნორმებს და ითვალისწინებს, რომ ამ ნორმებში გამოხატული უფლებები და მოვალეობები სამართლებრივი ურთიერთობების მეშვეობით განხორციელდება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სხვა იდეოლოგიური ურთიერთობების მსგავსად სამართლებრივი ურთიერთობები ნებისმიერი ხასიათის არიან, მაგრამ საჭიროა დავაზუსტოთ თუ რაში გამოიხატება სამართლებრივი ურთიერთობათა ნებისმიერი ხასიათი, მით უმეტეს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში არც ამ საკითხში არსებობს საყოველთაოდ აღიარებული საერთო შეხედულება.

პირველყოფლისა, სამართლებრივი ურთიერთობების ნებისმიერი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ურთიერთობანი სახელმწიფოებრივი ნების გამოხატულებას წარმოადგენენ: ისინი წარმოიშვებიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი ნების შემოქმედების შედეგად, ვინაიდან სამართლებრივი ურთიერთობების საუქმველს შეადგენენ სამართლის ნორმები, რომლებშიც გამოხატულია გაბატონებული კლასის ნება. სამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერი ხასიათის ამგვარ გაგებაზე არავის გამოუთქვამს ამჟამად საწინააღმდეგო მოსაზრება. მაგრამ თუ ზოგიერთებს (ს. თ. კეჩეკიანი, ო. ს. იოფე) მხოლოდ აღნიშნული გარემოება მიაჩნიათ სამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერი ხასიათის მარჯვენად, დანარჩენები თვლიან, რომ ამით არ ამოიწურება სამართლებრივი ურთიერთობების როგორც ნებისმიერი ხასიათის ურთიერთობების დახასიათება.

საბჭოთა იურისტ-თეორეტიკოსთა დიდი ნაწილი (მ. პ. კარევა, ც. ა. იაშვილი-სკაია, ი. კ. ტოლსტოი და სხვ.) სამართლიანად აღიარებს, რომ იურიდიული ურთიერთობის ნებისმიერი ხასიათი გაგებულ უნდა იქნას არა მარტო როგორც სახელმწიფოებრივ-კლასობრივი, სოციალური ნების გამოხატულება, არამედ როგორც ამ ურთიერთობის მონაწილეთა ინდივიდუალური ნების გამოვლინებაც. ეს ნიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობანი, სანამ ისინი წარმოიშვებიან ადამიანთა შეგნებაში გაივლიან, ხოლო ამ ურთიერთობათა განხორციელების პროცესშიც, ე. ი. უფლება-მოვალეობათა შესრულებისას, საჭიროა ადამიანთა შეგნებული მოქმედება, მათი ნების გამოყვანება, ნებისმიერი ხასიათის აქტების შესრულება.

სამართლებრივი ურთიერთობების ნებისმიერი და შეგნებული ხასიათი იმას არ გულისხმობს, თითქოს ყოველგვარ სამართლებრივ ურთიერთობის ყველა მონაწილეს ყოველთვის შეგნებული აქვს ყველაფერი, რაც ამ ურთიერთობას შეეხება. პირიქით, ზოგჯერ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილემ შეიძლება არც კი იცოდეს თავისი უფლება ან მოვალეობა და ცდებოდეს კონკრეტულ ურთიერთობის შინაარსის გაგებაში. უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვება ერთი ან ორივე მონაწილის ნების გამოყვანების გარეშე ან მისი ნების საწინააღმდეგოდ (მაგალითად, ზიანის მიყენებიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაში). მაგრამ ყველა ამ შემთხვევაშიც იმისათვის, რომ სამართლებრივი ურთიერთობა განხორციელდეს, ადამიანებმა უნდა შეასრულონ გარკვეული შეგნებული მოქმედებანი, ნებისმიერი ხასიათის აქტები.

სამართლებრივი ურთიერთობის ყველა შემოდგამოთვლილი დამახასიათებელი ნიშნების განხილვის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მისი განსაზღვრება ანუ ზოგადი ცნება.

ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ე წ ო დ ე ბ ა ი დ ე ო ლ ო -

გიური ხასიათის საზოგადოებრივ ურთიერთობას, მისი მოწოდებებს ერთი მეორის მიმართ გააჩნის პართლის ნორმით განსაზღვრული უფლებანი და მოვალეობანი.

სამართლებრივი ურთიერთობის ზოგადი ცნებისა და მისი საერთო ნიშნების ჩამოყალიბების შემდეგ უნდა დავახასიათოთ სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებანი საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებაში.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ის რაც ითქვა სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ, ეხება ყველა ისტორიული ტიპის, მათ შორის სოციალისტური ტიპის სამართლებრივ ურთიერთობებს. მაგრამ ამავე დროს სოციალისტური საზოგადოების სამართლებრივ ურთიერთობებს გააჩნია გარკვეული თავისებურებანი, რაც განპირობებულია სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და მთლიანად სოციალისტური წყობილების თავისებურებებით.

სოციალისტური საზოგადოების სამართლებრივი ურთიერთობანი განისაზღვრებიან სოციალისტური ბაზისით, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობებით, რომელთა საფუძველს შეადგენს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე და რომლისთვისაც დამახასიათებელია ექსპლოატაციისაგან თავისუფალ ადამიანთა თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. სწორედ ასეთი, სრულიად ახალი ტიპის წარმოებითი ურთიერთობანი განსაზღვრავენ საბოლოო ანგარიშში სრულიად ახალი ტიპის, სოციალისტურ სამართლებრივ ურთიერთობებს.

სოციალისტურ სამართლებრივ ურთიერთობების ხასიათზე უაღრესად დიდ გავლენას ახდენენ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი, როგორც ახალი უმაღლესი ტიპის სახელმწიფო და სამართალი. საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს მორალურ-პოლიტიკურად ერთიანი ხალხის, მშრომელების იარაღს სოციალიზმისა და კომუნისმის აშენებისათვის ბრძოლაში, ადგენს სამართლის ისეთ ნორმებს, რომლებშიც გამოხატულია თვით მშრომელთა ნება-სურვილი. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ სოციალისტური სამართლის ნორმების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობებიც საბჭოთა წყობილების დემოკრატიზმის განსახიერებას წარმოადგენენ. ამ ურთიერთობების მონაწილე მხარეებისათვის დამახასიათებელია თანასწორობა, ნების გამოვლინების თავისუფლება და ნორმით დადგენილი უფლებების დაცვა, ისევე როგორც მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფა.

იმ უფლებების განხორციელება და მოვალეობათა შესრულება, რაც სამართლის ნორმის შესაბამისად სოციალისტური სამართლებრივი ურთიერთობის ცალკეულ მონაწილეებს გააჩნიათ, — საბოლოო ანგარიშში მთლიანად ემსახურება მთელი საზოგადოების ინტერესებს, ვინაიდან სოციალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს დაპირისპირება კოლექტივებსა და ინდივიდს შორის. სწორედ ამიტომ არის, რომ სოციალისტურ სამართლებრივ ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის უფლება არ შეიძლება გადაიხარდოს თვითნებობაში. იმ სამართლებრივ ურთიერთობებშიც კი, რომლებიც დისპოზიციური ნორმების საფუძველზე წარმოიშვებიან, ამ ურთიერთობის შინაარსის დადგენა მთლიანად არ არის დამოკიდებული მხოლოდ მონაწილეთა ნებაზე; აქაც აუცილებელია იმ ფარგლებში მოქმედება, რომ არ შეილახოს მშრომელთა ცალკეული კოლექტივების ან მთელი საზოგადოების ინტერესები, რომ უზრუნველყოფილი იქნას



გეგმიური მეურნეობის წარმატებით განვითარება, პარტიისა და მთავრობის ღირეპტივების შესრულება.

სოციალისტური სამართლებრივი ურთიერთობანი არ წარმოდგენენ ურთიერთობათა ისეთ სისტემას, რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ ყალიბდებიან და ცვლილებებს არ განიცდიან. პირიქით, ისინი ვითარდებიან და ცვლილებებს განიცდიან ჩვენი ქვეყნის ეკონომიური წყობილების, ბაზისის განვითარებასთან ერთად.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველ ფაზაში, როდესაც სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი არ იყვნენ განუყოფლად გაბატონებული მეურნეობის ყველა დარგში, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობაში, და როდესაც ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ არსებობდნენ დამხობილი ექსპლოატატორული კლასები, — სამართლებრივ ურთიერთობებს სწორედ ამგვარი ბაზისის თავისებურებანი განაპირობებდნენ. მაგალითად, ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ დამახასიათებელი იყო სამართლებრივი ურთიერთობა კულაკსა და მოჯამაგირეს შორის სამუშაო ძალის დაქირავების გამო.

მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მეორე ფაზაში, როდესაც მეურნეობის სოციალისტური სისტემა და წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება განუყოფლად გაბატონდნენ ჩვენს ქვეყანაში, როდესაც ჩამოყალიბდა და განმტკიცდა სოციალისტური ბაზისი, მან განსაზღვრა სამართლებრივ ურთიერთობათა ახალი თვისებები და ნიშნები საბჭოთა საზოგადოებაში. ცხადია, რომ სოციალისტური სამართლებრივი ურთიერთობანი კვლავაც განვითარდებიან, შეიცვლებიან ან შეიცვლიან სახეს ჩვენი საზოგადოების ბაზისის, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების განვითარებასა და სრულყოფასთან ერთად.

შენადგენი, დანაშაული და განგაძობითი დანაშაული

დანაშაულთა ერთობლიობისაგან, რომელიც გულისხმობს ორი ან მეტი სხვადასხვა დანაშაულის ჩადენას, უნდა განვასხვავოთ ერთიანი დანაშაულის ისეთი ფორმები, როგორცაა შენადგენი (ანუ რთული, კომბინირებული), დანადი და განგაძობითი დანაშაული. ამ განსხვავების დადგენას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დანაშაულთა ერთობლიობის დროს თვითეული დანაშაული ცალკე კვალიფიცირდება და ამის შემდეგ განისაზღვრება ერთი საბოლოო სასჯელი. ამ საბოლოო სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები“ 35-ე მუხლის შესაბამისად შეუძლია გამოიყენოს სასჯელთა დაფარვის ან შეჯამების პრინციპი. ერთიანი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი შეუძლებელია დაისევას სასჯელთა დაფარვის ან შეჯამების საკითხი, ვინაიდან ერთ დანაშაულს სისხლის სამართლის კანონის სათანადო მუხლით გათვალისწინებული ერთი ძირითადი სასჯელი შეეფარდება.

ერთიანი დანაშაულის პირველი სახეა შენადგენი დანაშაული. შენადგენი დანაშაული, დანაშაულთა ერთობლიობის მსგავსად, სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობას აერთიანებს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზოგჯერ თვით სისხლის სამართლის კანონი რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედობას დანაშაულის ერთიან შემადგენლობაში ითვალისწინებს. იქმნება ერთი ახალი, ორგანულ მთლიანობაში მყოფი დანაშაულის შემადგენლობა. ამით შენადგენი დანაშაული თვისობრივად განსხვავდება იმ დანაშაულთაგან, რომელთა ნიშნებსაც ის შეიცავს; იგი უფრო დიდი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია, ვიდრე ცალკე აღებული მისი შემადგენელი თვითეული დანაშაული. ამასთან არასწორი იქნებოდა შენადგენი დანაშაული მიგვეჩინა როგორც სხვადასხვა დანაშაულებრივ ქმედობათა მექანიკური და ნებისმიერი გაერთიანება. რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობის ერთ შემადგენლობად გაერთიანება შინაგანად გაპირობებულია სწორედ მოცემული ქმედობით.

შენადგენ დანაშაულთა რიცხვი ჩვენს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ბევრი არაა. შენადგენი დანაშაულია, მაგალითად ყაჩაღობა. ყაჩაღობა ერთდროულად მიმართულია ქონებისა და პიროვნების წინააღმდეგ. მასსადაჟე, ყაჩაღობა ორი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს: 1) პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას, რომელიც აყენებს (ან შეუძლია მიაყენოს) ვნებას დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და 2) ხელყოფას პიროვნების ან სახელმწიფოს ქონებრივ ინტერესებზე.

ყაჩაღობის შემადგენლობის ანალიზის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოება: ყაჩაღობის ცნების ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო ფორმულის მიხედვით ყაჩაღობის შენადგენი შემადგენლობა როდი მოიცავს პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ყველა დანაშაულს, კერძოდ, დაზარალებულის განზრახ მკვლელობას. ცნობილია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 30 აპრილის ბრძანებულების — „განზრახი



მკვლევლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების სახეობა — გამოცემაზე განზრახი მკვლევლობის ჩადენისათვის სასჯელის მაქსიმუმად დაწესებული იყო 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა (მხედველობაში გვაქვს საქართველოს სსრ სსკ 144 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული). ამის გამო სასამართლო პრაქტიკაში მაშინ ყაჩაღური თავდასხმის შედეგად ჩადენილი განზრახი მკვლევლობა კვალიფიცირდებოდა მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის სათანადო ბრძანებულების შესაბამისი მუხლით. ამრიგად, განზრახი მკვლევლობისა და ყაჩაღობისათვის დაწესებული სანქციების შეუსაბამობა იწვევდა დასახელებულ დანაშაულთა არასწორ ანალიზს. და თუმცა ყაჩაღობის შემადგენლობა არ შეიცავდა განზრახ მკვლევობას, მხოლოდ იმის გამო, რომ პირველისათვის დაწესებული სასჯელი უფრო მკაცრი იყო, სასამართლოები ჩადენილ დანაშაულში მხოლოდ ყაჩაღობის შემადგენლობას ხედავდნენ. ფაქტიურად ასეთ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობის არსებობა უდავო იყო. ამ შეუსაბამობას ბოლო მოეღო 1954 წლის 30 აპრილის ზემოაღნიშნული ბრძანებულების გამოცემით. ამჟამად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლევობისათვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთასთან ერთად სიკვდილით დასჯაცაა გათვალისწინებული. ამრიგად, ყაჩაღური თავდასხმა, რაც დაზარალებულის სიკვდილს გამოიწვევს, კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც დანაშაულთა ერთობლიობა და არა როგორც ერთი შენადგენი დანაშაული. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის პირველი ვარიანტი 141 მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს ყაჩაღური თავდასხმის გზით ჩადენილ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებას, რასაც თან ახლდა განზრახი მკვლევობა. (ანალოგიური შემადგენლობაა გათვალისწინებული იმავე პროექტის 149 მუხლის მე-3 ნაწილით პირადი ქონების ყაჩაღური გზით დატაცებისას). ამ მუხლის ასეთი კონსტრუქცია, ცხადია, გამორიცხავს დანაშაულთა ერთობლიობის შესაძლებლობას, ვინაიდან დაზარალებულის განზრახი მკვლევობა თვით ყაჩაღობის შემადგენლობითაა გარემოცული.

შენადგენი დანაშაულის სახითაა ფორმულირებული სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისათვის თავის არიდების შემადგენლობა, თუ იგი განხორციელებულია ყალბი დოკუმენტის მეშვეობით (მე-17 მუხლი კანონისა სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ). ამ დანაშაულისათვის ყალბი დოკუმენტის გამოყენება წარმოადგენს აუცილებელ მოსამზადებელ სტადიას. ამის გამო, თუ ბრალდებულის ასეთმა დანაშაულებრივმა მოქმედებამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს, მაშინ იგი პასუხს აგებს ამ დანაშაულის მოპზადებისათვის და არა დანაშაულთა ერთობლიობისათვის.

დასახელებულ დანაშაულთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი შედეგნილი, რთული ხასიათი თვით სისხლის სამართლის კანონშია მითითებული. საკითხის გადაწყვეტა ძნელდება მაშინ, როდესაც კანონში მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედობაა დასახელებული. ასეთ შემთხვევაში საჭიროა გულდასმით გავუკეთოთ ანალიზი დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებს. ავიღოთ, მაგალითად, ხულიგნობა. ხულიგნური მოქმედებები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დავყოთ: პირველი ჯგუფი მოიცავს ხულიგნობის ისეთ სახეებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სხვადასხვა ფორმებში გამოიხატებიან, მაგრამ დაკავშირებული არ არიან პიროვნებასა ან ქონებაზე უშუალო ხელ-

ყოფსთან (მაგალითად, უმისამართოდ უცენზურო სიტყვების წარმოთქმა საზოგადოებრივი თავმოყრის ადგილებში, ცრუ სახანძრო განგაშის განზრახ გამოწვევა და ა. შ.). ხულიგნურ მოქმედებათა მეორე ჯგუფი ხასიათდება უშუალო ხელყოფით პიროვნებას ან ქონებაზე და ამასთან მრავალი აქტისაგან შედგება (მაგალითად, მოქალაქეთა შეურაცხყოფა, ცემა, სხეულის მათუბუქი დაზიანება, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან პირადი ქონების დაზიანება და სხვ.). მართალია, ხულიგნობის შემადგენელი ცალკეული მოქმედებანი სხვადასხვაგვაროვანია, მაგრამ მათ აერთიანებთ საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის გამოჩენის განზრახვა.¹ სწორედ ამ მეორე შემთხვევაში ხულიგნობა გვევლინება შენადგენი დანაშაულის სახით.

შენადგენი დანაშაულის არსებობის დადგენისათვის უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ქმედობათა საზოგადოებრივი საშიშროებისა და მაშასადამე, სასჯელის ზომის გათვალისწინებას, რაც შესაძლებელს ხდის გაირკვეს, თუ სახელდობრ რომელ დანაშაულს ფარავს შენადგენი დანაშაული. ხულიგნობა, როგორც აღვნიშნეთ, მოიცავს ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულსაც. ასეთად კი ითვლება სხეულის როგორც მსუბუქი, ისე მძიმე დაზიანება. ამ დანაშაულთათვის დაწესებული სანქციების შედარების შედეგად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ვინაიდან სხეულის მძიმე დაზიანებისათვის სასჯელის უფრო მეტი ზომაა გათვალისწინებული, ვიდრე კვალციური ხულიგნობისათვის, ხულიგნური მოტივებით სხეულის განზრახ დაზიანება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს მხოლოდ როგორც ხულიგნობა; გარდა ამისა, საჭიროა ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია როგორც სხეულის მძიმე დაზიანებისა. ცხადია, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო ხულიგნობა ასევე არ მოიცავს განზრახ მკვლელობას. ამრიგად, ხულიგნობა მხოლოდ სხეულის მსუბუქი დაზიანების შემადგენლობას ფარავს. „ხულიგნობის რთული შედეგითი ხასიათი იქმნება მხოლოდ მასთან შედარებით უფრო ნაკლებად მავნე შედეგებისაგან, ვინაიდან ნაწილი არ შეიძლება იყოს უფრო დიდი მთელზე“.²

შენადგენი დანაშაული უნდა განვასხვაოთ ე. წ. ალტერნატიულ შემადგენლობისაგან, რომელიც ხასიათდება იმით, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის საჭიროა კანონში მითითებული არა ყველა ელემენტის, არამედ თუნდაც ერთ-ერთის არსებობა. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა დამთავრებულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც დამნაშავე ან გაიტაცებს ან განზრახ დაზიანებს ან დამალავს ფიციალურ თუ კერძო დოკუმენტს. თუ პირი განახორციელებს ზემოაღნიშნულ რამდენიმე მოქმედებას, ამით მარტივი დანაშაული არ გადაიქცევა შენადგენ დანაშაულად. დამნაშავე პასუხს აგებს იმავე მუხლის მიხედვით.³

ზოგჯერ მუხლის დისპოზიცია ისეთია, რომ იგი ითვალისწინებს ორი ან მეტი დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას. მაგალითად, რაფსარ სისხ-

¹ იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1939 წლის 29 აპრილის დადგენილება „ხულიგნობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. კრებული „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მოქმედი დადგენილებებისა“, თბილისი, 1955 წ., გვ. 57.

² Н. Ф. Кузнецова, значение преступных последствий для уголовной ответственности, М., 1958 г., стр. 125.

³ იქვე, стр. 122.



ლის სამართლის კოდექსის 139 მუხლი ითვალისწინებს ორი დანაშაულის შემაჯავრობას: გაუფრთხილებელ მკვლელობას და აუცილებელი მოგერიების საზღვრის გადაცილებით ჩადენილ მკვლელობას. თუ პირი ორთავე აღნიშნულ დანაშაულს ჩაიდენს, იგი პასუხს აგებს არა ერთი შენადგენი დანაშაულისათვის, არამედ დანაშაულთა ერთობლიობისათვის.

ერთიანი დანაშაულის მეორე სახეს წარმოადგენს დენადი დანაშაული.

ჩვეულებრივად დანაშაულის ჩადენა დროის შედარებით მცირე მონაკვეთში ხდება. ამასთან, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ცნობილია ისეთი დანაშაულის შემადგენლობები, რომელთა განხორციელება დამთავრება როდი ხდება ერთ რომელიმე განსაზღვრულ მომენტში. ასეთ დანაშაულს ხანგრძლივი, დენადი ხასიათი აქვს. იგი განსაზღვრულ მომენტამდე განუწყვეტლივ მიმდინარეობს. დენადი დანაშაულის არსებობისათვის აუცილებელია, რათა განუწყვეტლივ ხორციელდებოდეს ქმედობის ის შენადგენელი ნაწილი, რომელშიც კანონი ხედავს მის დანაშაულებრივ არსს.

ამის გამო ქურდობა, რომელიც გამოიხატება ძალადობის გამოყენების გარეშე ქონების ფარულ ან აშკარა გატაცებაში, შეუძლებელია დენად დანაშაულად ვცნოთ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ხანს დარჩა გატაცებული ნივთი ქურდთან.

დენადი დანაშაული ერთ მთლიანობას წარმოადგენს. დენადი დანაშაულია მაგალითად სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან ან მობილიზაციისაგან თავის არიდება (მე-17 და მე-18 მუხლები კანონისა სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ), დეზერტირობა (მე-11 მუხლი კანონისა სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ), დამნაშავეს ან დანაშაულის კვალის დაფარვა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლი), ძლიერად მოქმედი შხამიანი ნივთიერების შენახვა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლი). ორდენის, მედლისა და სამკერდე ნიშნის ტარება იმ პირის მიერ, რომელსაც ამის უფლება არა აქვს (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის მე-3 ნაწილი) და ა. შ.

დენადი დანაშაულის ჩადენის დროსაც მოქმედებას (ან უმოქმედობას, მაგ., განუცხადებლობის დროს), სხვა ერთიანი დანაშაულის მსგავსად, ერთგზისი ხასიათი აქვს. მისი სპეციფიკა ვლინდება დანაშაულებრივი შედეგის დადგომის სტადიაზე. მას შემდეგ, რაც დენადი დანაშაული მიაღწევს დამთავრებული დანაშაულის სტადიას, ამ სტადიაზე დანაშაულის შემადგენლობა ხორციელდება განსაზღვრული დროის მანძილზე, რომელიც ზოგჯერ წლებით განისაზღვრება. დენადი დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელი განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონის იმ მუხლის მიხედვით, რომელიც მოცემულ დანაშაულს ითვალისწინებს. შეუძლებელია აქ გამოყენებული იქნას წესები დანაშაულთა ერთობლიობის შესახებ.

დენადი დანაშაულის ხანგრძლივობა მხედველობაში მიიღება სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

1. იხ. Н. Д. Дурманов, стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955 г., стр. 54.

დენადი დანაშაული არ გამოირიცხავს დანაშაულთა ერთობლიობის შესაძლებლობას. მაგალითად, თუ სამხედრო ნაწილიდან დეზერტირობის შემდეგ ბრალდებული სჩადის ქურდობას, ხულიგნობას და სხვ., ასეთ შემთხვევაში უდავოდ საქმე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობასთან.

ერთიანი დანაშაულის მესამე სახეს წარმოადგენს განგრძობითი დანაშაული. განგრძობითი დანაშაულის ცნების განსაზღვრა მოცემულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1929 წლის 4 მარტის დადგენილებაში. ამ დადგენილების მიხედვით განგრძობითია ისეთი „დანაშაული, რომელიც შეიცავს ერთი და იგივე სახის მთელ რიგ დანაშაულებრივ მოქმედებას, მიმართულს ერთი საერთო მიზნისაკენ, და რომელიც თავისი ერთობლიობით შეადგენს ერთიან დანაშაულს“.

განგრძობით დანაშაულთან საქმე გვექნება მაშინ, როდესაც ერთი პირის მიერ ჩადენილი რამდენიმე დანაშაულებრივი ქმედობა, რომელთაგანაც თვითეული ცალკე აღებული დამოუკიდებელ დანაშაულად მიიჩნევა, ისეთ მჭიდრო სუბიექტურ და ობიექტურ კავშირში იმყოფება, რომ ერთიან დანაშაულს ქმნის. განგრძობითი დანაშაულის ცალკეული შემადგენელი ქმედობანი წარმოადგენენ ამ მთლიანი დანაშაულის ნაწილებს. ამრიგად, განგრძობითი დანაშაული როდი გულისხმობს მხოლოდ დროში ერთმანეთის თანმიმდევარ ქმედობებს, არამედ იგი ცალკეულ დანაშაულთაგან შემდგარი ერთიანი დანაშაულია. თუ დანაშაულთა რეალური ერთობლიობის დროს კავშირი ცალკეულ დანაშაულებრივ ქმედობათა შორის მთლიანად გამქრალია ანდა ეს კავშირი უაღრესად სუსტია, პირიქით, განგრძობითი დანაშაულის დროს ცალკეულ ქმედობათა დამოუკიდებლობა აღარ არსებობს მათ შორის არსებული მჭიდრო სუბიექტური და ობიექტური კავშირის გამო.

როგორ უნდა გავმიჯნოთ განგრძობითი დანაშაული დანაშაულთა ერთობლიობისა და განმეორებისაგან?


ნ. ფ. კუზნეცოვა აღნიშნულ საკითხზე ასეთ შეხედულებას ავითარებს: „განგრძობითი დანაშაული ერთიან ობიექტს ერთიან ვნებას აყენებს. ეს არის განგრძობითი დანაშაულის მთავარი ნიშანი. იგი შესაძლებლობას იძლევა გავმიჯნოთ განგრძობითი დანაშაული, ერთის მხრივ, დანაშაულთა ერთობლიობისაგან, ხოლო მეორეს მხრივ — განმეორებისაგან.“

დანაშაულთა ერთობლიობის დროს სხვადასხვა ობიექტებს აყენებენ შესაბამისად სხვადასხვა ვნებას, ხოლო განმეორების დროს ერთ ობიექტს აყენებენ ვნებას ორჯერ და მეტჯერ“.

ჩვენის აზრით, ეს შეხედულება, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: ერთი და იგივე პირი თავდაპირველად ითვისებს სხვის პირად ნივთს (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის 1 ნაწილი), ხოლო შემდეგ ქურდობის გზით იტაცებს სხვის პირად ქონებას (1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ I მუხლის 1 ნაწილი). ასეთ შემთხვევაში ვინაიდან ხელყოფის ობიექტები ერთნაირია კუზნეცოვას მიხედვით, შეუძლებე-

2. Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий для уголовной ответственности, М. 1958 г., стр. 130.

2. საბჭოთა სამართლებრივი



ლია გვექონდეს დანაშაულთა ერთობლიობა. სინამდვილეში დანაშაულთა ერთობლიობა აქ ეჭვს არ ბადებს.

ჩვენის აზრით, განგრძობითი დანაშაული დანაშაულთა ერთობლიობისაგან განსხვავებული უნდა იქნას შემდეგი ნიშნების მიხედვით: 1) განგრძობითი დანაშაული გულისხმობს ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობის რამდენჯერმე განხორციელებას. დანაშაულთა ერთობლიობა კი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბრალდებული ანხორციელებს სხვადასხვა დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას. სწორედ ამის გამო განგრძობითი დანაშაულის არსებით ნიშნად ერთიანი ობიექტის მიჩნევა ზედმეტია, ვინაიდან იგი უკვე იგულისხმება, როდესაც ვუთითებთ ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობაზე.

2) ვინაიდან ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლად იქნას ჩადენილი, განგრძობითი დანაშაულის დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ერთი საერთო განზრახვის არსებობა. დანაშაულთა ერთობლიობის დროს საქმე გვაქვს იმდენ ცალკე განზრახვასთან, რამდენი დანაშაულიც იქნა ჩადენილი (ცხადია, თუ ისინი განზრახვი ბრალით ხასიათდებიან). პირიქით, განგრძობითი დანაშაულის დროს საქმე გვაქვს მხოლოდ ერთ საერთო განზრახვასთან.

ცალკეულ ქმედობებს შორის უნდა არსებობდეს დროში კავშირი, ე. ი. კონკრეტული გარემოებების მიხედვით მომდევნო ქმედობა წინათ ჩადენილის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. ამასთან, ინტერვალები მათ შორის დიდი არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღარ გვექნება ერთიანი განზრახვა.

განგრძობითი დანაშაული დამთავრებულად მიიჩნევა უკვე პირველი მოქმედების ჩადენისთანავე. ამ საკითხზე, ჩვენის აზრით, არასწორად მსჯელობს პროფ. ა. ა. გერცენზონი. „იმ შემთხვევაში, — წერს იგი, — თუ დანაშაული გახსნილი იქნება მანამდე, სანამ სუბიექტი მოასწრებდეს მის მიერ განზრახული დანაშაულის მთლიანად განხორციელებას, მას ბრალად შეერაცხება იმ დანაშაულის მცდელობა, რომლის ჩადენაც მას ჰქონდა განზრახული და არა წერილმან დანაშაულთა ჯამი“.¹ ვფიქრობთ, ავტორმა აღნიშნულ დებულებაში უგულვებელყო განგრძობითი დანაშაულის, როგორც ერთიანი დანაშაულის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანი, კერძოდ ის, რომ განგრძობითი დანაშაული უმრავლეს შემთხვევაში დამთავრებულად მიიჩნევა პირველივე მოქმედების განხორციელებისთანავე.

თუ გერცენზონის შეხედულებას სასამართლო პრაქტიკა მიიღებდა, ეს, ვფიქრობთ, გამოიწვევდა ბრალდებულისათვის შესაფარდებელი სასჯელის უსაფუძვლო შემსუბუქებას. დავუშვათ, მოლარემ შესძლო მისთვის მინდობილ სახელმწიფო დაწესებულების სალაროს თანხიდან მხოლოდ ნაწილის მითვისება, ხოლო დანარჩენის მითვისება მან ვეღარ მოასწრო. გერცენზონის მიხედვით გამოდის, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულის ქმედობაში უნდა გვეცნო არა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა, არამედ მისი მცდელობა. ამრიგად, განგრძობითი დანაშაულის მცდელობა მას შემდეგ, რაც პირველი

¹ А. А. Герцензон. Квалификация преступления, М. 1947 г., стр. 17.

დანაშაულებრივი ქმედობა განხორციელდა, როგორც ლოგიკურად, ისე ფაქტურად შეუძლებელია.

განგრძობითი დანაშაულის დროს ცალკეულ დანაშაულთა ობიექტური მხარე ხასიათდება ერთიანი ან ერთგვაროვანი მოქმედებებით იმ აუცილებელი პირობით, რომ ისინი გათვალისწინებული უნდა იყვნენ ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობით. აქედან გამომდინარეობს, რომ ცალკეულ მოქმედებათა შორის როდი შეიძლება სრული იდენტურობა არსებობდეს. მაგალითად, პირმა გადაწყვიტა საკუთარი ბიბლიოთეკის გამდიდრება სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხარჯზე. ამ განზრახვის განსახორციელებლად იგი თავდაპირველად ითვისებს სახელმწიფო ბიბლიოთეკიდან საკუთარ აბონემენტზე გატანილ ძვირფას წიგნს, ხოლო შემდეგ იპარავს იმავე ბიბლიოთეკიდან ბიბლიოგრაფიული იშვიათობის მქონე წიგნს. აქ ორთავე მოქმედება სახელმწიფო ქონების წინააღმდეგაა მიმართული და თუმცა განსხვავდებიან ობიექტური მხრივ (ერთ შემთხვევაში—მითვისება, ხოლო მეორეში—ქურდობა), ისინი მაინც ერთ განგრძობით დანაშაულს ქმნიან.

ზოგიერთი დანაშაულის განგრძობითი ხასიათი თვით მათივე ბუნებითაა დაპირობებული (მაგალითად, მკვლელობა, ომის პროპაგანდა, ზოგჯერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენება და სხვ.). ცალკეულ შემთხვევებში განგრძობით დანაშაულად შეიძლება მივიჩნიოთ ხულიგნობაც¹.

გარკვეული ცვლილებანი შეიტანა სასამართლო პრაქტიკამ განგრძობითი დანაშაულის ცნებაში 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებების გამოცემის შემდეგ. ამ ბრძანებულებათა გამოცემამდე გაფლანგვა, რაც ჩადენილი იქნებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მინდობილი ფულის თანხის ნაწილ-ნაწილ მითვისების გზით, განიხილებოდა როგორც ერთი, განგრძობითი დანაშაული. აღნიშნულ ბრძანებულებათა გამოცემის შემდეგ სასამართლო პრაქტიკა სისტემატურ გაფლანგვას განიხილავს არა როგორც ერთიან განგრძობით დანაშაულს, არამედ როგორც განმეორებით დატაცებას.²

საერთოდ იქ, სადაც სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის განმეორებით ჩადენას ითვალისწინებს, ყოველთვის როდია გამორიცხული ჩადენილის განგრძობით დანაშაულად მიჩნევის შესაძლებლობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პირი იტაცებს სოციალისტურ ქონებას ერთი საერთო განზრახვითა და მიზნით, ერთი და იმავე წყაროდან სხვადასხვა დროს ისე, რომ ჩადენილი დატაცება არ შეიცავს „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისის გამოცემული ბრძანებულების მე-2 ან მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ სხვა დამამძიმებელ გარემოებებს, ე. ი. ორგანიზებულ ჯგუფს ან დიდ ოდენობას, მაშინ ჩადენილი დატაცება უნდა დაკვალიფიცირდეს აღნიშნული ბრძანებულების პირველი ან მესამე მუხლებით და არა განმეორებით დატაცებად.

განგრძობითი დანაშაულის ცნება შესაძლებლობას იძლევა ერთ მთლიანობაში შეფასდეს მისი შემადგენელ დანაშაულებრივ ქმედობათა საზოგადოებ-

¹. Е. А. Фролов, А. К. Шедрина, ответственность за хулиганство, Свердловск, 1957 г., стр. 20-21.

². Советское уголовное право учебное пособие, М., 1958 г., стр. 117-118.



რივი საშიშროება და ამით სათანადო სასჯელი იქნას შეფარდებული. მაშინ, თუ მოლარე სახელმწიფო დაწესებულების სალაროდან ცალკეულ წვრილმან დატაცებათა გზით საბოლოოდ ითვისებს არაწვრილმან ფულის თანხას, მაშინ თვითეული ამ წვრილმანი დატაცების იზოლირებული განხილვა მიგვიყვანდა არასათანადო კანონის და ამით ლმობიერი სასჯელის შეფარდებამდე. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების ნაცვლად არასწორად იქნებოდა შეფარდებული „სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულება.

განგრძობითი დანაშაულის ერთიან დანაშაულად აღიარებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო სასჯელის შეფარდების თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე ხანდაზმულობის ვადების გამოთვლისას, დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრისათვის, ამნისტიის შეფარდებისათვის და სხვ.

განგრძობით დანაშაულში ხანდაზმულობის დენა იწყება უკანასკნელი დანაშაულებრივი მოქმედების ჩადენიდან. განგრძობითი დანაშაულის ჩადენის ადგილად ითვლება ასევე უკანასკნელი დანაშაულებრივი მოქმედების ჩადენის ადგილი. შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც განგრძობითი დანაშაულის შემადგენელი ზოგიერთი მოქმედება გამოვლინებული იქნება განაჩენის გამოტანის შემდეგ. ეს არ შეიძლება წარმოადგენდეს საფუძველს ხელახალი გამოძიებისათვის, მათ დაფარავს უკვე გამოტანილი განაჩენი, რომელიც ერთიანი, განგრძობითი დანაშაულის მიმართ იყო გამოტანილი თუკი ეს შემოქმედებას არ მოახდენს უკვე შეფარდებული სასჯელის ზომაზე ან კვალიფიკაციაზე.

განგრძობითი დანაშაულის მიმართ ამნისტია გავრცელდება მხოლოდ მაშინ, თუ მისი შემადგენელი უკანასკნელი მოქმედება ჩადენილი იქნება ამნისტიის აქტის გამოცემამდე.

გ. ტყეშელიაძე.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები საზოგადოებრივი წესრიგის სარეაქტობა

გასული წლის 14 დეკემბერს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანხ. ვ. პ. მუხანაძემ თავის მოხსენებაში „საზოგადოებრიობის როლის ამაღლება დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში“, აღნიშნა თბილისის სტალინის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დადებითი გამოცდილება ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შექმნისა და მუშაობის საქმეში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ წერილს თბილისის სტალინის სახელობის რაიონში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ხალხის შემოქმედებითი ინიციატივის კიდევ უფრო მძლავრი გაშლა გამოიწვია. პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ატარებენ ღონისძიებებს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფისათვის სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების ჩაბმისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის იანვარში გაუქმებულ იქნა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო და მისი ფუნქციები გადაეცა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის ორგანოებს. როგორც ანხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა თავის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიაზე — „ეს გაკეთდა არა მარტო იმ მიზნით, რომ შემცირდეს და გაიფხვოს აპარატი, არამედ უმთავრესად სოციალისტური დემოკ-

რატიის შემდგომი განვითარების, მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების ინტერესებისათვის, იმ ინტერესებისათვის, რომ მეტი უფლებები მიენიჭოთ ადგილობრივ ორგანოებს.“

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა საზოგადოებრივი აზრის ძალა, კოლექტივის აღმზრდელითი როლი; ამიტომაც ბუნებრივია ის, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეს პარტია ახლა ასე ვაბედულად ანდობს თვით საზოგადოებრიობას.

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის დადგენილებას — „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“, თბილისის სტალინის რაიონის პარტიული ორგანიზაციები საგრძნობ მუშაობას ატარებენ რაიონში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის.

1959 წლის აპრილში რაიონის პირ-

ველადი პარტიული ორგანიზაციების დია კრებებზე განხილული იქნა საკითხი მშრომელთა მონაწილეობის შესახებ რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. მსხვილ წარმოება-დაწესებულებებთან შეიქმნა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, რომელთა მეთაურებად რაიკომმა შეარჩია პარტი-ორგანიზაციის მდივნები და დირექტორები. ამავე დროს შეიქმნა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონული შტაბი.

დღეისათვის რაიონში მოქმედებს 32 ნებაყოფლობითი სახალხო რაზმი, რომლებიც 1500-ზე მეტ რაზმელს აერთიანებს. ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს დიდი ძალა მაქსიმალურად გამოვიყენოთ სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის. თითოეულ რაზმეულს გამოყოფილი აქვს გარკვეული სამოქმედო უბანი, მორიგეობის დღეები და საათები. სახალხო რაზმეულები წესრიგს ძირითადად იცავენ ისეთ ადგილებში, სადაც ხდება ხალხთა მასობრივი თავშეყრა, რაიონის მთავარ ქუჩებზე, კინოთეატრებთან, კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, სტადიონზე, საქალაქო ტრანსპორტზე და ა. შ. ვინაიდან რაზმეულები წარმოება-დაწესებულებათა მუშაკები არიან, ისინი საღამოს საათებში — 6 საათიდან-11 საათამდე მორიგეობენ, ხოლო გამოსასვლელ დღეებში მორიგეობენ ორ ცვლად. დღის 12 საათიდან ღამის 12 საათამდე, სახალხო რაზმეულების მეთაურები ჩატარებულ მუშაობისა და გამოვლინებულ დარღვევათა შესახებ ინფორმაციას უდგენენ რაიონულ შტაბს. ამასთან ერთად საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევის თითოეულ ფაქტზე ადგილზევე ადგენენ სათანადო აქტს, რომელიც შემდეგ ეგზავნება იმ ორგანიზაციას, სადაც წესრიგის დამრღვევი მუშაობს ან სწავლობს, რათა მასზე იმსჯელოს კოლექტივმა და მიიღოს

სათანადო აღმზრდელობითი ღონისძიებანი. იმ შემთხვევაში, როდესაც სახალხო პროფილაქტიკური ხასიათის ზომები არ არის საკმარისი, მაშინ დამნაშავეს საქმე რაიონულ შტაბთან შეთანხმებით გადაეცემა მილიციის რაიონულ განყოფილებას ან სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ჩამოყალიბებიდან 9 თვე გავიდა. უკვე შეიძლება ვიმსჯელოთ მათი მუშაობის პირველ შედეგებზე. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებული ბევრი ნაკლოვანებისა, სახალხო რაზმებმა თავიანთი დანიშნულება გაამართლეს. ისინი უფროდაუფრო მეტი მნიშვნელობის ძალად ხდებიან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბრძოლაში. ყოველგვარი ჯურის უსაქმურმა ელემენტებმა, უკვე იგრძნეს სახალხო რაზმეულების მკაცრი მაგრამ სამართლიანი ხელი. ამის მკაფიო მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ 1959 წლის აპრილიდან დეკემბრამდე განვლილ პერიოდში ჩვენს რაიონში 1958 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 41 პროცენტით შემცირდა საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევისა და ხულიგნობის შემთხვევები.

ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან ტროლეიბუსების სამმართველოს სახალხო რაზმეული (მეთაური-სამმართველოს პარტიუროს მდივანი ამხ. ა. ხეთაგური), პოლიტექნიკური, ინდუსტრიული და რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმების სახალხო რაზმეულები (მეთაურები-პარტიული ბიუროების მდივნები ამხ. შ. ფირცხალავა, ს. კუპატაშვილი და შ. კაკაშვილი), რაიონულ შტაბთან არსებული ნაკრები სახალხო რაზმი (მეთაური ამხ. ი. ბაღათურია), ტრამვაის სამმართველოს სახალხო რაზმეულის მეთაური-

სამმართველოს პარტიკომის მდივანი ანზ. ვ. პატარაია).

1959 წლის 19 აგვისტოს ტროლეიბუსების სამმართველოს სახალხო რაზმეულებმა დააკავეს ტრამვაის სამმართველოს მუშაკი ი. კოკოვეი, რომელიც სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მგზავრებს. კოკოვეის საკითხი განხილული იქნა ტრამვაის სამმართველოს პარტიკომის სხდომაზე, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. კოკოვეი ამჟამად ერთ-ერთი წესიერი და დისციპლინიზებული მუშაკია.

1959 წლის 28 აგვისტოს ღამის 11 საათზე ტროლეიბუსების სამმართველოს სახალხო რაზმელმა ნ. სოხიაშვილმა დააკავა გაურკვეველი პროფესიის მჭონე, ვინმე ს. ვართანოვი, რომელმაც დანით ჭრილობა მიიყენა მოქალაქე კუმარიტოვს. ს. ვართანოვი წარდგენილი იქნა მილიციის რაიონულ განყოფილებაში და მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მიმდინარე წლის 17 იანვარს რაიონის საბინაო სამმართველოს სახალხო რაზმელმა ალ. ბარათაშვილმა დააკავა და მილიციის განყოფილებაში წარადგინა ვინმე გ. პასმანდოვი, რომელმაც სკვერში ჩაძინებულ მოქალაქეს მოხადა თავზე ქუდი და ცდილობდა მიმალულიყო.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გააძლიერა მუშაობა მაუდ-კამეოლის კომბინატის ნებაყოფლობითმა სახალხო რაზმეულმა. კომბინატის პარტიულმა კომიტეტმა 13 იანვარს მოაწყო სახალხო რაზმეულების შეკრება, სადაც რაზმეულებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. შეკრების მონაწილეებს ესაუბრნენ აგრეთვე რაიონული შტაბის წევრები, მილიციის საქალაქო სამმართველოსა და რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი მუშაკები. შეკრებაზე რაზმელი რ. ჩეკურაშვილი

აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იქნა მაჯის საფეხურიანი

დიდი პოპულარობით სარგებლობს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონული შტაბის ყოველთვიური სატირულ - იუმორისტული ორგანო „მათრახი“. ამ გაზეთში მოთავსებული ფოტო-ილუსტრაციები და სატირული კუპლეტები ზოგჯერ უფრო მეტად მოქმედებენ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებზე, ვიდრე მათი დაჯარიმება ან სხვა ზომით დასჯა. რაიონულ შტაბში ხშირად მოდიან „მათრახში“ გამომხეურებული მოქალაქეები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ისინი აღიარებენ თავიანთ შეცდომებს, პირობას იძლევიან, რომ მომავალში არ გაიმეორებენ მსგავს დარღვევებს და გვთხოვენ, რომ „მათრახიდან“ ამოვიღოთ მამხილებელი მასალები მათ შესახებ. ცალკეულ შემთხვევებში, როცა ეს მიზანშეწონილია, სამუშაო ადგილიდან სათანადო შუამდგომლობის შემდეგ ჩვენ ვაკმაყოფილებთ ასეთ თხოვნას. უნდა ითქვას, რომ ამგვარ „დათმობას“ უმეტეს შემთხვევაში სასურველი შედეგი მოაქვს.

მოვიყვანთ ერთ დამახასიათებელ მაგალითს. გაზეთ „მათრახის“ 1959 წლის აგვისტოს ნომერში მოთავსებული იყო მასალა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალის“ ტიპოგრაფიის მუშაკის ალ. ბუჯგულაშვილის არაწესიერ მოქმედების შესახებ. იმყოფებოდა რა არაფხიზელ მდგომარეობაში ლ. ბუჯგულაშვილმა უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი. ჩვენი გაზეთის გამოსვლის შემდეგ მან რამდენიმეჯერ სთხოვა რაიონულ შტაბს ამოეღო „მათრახიდან“ მასალები მის შესახებ, ამავე დროს მტკიცე პირობა მოგვცა, რომ მომავალში სანიმუშო მოქცევით განისყიდდა ჩადენილ დანაშაულს. ბუჯგულაშვილს მხარი დაუჭირა ტიპოგრაფიის კოლექტივმა, რომელმაც შუამდგომ-

ლობა აღძრა რაიონული შტაბის წინაშე. ჩვენ დავაკმაყოფილეთ მათი თხოვნა და, როგორც სჩანს, არც შევემცდარვართ, რადგან ალ. ბუჯგულაშვილმა შეასრულა თავისი დაპირება. ანალოგიური მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ყველა სახალხო რაზმი და რაზმელი როდი მუშაობს კარგად. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც ქუჩაში მორიგეობაზე მყოფი რაზმელი გვერდს უვლის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს ან უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ საქმეში პასიური ჩარევით კმაყოფილდება.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივალწიეთ, რომ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების მორიგეობა რაიონის მთელ ტერიტორიაზე წარმოებდეს. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ბევრ წარმოება-დაწესებულებაში შექმნილი არ არის სახალხო რაზმეულები: მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში, წისქვილის № 6 ქარხანაში, სააფთიაქო სამმართველოში და სხვ., რომლებიც რამდენიმე ასეულ მუშაკს აერთიანებენ.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში ჩვენს მიერ ჩატარებულ მუშაობას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება ახასიათებს, რომელთა აღმოფხვრის მიზნით პარტიის რაიკომმა უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი ღონისძიებანი

განახორციელა. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობის საკითხი განხილული იქნა რაიკომის ბიუროს სხდომაზე, აგრეთვე რაზმეულების მეთაურთა, პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების მუშაკთა რაიონულ თათბირზე. 1959 წლის 23 დეკემბერს რაიონის პარტიული აქტივის კრებამ განიხილა საკითხი „დანიშნულობათა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ“. ამის შედეგად რაიონში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობა მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

თბილისის სტალინის რაიკომსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების მიზნით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ მომავალში საჭიროა მუშაობის უფრო გაძლიერება ჩვენს ქალაქში ნამდვილად სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის, რათა ყველა მშრომელს, რომელიც თავდადებულად იბრძვის შეიდწლედის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულებისათვის, ჰქონდეს შექმნილი კულტურული, შინაარსიანი დასვენებისა და ცხოვრების ყველა პირობა.

ბ. სალუქვაძე,

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონული შტაბის უფროსი.

ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა ახალი ამონაგების ღონეზე

ს. ქაჯანია

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
თლოს თავმჯდომარის მოადგილე,
ზ. მენსენბერგი

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და ინტერესების დასაცავად. ხორციელდება ფართო ღონისძიებანი იმისათვის, რომ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში მონაწილეობდეს მთელი საზოგადოებრიობა.

თავის მოხსენებაში პარტიის XXI ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა: „ვანა საბჭოთა საზოგადოებრიობას არ შეუძლია მოერიოს სოციალისტური წესრიგის დამრღვევთ? რა თქმა უნდა შეუძლია. ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამისათვის ნაკლები შესაძლებლობანი, სახსრები და ძალები როდი აქვთ, ვიდრე მილიციას, სასამართლოსა და პროკურატურას“.

ჩვენი ხალხი დიდი ინტერესით გაეცნო ამას წინათ პრესაში გამოქვეყნებულ პროექტებს „საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების“, „ამხანაგური სასამართლოების სანიმუშო დებულებისა“ და „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების სანიმუშო დებულების“ შესახებ.

ამ კანონ-პროექტების გამოტანა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის ჩვე-

ნი საზოგადოებრივი წყობილების ნამდვილი დემოკრატიზმის ახალი მკაფიო გამოვლინებაა.

უკანასკნელ ხანებში საზოგადოებრიობა სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში დიდი წვლილი შეაქვს ამხანაგურ სასამართლებს.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ამხანაგური სასამართლო. მის შემადგენლობაში არიან ფაბრიკის წარჩინებული მუშაკები, რომელთაც თავი გამოიჩინეს როგორც შრომით საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეულია ერთ-ერთი წარჩინებული მუშა, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი დ. ალიბეგაშვილი, რომელიც 20 წელია ფაბრიკაში მუშაობს. ამ ხნის მანძილზე მან კოლექტივის საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ამხანაგური სასამართლოს შემადგენლობაშია ფაბრიკის 9 მოწინავე ადამიანი. ესენი არიან ხამი ქსოვილების საწუნდებლო განყოფილების უფროსი ვ. მამუშელაშვილი, საფაბრიკო-საქარხნო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ვ. ლეჟავა, მოსამზადებელი საამქროს მქსოველი ნ. ბარათაშვილი და სხვ. მათგან გამოყოფილია

თავმჯდომარის ორი მოადგილე და მდივანი.

ფაბრიკაში ამხანაგური სასამართლო 1951 წლიდან არსებობს და დღემდე 500-მდე საქმე აქვს გარჩეული. მათ შორის შრომის დისციპლინის, ტექნიკური უშიშროების წესების დარღვევის, ლოთობისა და სხვა საკითხები.

თუ ამხანაგური სასამართლოს დარღვევის პირველ წლებში საშუალოდ ირჩეოდა 50-60 საქმე, ამხანაგური სასამართლოს ზემოქმედების შედეგად ფაბრიკაში დარღვევები საგრძნობლად შემცირდა და 1959 წელს ამხანაგური სასამართლოს მიერ მხოლოდ 9 საქმე იქნა გარჩეული.

ამხანაგური სასამართლო განსახილველად საქმეებს ღებულობს ფაბრიკის დირექციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარდგინებით. ამოწმებს და სწავლობს გადაცემულ მასალებს. საქმეების შემთხვევაში ხდება გასაუბრება მოწმეებთან, ამხანაგურ სასამართლოში შემოსული საქმეები 10 დღის ვადაში იხილება.

საქმის განხილვამდე 2-3 დღით ადრე ფაბრიკის შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილებზე გამოიკვრება განცხადებები. ადგილობრივი რადიოკვანძი საქმის გარჩევის წინა დღეებში აუწყებს მუშებს საქმეების განხილვის დროსა და ადგილს.

ამხანაგური სასამართლოს სხდომები ტარდება ფაბრიკის კლუბში. თვითივე სხდომაზე განსახილველად გამოაქვთ 1-2 საკითხი. სასამართლოს პროცესის ხანგრძლივობა ერთნახევარ საათს არ აღემატება.

თავმჯდომარე აცნობს დამსწრეთ თუ ვისი საქმე ირჩევა. შემდეგ აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას, აყენებს საკითხს, ხომ არა აქვთ აცილება დაინტერესებულ პირთ ამხანაგური სასამართლოს შემადგენლობაზე, რის შემდეგ აქვეყნებს საქმის ირგვლივ შემოსულ

მასალებს და სიტყვას აძლევს გასასამართლებელ პირს, ამხანაგური სასამართლოს შემადგენლობა კი თავის მხრივ მას აძლევს შეკითხვებს. შეკითხვებისა და სიტყვის უფლება ეძლევათ აგრეთვე სხდომის მონაწილეებს.

შეკითხვებისა და სიტყვების შემდეგ გამოდის გასასამართლებელი პირი.

ამხანაგური სასამართლოს სხდომაზე რთული საქმეების გარჩევისას დგება ოქმი, სადაც მოკლედ აღმოცემულია როგორც შეკითხვების, ისე სხდომაზე გამოსული ამხანაგების სიტყვების შინაარსი. ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი.

ამხანაგური სასამართლო რთულ საქმეებზე გადაწყვეტილების გამოსატანად გადის სათათბირო ოთახში, ამის შემდეგ ფეხზე ადგომით აქვეყნებს გადაწყვეტილებას, რომელშიც მითითებულია ამხანაგური სასამართლოს სახელწოდება, თარიღი, იმ პირის მოკლე ანკეტური მონაცემები, ვისი საქმეც იქნა განხილული, მოკლე შინაარსი და რა დადასტურდა საქმის განხილვის შედეგად და მიღებული გადაწყვეტილების შედეგი.

ფაბრიკის შესასვლელთან გაზეთების ვიტრინების ახლოს, სადაც ჩვეულებრივად ხალხის სიმრავლეა, ცალკე ფარზე გამოკრულია ამონაწერი ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილებიდან. იგი ყველას ამცნობს, რომ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის საქსოვი საამქროს მწონავმოანგარიშეს რ. მოდებამეს გამოეცხადა საზოგადოებრივი გაკიცხვა, ხოლო მექანიკური საამქროს საქვაბე განყოფილების ცეცხლფარეშ ვ. ქერდიკაშვილს, ლოთობისა და სამუშაო უბანზე დებომისათვის — საზოგადოებრივი საყვედური.

რუსუდან მოდებამემ და ვლადიმერ ქერდიკაშვილმა პირველი შერცხენა მაშინ იგრძნეს, და შეიძლება ითქვას მათ

ირგვლივ საზოგადოებრივი გაკიცხვის ატმოსფეროც მაშინ შეიქმნა, როცა ფაბრიკაში გამოაკრეს განცხადება მათი საქმის ამხანაგურ სასამართლოში განხილვის შესახებ.

როგორც სასამართლოს სხდომაზე გამოირკვა, მწონავმონაგარიშე რ. მოღებაძემ უმიზეზოდ გააცდინა სამუშაო დღე, რამაც გამოიწვია სამუშაო უბნის შეფერხება. მან ამხანაგურ სასამართლოს სხდომაზე პირობა დადო, რომ ამიერიდან არ ჩაიდენდა ასეთ საქციელს.

ამხანაგურმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ახალგაზრდა მუშაკის გულწრფელი აღიარება, ვაითვალისწინა, რომ საერთოდ მას დადებითად ახასიათებენ და დაკმაყოფილდა საზოგადოებრივი გაკიცხვის გამოცხადებით.

ვ. ქერდიკაშვილი ხშირად თავს ვერ იკავებდა ღვინის სმისაგან და სამუშაოზე ნასვამი ცხადდებოდა. ეს კი ბუნებრივია მოქმედებდა სამუშაოს შესრულების ხარისხზე. „თავს დამანაშავედ ვთვლი. გთხოვთ ჩემი არასწორი მოქმედება მაპატიოთ... ამიერიდან ღვინის სმას თავს ვანებებ“. ასე მიმართა მან ამხანაგურ სასამართლოს.

ამხანაგურ სასამართლოს სხდომაზე, რომელსაც ფაბრიკის 200-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე ესწრებოდა. სიტყვა ითხოვა საქვამე განყოფილების უფროსმა ე. ინდიკოვმა, ცვლის უფროსმა ვ. კვეზერელმა, რომლებმაც ვ. ქერდიკაშვილი დაახასიათეს, როგორც კვალიფიციური მუშა-სპეციალისტი, გულისხმიერი ამხანაგი. სიფხიზლეში მას არასდროს არ დაურღვევია შრომითი და საწარმოო დისციპლინა. ყოველივე ეს ვაითვალისწინა ამხანაგურმა სასამართლომ და გადაწყვიტა ვ. ქერდიკაშვილისათვის მხოლოდ საზოგადოებრივი საყვედური გამოეცხადებინა.

ერთი მაგალითიც: საქსოვი საამქროს მქსოველი რაისა გოდუნოვა სის-

ტემატურად უშვებდა უხარისხო მტოლუქციას. მისი ასეთი მოქმედების შესახებ იმსჯელა ამხანაგურმა სასამართლომ და ღირექციის წინაშე დააყენა საკითხი, გოდუნოვა გადაყვანილი ყოფილიყო დაბალი ტიპის მომსახურების დაზგაზე, რაც შესრულებულ იქნა. ამჟამად რაისა გოდუნოვა ერთ-ერთი მოწინავე მქსოველია საამქროში.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ამხანაგურ სასამართლოს მუშაობის დადებითი გამოცდილება აქვს, მაგრამ დღემდე იგი უმთავრესად საწარმოო ხასიათის საკითხების გარჩევით კმაყოფილდება, თუმცა ფაბრიკაში აქვს ადგილი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს. საკმაო ხანია, არ უმსჯელიათ აგრეთვე საყოფაცხოვრებო ხასიათის საკითხებზე. ამხანაგური სასამართლები, — აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXI ყრილობაზე, — „...უნდა არჩევდნენ არა მარტო საწარმოო, აგრეთვე საყოფაცხოვრებო, მორალური ხასიათის საკითხებს, კოლექტივის იმ წევრთა არასწორი მოქმედების ფაქტებს, რომლებმაც დაუშვეს საზოგადოებრივი წესრიგის ნორმებისაგან გადახრა“.

მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს აგრეთვე თბილისის მე-ნ სამკერვალო ფაბრიკის, ტყავის პირველი ქარხნის, საფეიქრო - საგალანტერიო ფაბრიკა „კომსომოლის“, ორჯონიკიძის სახელობის პირველი სამკერვალო ფაბრიკის, ქუთაისის ლიტოპონის ქარხნისა და აბრეშუმკომბინატის, თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ამხანაგურ სასამართლოებს.

სულ სხვა სურათია თბილისის კამოს სახელობის სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების ქარხანაში. მართალია აქ არჩეულია ამხანაგური სასამართლო და მის თავმჯდომარესაც — მექანიკური საჩამომსხმელო საამქროს მღარავს იოსებ სარქისოვს, ქარხანაში საკმაო ავტორიტეტი აქვს, მაგრამ შეიძლება ით-

ქვას, რომ ამხანაგური სასამართლო აქ უმოქმედობს. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1959 წელს გარჩეული იქნა მხოლოდ ოთხი საქმე, მაშინ, როდესაც ქარხანაში არის შემთხვევები, რომელიც იმსახურებდა ამხანაგური სასამართლოს ყურადღებას. ქარხნის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ნაკლებ დახმარებას უწევენ ამხანაგურ სასამართლოს მუშაობაში.

ამხანაგურ სასამართლოს მოწესრიგებული არა აქვს შემოსული მასალების აღრიცხვიანობის საქმე. მართალია ყურნალში აღნიშნულია იმ პირთა გვარები, რომელთა საქმეც განხილულ იქნა, მაგრამ მითითებული არ არის მასალების შემოსვლისა და გარჩევის თარიღი, საქმის მოკლე შინაარსი და მიღებული გადაწყვეტილება.

ამხანაგური სასამართლოს სხდომის ჩატარებისას ხელალებით გადმოტანილია სახალხო სასამართლოს ზოგიერთი პრაქტიკა. ასე მაგალითად, სხდომის დაწყებისას თავმჯდომარე აცხადებს — სასამართლო მობრძანდება, გთხოვთ ფეხზე ადგეთ. ამხანაგურ სამართალში მიცემულ პირს სხდომაზე უწოდებენ ბრალდებულს, ან სამართალში მიცემულს, რაც არასწორია.

ასევე არასწორად მიგვაჩნია ამხანაგურ სასამართლოზე გადაცემული პირის გამოყოფა თვალსაჩინო ადგილზე დამსწრე ამხანაგებისაგან, რადგან მან არ უნდა იგრძნოს თავი კოლექტივისაგან გათიშულად.

აღნიშნული ამხანაგური სასამართლოს მუშაობის ნაკლოვანებანი განაპირობა იმანაც, რომ თბილისის კიროვის რაიონის პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაკები ნაკლებად ეხმარებიან მათ საქმიანობაში.

არის შემთხვევები, როდესაც ამხანაგური სასამართლოები მდივანს გამოყოფენ საქმის განხილვის დღეს ამხანაგურ

რი სასამართლოს წევრთა შემადგენლობიდან, ეს მაშინ, როდესაც ამხანაგური სასამართლოს დებულების პროექტის მესამე მუხლის მიხედვით მდივანი გამოიყოფა ამხანაგური სასამართლოს არჩევისთანავე და ეს არის მისი დატვირთვა ამ ხაზით. იმის შემთხვევებიც არის, როდესაც მდივანი იმავე დროს მონაწილეობს საქმის განხილვაში, რაც დაუშვებელია.

არის შემთხვევები, როდესაც ამხანაგურ სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით ერთიდამავე პირის მიმართ გამოაქვს საზოგადოებრივი ზემოქმედების ორი ღონისძიება. მაგალითად, საზოგადოებრივი საყვედური და ადმინისტრაციის წინაშე საკითხის დაყენება თანამდებობიდან ჩამოყენების შესახებ, რაც ეწინააღმდეგება დებულების მე-15 მუხლს.

როგორც ცნობილია ამხანაგური სასამართლოს დებულება ითვალისწინებს, რომ ამხანაგური სასამართლოს შემადგენლობა არჩეული უნდა იქნეს იქ, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 50 კაცზე მეტია, მაგრამ არის მუშა-მოსამსახურეთა მცირერიცხოვანი შემადგენლობის კოლექტივებიც. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? დავტოვოთ ეს კოლექტივები ამხანაგურ სასამართლოების გარეშე? ამ საკითხის გადაწყვეტისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავიზიაროთ პერმის ოლქის ფოკინსკის რაიონის გამოცდილება, სადაც რაიონის ცენტრთან შექმნილია საზოგადოებრივი-ამხანაგური სასამართლო 15 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში არჩეულია პროფკავშირული აქტივი და საწარმოთა წარმომადგენლები.¹

ამხანაგური სასამართლოები ამჟამად იყენებენ 1951 წლის 14 ივლისს გამო-

1. იხ «Социалистическая законность», 1959 г., № 12, стр. 48.



ცემულ დებულებას მოქმედი საწარმოო საამხანაგო სასამართლოების შესახებ და სოფლის საზოგადოებრივი სასამართლოების შესახებ, რაც საკმაო რაოდენობით არ არის და თანაც მასში მთელ რიგ პუნქტებს დღეისათვის დაკარგული აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

ამდენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამხანაგურმა სასამართლოებმა თავიანთ მუშაობაში იხელმძღვანელონ პრესაში ახლახან გამოქვეყნებული ამხანაგური სასამართლოს სანიმუშო დებულების პროექტით.

ამხანაგური სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მათდამი სასამართლო-პროკურატურის ორგანოების მუ-

შაყების დახმარებას, საუბრების, სემინარების, კონუსლტაციების ჩატარებით, სხდომაზე დასწრებითა და სხვა ღონისძიებებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის გაუმჯობესებას.

სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად წარსულის გადმონაშთებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამხანაგურ სასამართლოებს. საჭიროა მოკლე ხანში გამოშვებულ იქნეს პოპულარული ბროშურა ამხანაგური სასამართლოების მუშაობის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ საქმიანობას.

საზოგადოებრიობის მონაწილეობით

თანამედროვე ეტაპზე, როცა სახელმწიფო მმართველობის ბევრი ფუნქცია

სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის მუშაობის გამოცდილებიდან

სამუშაო გეგმა მტკიცდება რაიონული საბჭოს აღმასკომის სსლომაზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში გადადის, სოციალისტური კანონიერების და საბჭოთა მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში დიდი როლის შესრულება აკისრიათ სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივ კომისიებს, რომლებიც შექმნილია საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებთან.

სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისია, აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა კანონების, საზოგადოებრივი წესრიგის და მოქალაქეთა კანონით ვერანტირებული უფლებების დაცვაში.

გასული წლის 25 მარტს ქობულეთის რაიონის მშრომელთა დებუტატების მეშვიდე მოწვევის საბჭოს პირველ სესიაზე შეიქმნა სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისია. კომისიის შემადგენლობაში არჩეულია 13 დებუტატი, რომლებიც მუშაობენ რაიონის პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კომისიას შემოკრებილი ყავს თავის ირგვლივ აქტივი 22 ამხანაგის შემადგენლობით.

კომისია ყოველ კვარტალში ადგენს სამუშაო გეგმას, რომელშიც ითვალისწინებს იმ კანონების შესრულების შემოწმებას, რომელთა დარღვევებიც რაიონში უფრო ხშირად ხდება. კომისიის

თუ რამდენად ქმედითუნარიანია კომისიის მუშაობა მოვიყვანოთ ზოგიერთ მაგალითს. გასული წლის მეორე კვარტალის სამუშაო გეგმის მიხედვით კომისიამ შეამოწმა რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ ჩაის ფაბრიკებში, ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის და ცეკავშირის სისტემის ხილის და ციტრუსების გადამამუშავებელ ქარხნებში შრომის კანონმდებლობისა და ტექნიკის უსაშიშროების წესების დაცვის მდგომარეობა. შემოწმებით გამოირკვა, რომ ამ საწარმოებში ადგილი ქონდა შრომის კანონმდებლობისა და უსაშიშროების ტექნიკის წესების უხეშ დარღვევებს. გამოირკვა, რომ ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ხელმძღვანელობა მუშა - მოსამსახურეებს დროულად არ უსწორებდა ანგარიშს, არ აძლევდა კუთვნილ შრომის ხელფასს, სამივლინებო და შებენილების თანხებს, არ ახდენდა ზედმეტი სამუშაო საათების ანაზღაურებას.

ამას გარდა ამ ორგანიზაციიდან 1958 წლის განმავლობაში სასამართლოში შრომის საკითხზე აღძრული იყო 8 სარჩელი, რომელთაგან ყველა დაკმაყოფილდა.

კომისიის მიერ ასევე გამორკვეულ იქნა ჩაის ფაბრიკაში და სასურსათო ქარხანაში უსაშიშროების წესების დარღვევის ფაქტები და მისი გამომწვევი მიზეზები კერძოდ, გამორკვეული იქნა, რომ სასურსათო ქარხნის ხილის გადა-



მმუშავებელ საამქროს მუშები გაცნობილი არ იყვნენ უსაშიშროების წესებს, რის გამოც მუშა საფარისქვე მიიღო მძიმე დაზიანება. ქარხანაში ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიდან გამოყოფილი არ იყო პასუხისმგებელი პირი, რომელიც სათანადო ინსტრუქტაჟს ჩაატარებდა უსაშიშროების ტექნიკის დაცვის საკითხებზე. უფრო მეტიც, შემოწმების შემდეგ ხილის გადამუშავების საამქროს გამგემ ინჟინერმა ბასილაძემ საფარის დაზიანების გამო მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით გააფორმა მუშათა ყალბი ხელმოწერები უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვის შესწავლის შესახებ.

კომისიის შემოწმების შედეგად მუშა საფარის დაზიანების ფაქტზე მასალა გადაეცა პროკურატურას და დამნაშავენი დაისაჯნენ.

კომისიის მიერ შემოწმებული მასალები გატანილი იქნა რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე განსახილველად, სადაც ესწრებოდნენ საწარმო-დაწესებულებათა ორგანიზაციების ხელმძღვანელები. აღმასკომის მიერ მიღებული დადგენილება დაეგზავნა რაიონის ორგანიზაციებს, რის შედეგადაც 1950 წელს შრომის კანონმდებლობისა და უსაშიშროების წესების დარღვევის ფაქტები საგრძნობლად შემცირდა.

გასული წლის ივნისში კომისის წევრებმა დ. ძნელაძემ და მ. კვაჭაძემ, აქტივისტებთან ნ. წულაიასთან, ვ. ნიკოლაშვილთან, გ. ხარატიშვილთან და სხვებთან ერთად შეისწავლეს საკითხი რაიონში საპასპორტო რეეიშის დაცვის მდგომარეობის შესახებ. შემოწმებით გამოირკვა, რომ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და გადამუშავების დაწყების მომენტში ჩაის საბჭოთა მეურნეობათა და ფაბრიკის ხელმძღვანელები მოქალაქეებს სამუშაოზე ღებულობდნენ ყოველგვარი საბუთების გარეშე, ჩაუწე-

რავად. შემოწმების დროისათვის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ბინებში ჩაუწერავად ცხოვრობდა 151 მოქალაქე, ხოლო უპასპორტოდ 141. ანალოგიური მდგომარეობა გამოვლინდა სხვა ორგანიზაციებშიც. კომისიის შემოწმების შედეგად აღნიშნული დარღვევები გამოსწორდა.

ქობულეთის რაიონში გავრცელებულ დანაშაულს წარმოადგენდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ისეთი ფაქტები, როგორიცაა ხულიგნობა, აზარტული თამაში და სხვა, რის გამოც კომისიის წევრების დ. ძნელაძის, ნ. ცეცხლაძის, მ. კვაჭაძის, ო. სალომკას და რ. სიორიძის მიერ აქტივისტებთან ერთად შემოწმებულ იქნა მუხაესტატეს, ხუცუბნის, ბობოყვათის, ციხისძირის სასოფლო და ოჩხამურის სადაბო საბჭოების ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობა. ამ საკითხის შემოწმების დროს კომისიის წევრები ადგილზე გაესაუბრნენ მცხოვრებლებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი რაზმეულის წევრებს და განოვლინეს წესრიგის დამრღვევნი და ის პირები, ვინც საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას გაუბრუნდნენ. კომისიის წევრებმა ჩაატარეს საუბრები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა აგრეთვე რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

კომისია ყოველ კვარტალში ადგენს სამუშაო გეგმას, რომელშიც ითვალისწინებს იმ კანონების შესრულების შემოწმებას, რომელთა დარღვევებიც რაიონში უფრო ხშირად ხდება. კომისიის სამუშაო გეგმა მტკიცდება რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე.

თუ რამდენადაც ქმედითუნარიანია კომისიის მუშაობა, მოვიყვანო ზოგიერთ მაგალითს. გასული წლის მეორე კვარტალის სამუშაო გეგმის მიხედვით კომი-

სიამ შეამოწმა რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ ჩაის ფაბრიკებში, ადგილობრივი მეურნეობის კომბინატისა და ცეკავშირის სისტემის ხილის და ციტრუსების გადამამუშავებელ ქარხნებში შრომის კანონმდებლობისა და ტექნიკის უსაშიშროების წესების დაცვის მდგომარეობა. შემოწმებით გამოირკვა, რომ ამ საწარმოებში ადგილი ქონდა შრომის კანონმდებლობის და უსაშიშროების ტექნიკის წესების უხეშ დარღვევებს. გამოირკვა, რომ ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ხელმძღვანელობა მუშა-მოსამსახურეებს დროულად არ უსწორებდა ანგარიშს, არ აძლევდა კუთვნილ შრომის ხელფასს, სამავალინებო და შვებულებების თანხებს, არ ახდენდა ზედმეტი სამუშაო საათების ანაზღაურებას, კანონის დარღვევით ითხოვდა მუშაკებს სამუშაოდან, მაგალითად, კომბინატის დირექტორის ბრძანებით შრომის დისციპლინის „დარღვევის“ მოტივით მოხსნილ იქნა კომბინატის ეკონომისტი ინწკირველი მაშინ, როდესაც ამისი საფუძველი არ არსებობდა. ინწკირველი სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგენილი იქნა სამუშაოზე განაცდურის ანაზღაურებით, მაგრამ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას კომბინატის დირექტორი გოგიძე არ დაემორჩილა, ინწკირველი ორი თვის განმავლობაში არ აღადგინა სამუშაოზე. მხოლოდ სასამართლოს ხელმეორედ ჩარევის შემდეგ აღადგინეს ინწკირველი სამუშაოზე.

სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივმა კომისიამ და მისმა აქტივმა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩატარა რაიონის მოსახლეობაში სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვე-

ტილებების ცხოვრებაში განკარგულად. კომისიის წევრები რ. სიორიძე, დ. ძნელაძე, ნ. ცეცხლაძე, ასევე კომისიის აქტივისტები შ. ჭანუყვაძე, გ. ვაბეჩავა, ს. ბოლქვაძე, ი. მიქაუტაძე და სხვები სისტემატურად კითხულობენ ლექცია-მოსხენებებს რაიონის მშრომელთა წინაშე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საკითხებზე.

კომისიის ინიციატივით ქობულეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის მეორე სესიაზე განხილულ იქნა საკითხი „რაიონში სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობისა და მისი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“. აღნიშნულ საკითხზე მოხსენების მასალები და სესიის გადაწყვეტილების პროექტი მომზადებულ იქნა კომისიის წევრების მიერ, რაც ადრე განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიის წევრებმა აქტიური დახმარება გაუწიეს ულიანოვცის და ბობოყვათის სასოფლო საბჭოსთან არსებულ ანალოგიურ კომისიებს სასოფლო საბჭოს სესიაზე საკითხის მომზადებასა და გატანაში.

კომისიის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული და კომისიის წევრების ინიციატივით შემოტანილი საკითხების შემოწმების შედეგები ყოველთვის იხილება კომისიის სხდომაზე და საჭიროების შემთხვევაში საკითხები მზადდება რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე განსახილველად.

მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის სწორი და გამართული მუშაობა ერთერთი საიმედო ძალა საბჭოთა კანონიერების დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

ს. ნანიტაშვილი.

ქართული იურიდიული ზეგონომოლოგიის მასალები*

пгорный дом	სამორინო
издивенец	კმაყოფაზე მყოფი, სარჩენი
издивение	1. კმაყოფა, რჩენა, შენახვა; 2. სარჩო; 3. სახ- სარი, სარჯი
избиение ✓	1. ცემა-ტყეპა; 2. ამოხოცვა, ამოუღეტა
избирательное право	1. საარჩევნო სამართალი; 2. საარჩევნო უფ- ლება
избирательный список	1. საარჩევნო სია; 2. ამომრჩეველთა სია
избирательный пар	საარჩევნო კენჭი
извещение	1. შეტყობინება, ცნობება; 2. ცნობა, უწყება
извинение	1. ბოდიში, ბოდიშის მოხდა; 2. პატიება, მი- ტევება
извинительный, ая, ое	საპატიებელი, მისატევებელი
извлечение	1. ამოღება; 2. ამონაწერი, ამონაყრები
изгнание	გაძევება, განდევნა
изгнание плода	მუცლის მოწყვეტა, მოშლა, წახდენა
изготовление самогона	შინაური არყის გამოხდა
изделия неклеименные ✓	ღამღადაუსმელი ნაკეთობანი
издольщик	მოზიარე
издольщина	მოზიარობა
излишек жилищлоади	ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი
излишки товаров	მეტნარჩენი საქონელი
изменение гражданства	მოქალაქეობის გამოცვლა
изменение завещания	ანდერძის შეცვლა
«изменение к худшему»	„შეცვლა საუარესოდ“ (განაჩენისა)
изменение меры пресечения	აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა
изменить	1. შეცვლა (შეცვლის), გამოცვლა (გამოცვ- ლის); 2. დალატი (უდალატებს), მუხთლობა (უმუხთლებს)
изменничество	მოდალატეობა, მუხთლობა
измышление	1. მოჭორვა, მოჩმახვა; 2. მოწაქორი, მონა- ჩმახი
изнасилование	გაუპატიურება
изобличающий, ая, ое	მამხილებელი
изобличение в преступлении	დანაშაულში მხილება
изобличитель	მამხილებელი
изобретательское право	1. საგამომგონებლო სამართალი; 2. საგამომ- გონებლო, გამომგონებლის უფლება
изоляция	იზოლირება, განცალკევება

* გაგრძელება. იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1959 წ., № 5, № 6.

изолированная улика	იზოლირებული სამხილი
изувечение	დასახიჩრება
изуродовать	დამახინჯება (დაამახინჯებს)
изъявление	გამოთქმა, განცხადება, გამოცხადება
изъявление воли	ნების გამოვლინება, გამოჟღავნება
изъян	ზადი, ნაკლი
изъятие	1. ამოღება, ამოკლება, გამორიცხვა; 2. გამო- ნაკლისი
изъятие из под действия закона	კანონის მოქმედებიდან ამოღება
изъятие из правила	წესის გამონაკლისი
изъятие имущества	ქონების ამოღება, ჩამორთმევა
изыскание средств	სახსრების, საშუალებების გამოძებნა
именная надпись	სახელობითი წარწერა, წანაწერი
иммигрировать	იმიგრირება, (სხვა ქვეყანაში) გადასახლება (გადასახლდება)
иммунизировать	იმუნიზება, იმუნიტეტის შექმნა (იმუნიტეტს შეუქმნის)
иммунитет	იმუნიტეტი, შეუფაღლობა, სელშეუხებლობა
импортер	იმპორტერი
импортировать	(უცხოეთიდან) შემოზიდვა (შემოზიდავს), შე- მოტანა (შემოიტანს)
импортный, ая, ее	იმპორტული, საიმპორტო
имущественная общность	ქონებრივი ერთობა
имущественное право	ქონებრივი უფლება
имущественный наем	ქონებრივი ქირავნობა
имущество наличное	არსებული ქონება
имущество наследственное	სამკვიდრო ქონება
имуций, ая, ее	შეძლებული
инвентаризовать	ინვენტარიზაციის მოხდენა (ინვენტარიზაცი- ას ახდენს), ინვენტარში შეტანა (ინვენტარში შეაქვს), ინვენტარიზება
инвентарная опись	1. საინვენტარო აღწერა; 2. ინვენტარის ნუსხა
инвестировать	დაბანდება (დააბანდება), ინვესტიციის მოხდენა (ინვესტიციას ახდენს)
инвестиция	ინვესტიცია, დაბანდება
индосировать	ინდოსირება, ინდოსამენტის გაკეთება (ინდო- სამენტს გააკეთებს)
инкассировать	ინკასირება, ინკასაციის მოახდენა (ინკასაცი- ას ახდენს)
инкорпорировать	1. ინკორპორირება, ინკორპორაციის მოხდე- ნა (ინკორპორაციას ახდენს); 2. შემოერთება (შემოერთებს)
инкриминировать	ინკრინინირება, ბრალის დადება (ბრალს დას- დებას), დაბრალება (დააბრალებს)



инкриминироваться	ბრალად დადება (ბრალად დაედება), დაბრალდება (დაბრალდება)
ингородный расчет	სხვა ქალაქის, სხვაქალაქური ანგარიშსწორება
инземный, ая, ое	უცხო, უცხოური, უცხოელი
инородец	სხვისტომი
иностранный, ая, ое	უცხოეთისა, უცხო, უცხოური, უცხოელი
инсинуировать	ინსინუირება, ინსინუაციის მოხდენა (ინსინუაციას ახდენს). ცილის დაწამება (ცილს დასწამებს)
инспектировать	ინსპექტირება, ინსპექციის მოხდენა (ინსპექციას ახდენს), შემოწმება (შეამოწმებს)
инспекция по качеству	ხარისხის ინსპექცია
инспирировать	ინსპირირება, ინსპირაციის მოხდენა (ინსპირაციას ახდენს)
инструктировать	✓ ინსტრუქტირება, ინსტრუქტაჟის გაწევა (ინსტრუქტაჟს გაუწევს), ინსტრუქციის მიცემა (ინსტრუქციას მისცემს)
инсургент	✓ ინსურგენტი, მემბოხე
инсурекционный, ая, ое	აჯანყებისა
интересант	ინტერესანტი, თავკერძო ადამიანი
интернировать	ინტერნირება, ინტერნირების მოხდენა (ინტერნირებას ახდენს)
интернуций	ინტერნუციუსი
интерпеллировать	ინტერპელირება, ინტერპელაციის შეტანა (ინტერპელაციას შეიტანს)
инотечное право	1. იპოთეკის, საიპოთეკო უფლება; 2. საიპოთეკო სამართალი
иск о прекращении	მოსპობითი სარჩელი
иск о признании	საალიარებო სარჩელი
иск о приеуждении	სამიკუთვნებო სარჩელი
иск об изменении	შეცვლითი სარჩელი
искалечить	დასახინჩრება (დასახინჩრებს)
искать	1. ძებნა (ეძებს), ძიება (ეძიებს); 2. სარჩლობა (სარჩლობს, ესარჩლება)
искать по суду	სასამართლოში სარჩლობა (სასამართლოში სარჩლობს)
исключение	1. ამორიცხვა, გამორიცხვა, ამოშლა, ამოღება; 2. დათხოვნა, გარიცხვა; 3. გამონაკლისი
исключительность	1. განსაკუთრებულობა; 2. გამონაკლისობა
исключительный, ая, ое	განსაკუთრებული, საგამონაკლისო
исключительный суд	საგანგებო სასამართლო
исковая давность	სარჩელის, სასარჩელო ხანდაზმულობა
исковое право	ძველისძველი უფლება
искусить	ცდუნება (აცდუნებს), შეცდენა (შეაცდენს)
исповедание	1. სარწმუნოება, რჯული; 2. აღსარება, აღიარება



исполнение: во исполнение
 исполнение договора
 исполнение должности
 исполнение завещания
 исполнение: привести в исполнение
 исполнение приговора
 исполнительная давность
 исполнительная надпись
 исполнительная сила судебного решения
 исполнительное производство
 исполнительный иск
 исполнительный лист
 использование подложного документа
 исполыщина
 исправимый, ая, ое
 исправительная мера
 исправительно-трудовой, ая, ое
 исправительный, ая, ое
 исправление
 исправление должности
 исправность
 испросить
 испытание
 испытательный период
 испытать
 иступление
 итец
 итечение срока
 истребование объявлений
 итязание
 иход
 иходатайствование
 иходичий журнал
 ичвление
 ищейка

შესასრულებლად, აღსასრულებლად
 ხელშეკრულების შესრულება
 თანამდებობის აღსრულება
 ანდერძის აღსრულება
 აღსრულება, შესრულება (აღსასრულებს, შესრულებს)
 განაჩენის აღსრულება
 აღსრულების ხანდაზმულობა
 სააღსრულებო, აღსრულებითი წარწერა
 სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებითი ძალა
 სააღსრულებო წარმოება
 სააღსრულებო სარჩელი
 აღსრულების ფურცელი
 ყალბი დოკუმენტის (საბუთის) გამოყენება
 მენახევრობა
 გამოსასწორებელი
 გამოსასწორებელი ღონისძიება
 შრომა-გამოსწორების, შრომა-გამოსასწორებელი
 გამასწორებელი, გამოსწორებისა, გამოსასწორებელი, გასწორებისა, გასასწორებელი
 1. გასწორება, გამოსწორება; 2. შესწორება;
 3. შესრულება, აღსრულება
 თანამდებობის შესრულება
 წესიერება
 გამოთხოვა (გამოითხოვს)
 1. გამოცდა; 2. განსაცდელი
 გამოსაცდელი ხანი, პერიოდი
 გამოცდა (გამოცდის); განცდა (განიცდის)
 გაშმაგება, გააფორება
 მოსარჩელე
 ვადის გასვლა, მიწურვა
 ახსნა-განმარტების გამოთხოვა
 წვადება, გვემა
 დასასრული, დაბოლოება, ბოლო, შედეგი
 შუამდგომლობით გამოთხოვა, მიღება
 გასული ქალაქების დავთარი
 გამოანგარიშება, გამოთვლა, ანგარიში
 მეძებარი

К

казнить
 казнь

1. დასჯა (დასჯის); 2. სიკვდილით დასჯა (სიკვდილით დასჯის)
 1. სასჯელი; 2. სიკვდილით დასჯა



калькулировать	კალკულირება, გამოთვლა (გამოითვლის) მონაგარიშება (გამოიანგარიშებს)
камера	საკანი, კამერა
камера одиночного заключения	განმარტოებული ტუსალობის საკანი
кандалы пожные	ფეხბორკილი
кандалы ручные	ხელბორკილი
кандалник	ბორკილგაყრილი
кандалный, ая, ое	ბორკილიანი, ბორკილისა
капитализированный, ая, ое	კაპიტალიზებული, გათავნებული
кара	1. სასჯელი; 2. დასჯა
караемость	დასასჯელობა
караемый, ая, ое	დასასჯელი
карательная власть	დამსჯელი ხელისუფლება
карательная мера	დასჯითი ღონისძიება
карманный вор	ჩიბგირი
кассировать	1. კასაციის შეტანა (კასაციას შეიტანს), საკასაციოდ გასაჩივრება (საკასაციოდ გაასაჩივრებს); 2. საკასაციო წესით დარღვევა (საკასაციო წესით დაარღვევს)
кассовая наличность	სალაროს ნაღდი
кауза	კაუზა, მიზეზი, საფუძველი
кауза сделки	გარიგების საფუძველი
квартираниматель	ბინის დამქირავებელი
клевета	ცილისწამება
клеймение	✓ დადაღვა, დაღის, დამღის დასმა, დაშანთვა
клиринговый расчет	საკლირინგო ანგარიშსწორება
клятвопреступник	✓ ფიცის გამტეხი
колени родства	ნათესაობის თაობა, წ-ის მუხლი
коллидирующие законы	კოლიზიაში მყოფი კანონები
коллизийная привязка	კოლიზიური მისაკუთვნი
колода	ხუნდი
колотник	ხუნდებიანი ტუსალი
колонизировать	1. კოლონიად გადაქცევა (კოლონიად გადააქცევს); 2. დასახლება (დაასახლებს, დასახლდება)
колхозное право	საკოლმეურნეო სამართალი
комиссионное вознаграждение	საკომისიო გასამრჩელო
комиссионные	საკომისიო გასამრჩელო
компенсация	კომპენსაცია, საზღაური, ანაზღაურება
компенсировать	კომპენსირება, კომპენსაციის გადახდა (კომპენსაციას გადაიხდის), ანაზღაურება (ანაზღაურებს)
комплиот	კომპლოტი, შეთქმულება
конвертировать	კონვერსიის მოხდენა (კონვერსიას მოახდენს)
конвоир	ბადრაგა

конвой	ბადრაგა
конституционное право	1. საკონსტიტუციო სამართალი; 2. კონსტიტუციური უფლება
консульская канцеляция	საკონსულო კაპიტულაცია
консульский сбор	საკონსულო მოსაკრეფელი
консультативное заключение	კონსულტაციური, საკონსულტაციო დასკვნა
консультировать	კონსულტაციის მიცემა, გაწევა (კონსულტაციას მისცემს, გაუწევს)
консультироваться	რჩევის კითხვა (რჩევას ჰკითხავს), კონსულტაციის მიღება (კონსულტაციას მიიღებს)
конфирмировать	კონფირმირება, კონფირმაციის მოხდენა (კონფირმაციას მოახდენს), დამტკიცება (დაამტკიცებს)
конфликтное право	საკონფლიქტო სამართალი
кооперативный паи	კოოპერაციული პაი
кооперировать	კოოპერირება, კოოპერაციაში გაერთიანება (კოოპერაციაში გააერთიანებს)
кооперироваться	კოოპერირება, კოოპერაციაში გაერთიანება (კოოპერაციაში გააერთიანდება)
кооптировать	კოოპტირება, კოოპტაციის მოხდენა (კოოპტაციას მოახდენს), კოოპტაციით შეყვანა (კოოპტაციით შეიყვანს)
конья	პირი
кормчая книга	სჯულის წიგნი, სჯულის კანონი
коронный суд	სამეფო სასამართლო
корыстный, ая, ое	ანგარებისა, ანგარებიანი, ანგარებითი
кесвенная улика	✓ არაპირდაპირი სამხილი
котиروальный, ая ое	სამაზანდო
котировать	მაზანდის, ფასის დადგენა (მაზანდას, ფასს დადგენს)
котироваться	ფასობა (ფასობს)
контунственный, ая, ое	მკრეხელური, წამბილწველი
краденный, ая, ое	ნაჭურდალი
кража	ჭურდობა
кража мелкая	წვრილი, წვრილმანი ჭურდობა
кража со взломом	ჭურდობა გატეხით
крайняя мера	უკიდურესი ღონისძიება
крайняя необходимость	უკიდურესი აუცილებლობა
крайняя цена	უკანასკნელი ფასი
кредитное установление	საკრედიტო დაწესებულება
кредитно-расчетное правоотношение	საკრედიტო-საანგარიშსწორებო მართლურ-თიერთობა
кредитование	დაკრედიტება
кредитовать	დაკრედიტება (დააკრედიტებს), კრედიტის მიცემა (კრედიტს მისცემს)
кредитор	კრედიტორი, მევალე



кредиторская задолженность	კრედიტორული დავალიანება
кредитоспособность	კრედიტუნარიანობა
крепостная книга	სიმტკიცის დავთარი
крепостная вошь	ნასყიდობის ბაჟი
крепостничество	ბატონყმობა
крепостное право	ბატონყმობა, ბატონყმური სამართალი
крепостной	ყმა-გლეხი
крепостной, ая, ое	1. სიმტკიცისა, ნასყიდობისა; 2. ბატონყმური, ბატონყმობისა; 3. ციხისა, ციხე-სიმაგრისა
крестьянин вольный	აწატი გლეხი
крестьянский надел	საგლეხო ნაღელი
кровная вражда	მოსისხლეობა, მოსისხლე მტრობა
кровная месть	სისხლის აღება
кровная обида	დიდი წყენინება
кровничество	მოსისხლეობა
кровное родство	სისხლით ნათესაობა
кровнородственная семья	სისხლნათესაური ოჯახი
кровный, ая, ое	1. ერთსისხლი, ღვიძლი; 2. სისხლისა, მოსისხლე
кровооттек	ღებები
кровосмеситель	✓ სისხლის აღმრევი
кровосмесительный брак	სისხლადრევითი ქორწინება
кровосмещение	✓ სისხლის აღრევა
круглосуточное дежурство	სადღღამისო შორიგეობა
круговая ответственность	საურთიერთო პასუხისმგებლობა
круговая порука	ურთიერთთავდებობა
кулачное право	მუშტის სამართალი
кумуляция	კუმულაცია, დაგროვება, შეჯამება
купленный, ая, ое	1. ნაყიდი; 2. მოსყიდული
купля-продажа	✓ ნასყიდობა, ყიდვა-გაყიდვა
купчая крепость	ნასყიდობის სიგელი
куре биржевой	საბირჟო კურსი, მაზანდა
курсовая разница	კურსის, მაზანდის სხვაობა
куртажная расписка	საკურტაჟო, სადაღალო ხელწერილი
кустарная промышленность	შინამრეწველობა
кустарничать	კუსტარობა (კუსტარობს), შინამრეწველობის
	გაწევა (შინამრეწველობას ეწევა)
	შინასარეწაო, შინამრეწველური
	შინასარეწაო
	მარტოხელა შინამრეწველი
	აღათი

Л

лазутчик	მწვერავი, მსტოვარი
легализовать	გალეგალება (გალეგალებს), დაკანონება (დააკანონებს)



легальность	ღეგალობა, ლეგალურობა, კანონიერება
легат завещательный	სანდერძო ლეგატი, დაცისრება
легитимировать	ლეგიტიმაციის მოხდენა (ლეგიტიმაციას ახდენს), კანონიერად აღიარება (აღიარებს)
легкое телесное повреждение	სხეულის მსუბუქი დაზავება
легкомысленный поступок	✓ დაუფიქრებელი საქციელი
легкомысленный человек	ფუქსავატი, ქარაფშუტა ადამიანი
лежачее наследство	მომლოდინე სამკვიდრო
ленник	ლენის მფლობელი
ленное право	სალენო უფლება
лесонарушение	სატყეო წესების დარღვევა
лечебно-воспитательные меры	სამკურნალო-აღმზრდელობითი ღონისძიებანი
ликедонное	ცრუდასმენა
ликедонительство	ცრუდასმენობა
ликеооператив	ტყუილი კოოპერატივი
лицевание	ლინჩის წესით დასჯა
лихва	✓ ვახში, მოგება
лихвенный, ая, ое	✓ ნაჭარბი, ვახშური
лиходейство	✓ ბოროტმოქმედება, ავკაცობა
лихоимство	მექრთამეობა
лицеприятный, ая, ое	მიკერძოებითი, თვალღებითი
личная повинность	პირადი ბეგარა
личная уния	✓ პიროვნული უნია
личность	1. პიროვნება; 2. ვინაობა
личный закон	პიროვნული კანონი
лишение	✓ ჩამორთმევა, აღკვეთა, აყრა
лишение жизни	სიცოცხლის მოსპობა
лишение мира	✓ განკვეთა
лишение невиновности	ქალწულობის წართმევა
лишение свободы	თავისუფლების აღკვეთა
лишенный прав	უფლებააყრილი
лишенный чести	პატივაყრილი
лишненческий, ая, ое	შავსიელისა, უფლებააყრილისა
ложное наказание	ცრუ ჩვენება
ложное евидение	ტყუილი ცნობა
ложный, ая, ое	ცრუ, ტყუილი, ყალბი, მცდარი
любодеяние	მრუშობა
любоострастие	ავხორცობა
любоствяжание	ანგარების მოყვარეობა.

ზოგჯერტი შენიშვნა „ლექსიკონის“ გამოქვეყნებულ მ ა ს ა ლ ე ბ ზ ე

ბ. ახვლედიანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართულ ლექსიკონის შედგენისა და გამოცემის აუცილებლობა დიდი ხანია მომწიფდა. სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარება და სრულყოფა, ქართული საბჭოთა იურისპრუდენციის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა წარმოუდგენელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ტერმინების ქართულად დადგენის, მათი ქართული შესატყვისების მოძებნისა და დამკვიდრების გარეშე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებას მნიშვნელოვანი მუშაობა გაუწევია იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონის შემუშავებით. შემდგენლებს, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე იურიდიული ტერმინოლოგიის დამუშავების მაინცდამაინც დიდი ტრადიცია არა გვაქვს, კარგად უმუშავნიათ და ძირითადად დაუძლეველად ლექსიკონის შედგენის რთული ამოცანა. „ლექსიკონის“ აგების პრინციპები სწორია.¹ თუმცა საქმარბია არაა.

ვინაიდან „ლექსიკონის“ მასალის გამოქვეყნება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა საბოლოო მსჯავრის გამოტანა. ამომწურავი შენიშვნების გაკეთება მის შესახებ ნაადრევი იქნება. უკვე დაბეჭდილი ტერმინების გაცნობა

გვიჩვენებს, რომ „ლექსიკონის“ ავტორები ზოგჯერ არასწორი გზით მიდიან. ცდილობენ ისეთი შესატყვისების მოძებნას და დამკვიდრებას, რომელთაც ხელოვნურობის დაღი აზის.

ჩვენი შენიშვნები „ლექსიკონის“ გამოქვეყნებული მასალების შესახებ ზოგადად შემდეგია:

უცხოური ტერმინების გაქართულებისას უნდა ვერიდოთ — ირების წარმოებას, მაგალითად: ამნისტირება — სრულიად არაა საჭირო; აგრეთვე ადოპტირება, დეპონირება, დელეგირება და მისთანანი. აქა-იქ სამწუხაროდ, მართლაც იძულებულნი ვართ მივმართოთ ასეთ წარმოებებს.

უგანსაზღვრებოდ არ უნდა დავტოვოთ საზღვრული, მაგალითად, უნდა იყოს სიმტიციის სიგელი, სიმტიციის აქტი (№ 5, გვ. 52), სააქციონერო დავთარი, აქციონების დავთარი (იქვე), ბოროტგანაზრახვა — ავანაზრახვა... მეორეჯერ შეიძლება უკვე შემოკლება. მაგალითად: ს(იმტიციის), დ(ავთარი).

შენიშვნები ცალკეულ ტერმინებსა და გამოთქმებზე: ვფიქრობთ აჯობებს რუსული ტერმინის — Банкрот злостный ქართულ შესატყვისად შემოვიღოთ — განაზრახბანკროტი და არა აკოტორი ან ავბანკოტი, ომის დანაშაულის ნაცვლად (Военное преступление) ომისეული დანაშაული, მორჯულების სახლის მაგივრად სადამამშვიდებლო სახლი; საცნობელი ნიშანი უფრო შე-

¹ იხ. ტურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1959 წ. № 5, გვ. 50—52.



ევერება ტერმინს Знак опознавательный, ვიდრე სანიშნებელი, რასაც „ლექსიკონის“ ავტორები ხმარობენ. სრულიად არაა საჭირო ტერმინი — „ბესი“ (Задаточный).

„ლექსიკონში“ არის ცალკეული არა არსებითი უხუხტობანი, რაც საბოლოო რედაქციის დროს, ვფიქრობ, უნდა გასწორდეს. ასე, მაგალითად: Государственноправовый უნდა იყოს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი, Земледель-

ческий — სამიწათმოქმედო-საქონლის ლექსიკონის გამოცემაში ვინაა სასარგებლო იქნება მეცნიერობის რისტებისა და პრაქტიკოსების შეხვედრა ენათმეცნიერებთან და ლექსიკოგრაფებთან. განსაკუთრებით იმ ქართული ტერმინებისა და გამოთქმების მიღებისა და დამკვიდრების თაობაზე, რომელნიც სცვლიან იურიდიულ პრაქტიკაში დღემდე ხმარებულ ტერმინებსა და გამოთქმებს.

ცალკეული იურიდიული ტერმინების დაჯუსტებისათვის

ამ წერილში გვინდა გამოვთქვათ რამდენიმე შენიშვნა ზოგიერთ ქართულ იურიდიულ ტერმინთან დაკავშირებით.

პირველ რიგში საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ უფროდ „საბჭოთა სამართალში“ გამოქვეყნებულ იმ ქართულ იურიდიულ ტერმინებს, რომლებიც; ჩვენი აზრით, საჭიროებს დახუსტებას.

ლექსიკონის ეს გამოქვეყნებული მასალა დიდი ცოდნითა და მონდომებით არის დამუშავებული, მთელ რიგ შემთხვევებში სცილდება დამკვიდრებულ ცალკეულ ქართულ ტერმინებსა და გამოთქმებს და საესებით დასაბუთებულადაც. მაგრამ ვხვდებით ზოგიერთ შეუსაბამობასაც რის გამოც მათი ამ სახით დატოვება ყოველად შეუძლებელია.

მაგალითად რუსული გამოთქმის: **вводный закон** — შესატყვისად ლექსიკონში აღნიშნულია: შემომღები კანონი, რაც არ უნდა ჩაითვალოს სწორად, რადგან შემომღები რუსულად ნიშნავს: **установитель-ს დამწესებელს**, კანონის შემომღები და დამწესებელი კი სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა და არა რაღაც განსაკუთრებული კანონი, რომელიც თითქოს სხვა კანონების შემოდებასა და დაწესებას აწარმოებს.

მართალია, არსებობს კანონი, სადაც ლაპარაკია რომელიმე სხვა კანონის სამოქმედოდ შემოდების წესის შესახებ, მაგრამ ის ამ შემთხვევაში ასრულებს შესავალი კანონის როლს და მოცემულია ჩართული კანონის სახით, რაც საეხებით შეესატყვისება **вводный закон**-ს.

ასევე შეუსაბამოდ უნდა იქნას მიჩნეული **ომის**

დანაშაული, როგორც შესატყვისი რუსული გამოთქმისა: **военное Преступление**.

ამის მიხედვით გამოდის, რომ ომი თითქოს წარმოადგენდეს დანაშაულის სუბიექტს და ლაპარაკი იყოს თვით მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. საკითხის ასე გადაწყვეტა საფუძვლიანი იქნებოდა, საქმე რომ გვეჩინდეს ისეთ რუსულ გამოთქმასთან, როგორიც არის **преступление войны**. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკია არა ომის დანაშაულზე, არამედ ისეთ დანაშაულზე, რომელიც ომისმიერია.

ამ თვალსაზრისით უმჯობესია ვინმართ ქართული გამოთქმა: **საომარი დანაშაული**, რაც, ჩვენი აზრით, უფრო შეესატყვისება გამოთქმას: **военное преступление**.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუშვათ გამოთქმა: **ცარიელი უფლება** როგორც შესატყვისი იმისა, რასაც წარმოადგენს რუსული სიტყვა: **голое право**. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღნიშნოს ის გარემოება, რომ მაშინ, როცა ლექსიკონში საესებით სწორად წერია **ლიტონი განჯრახვა**, როგორც შესატყვისი რუსული გამოთქმისა: **голый умысел**, რა საფუძველი არსებობდა, რომ **голое право** გამოთქმულიყო როგორც ცარიელი უფლება?

მართალია, **голый** — ცარიელსაც ნიშნავს, მაგრამ ქართული სიტყვა: **ცარიელი პირდაპირ შესატყვისება რუსულ გამოთქმებს: нулевой, порожний**, და მისი მგწეობით არ შეიძლება გამოხატულ იქნას ისეთი ვითარება, როდესაც ისეთ გამოწვევებულ უფლებზე ლაპარაკი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ რეალობას და არაფრით არ არის გარანტირებული.

1 იხ. (1959 წ. № 5 და № 6

ამიტომ გაცილებით უფრო მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რომ ლიტონი უფლება მიჩნეულ იქნას შეესაბამებულად რუსული გამოთქმისა: **голова**.

ლექსიკონში სიტყვა ბრალეული მოყვანილია როგორც შესატყვისი რუსული სიტყვისა: **виновник** და ამავე დროს **виновное действие** გაგებულია, როგორც ბრალეული მოქმედება.

როგორც ვხედავთ, ტერმინი ბრალეული განიხილებულია ორი სხვადასხვა ცნების გამოხატავად, რომელთაგან ერთი შეეხება მოქმედებას ჩამდგენს, ხოლო მეორე ჩადენილ მოქმედებას. ეს კი დიდი გაუგებრობის გამოწვევაა, ვინაიდან, თუმცა მათ შორის ან ერთია ის, რომ საქმე გვაქვს ბრალეული მოქმედების ჩამდგენთან, შეუძლებელია მოქმედებისა და მოქმედის სრული გაიკვიება. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი: **Винник**, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ნიშნავს რაიმე ნოვლებს განმარტებულ ნიხებს, წარმოშობა წყაროს და ამ თვალსაზრისით ბრალეულადის ცნების ნიშნის განმარტებული არ არის. ბრალეულობის თვალსაზრისით შემოწმებული **виновник**-ი, იმ შემთხვევაში, ოცა ბრალეული მოქმედების ჩადენა დაუდასტურდება, ხდება ბრალის მქონე მიხეხად, ანუ ბრალისადა, წინააღმდეგ შენთხვევაში კი უბრალოდ. რასაც რუსული გამოთქმის მიხედვით შეესატყვისებინ **виновные** და **невинные**.

Винное действие კი, ლექსიკონით სავსებით სწორად არის მიჩნეული, როგორც ბრალეული მოქმედება და არავითარი საჭიროება არ არსებობს, მის უსაფუძვლოდახე რომ არ ვილაპარაკოთ, რომ ბრალეული მიჩნეულ იქნას რუსული გამოთქმის შესატყვისად: **виновник**.

ფიქრობთ, სიტყვა ბრალეული გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ქართული შესატყვისის დადგენისას რუსულ გამოთქმასთან: **виновное действие**.

ვერ გავიზარებთ ლექსიკონში გამოთქმულ მისასრებას, რომლის მიხედვით მოჩვენებითი დანაშაული აღნიშნულია ქართულ შესატყვისად რუსული გამოთქმისა: **виображаемое преступление**, და ეს იმითომ, რომ მოჩვენებითი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით შეესატყვისება რუსულ გამოთქმას: **мнимое**-ს. **виображаемое** კი წარმოსახვით ნიშნავს, და საფუძველი არა გვაქვს მის შესაცვლელად, მით უმეტეს, რომ ის ასეა დამკვიდრებული, როგორც მათემატიკური ტერმინი: **мнимая линия** წარმოსახვითი ხაზი.

ტერმინი აშკარა ზედამხედველობა არ შეესატყვისება რუსულ გამოთქმას: **гласный надзор**. რადგან აშკარა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რუსული გამოთქმის მიხედვით ნიშ-

ნავს არა იმას, რასაც **гласный** გულისმობს არამედ **явный**-**очевидный**. **гласный** კი საჯაროების ცნების გამოხატველია და თუ ამ ტერმინის მოცემულ შემთხვევაში გამოყენება შეუძლებლად არის მიჩნეული, მაინც გაუმართლებლად მიგვაჩნია, რომ **гласный надзор** გამოითქვას, როგორც აშკარა ზედამხედველობა და არა სააშკარა ზედამხედველობა.

ქართული ტერმინის სახით გაუმართლებელია დადგინდეს დამტკიცებადობა, როგორც რუსული გამოთქმის შესატყვისი **доказуемость**, მისი სიმძიმისა და უხეშობის გამო, მაგრამ ის არსებითადაც არ არის სწორი; არც არსებობს მისი ხმარების რაიმე აუცილებლობა, რადგან გვაქვს ქართულ ენაში დირსეულად დამკვიდრებული სიტყვა: მტკიცებადობა.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ლექსიკონში სავსებით საფუძვლიანად არის მოყვანილი მტკიცებათი სამართალი, როგორც ქართული გამოთქმის რუსული შესატყვისი **доказательственное право**. ამის შემდეგ გაუგებარია ლექსიკონში რა მიხეხებით არის მიჩნეული დამამტკიცებელი საბუთი ქართულ შესატყვისად ისეთი რუსული ტერმინისა, როგორც არის **доказательство**.

დამამტკიცებელი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით, გამოხატავს დამადასტურებელს, დამაჯერებელს, მამტკიცებელს და ამას შესატყვისება რუსული: **доказательный**.


საბუთი, როგორც ეს ლექსიკონშიც არის აღნიშნული, შეესატყვისება დოკუმენტს, რომელიც ლათინური წარმოშობისა და თუმცა ნიშნავს მტკიცებასაც, მაგრამ ძირითადად ოფიციალური ხასიათის წერილობით მოწმობას წარმოადგენს. ამიტომ საბუთი, გაგებული როგორც მტკიცება, სავსებით შეესატყვისება რუსულ ტერმინს: **доказательство**, ხოლო როგორც წერილობითი მოწმობა, ის არის მტკიცების ერთ-ერთი სახეობა და შეესატყვისება რუსულ გამოთქმას: **письменное доказательство**.

ყოველივე ამის გამო შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ დამამტკიცებელი საბუთი შეესატყვისოს რუსულ ტერმინს **доказательство**.

ამის შესატყვისის წარმოდგენის მხოლოდ და მხოლოდ ქართული ტერმინი: **მტკიცება**.

ჩვენი შეხედულებით ასევე არ სწორია, საკითხის იმგვარი გადაჭრა, როდესაც იურიდიული სარწმუნოება აღნიშნულია როგორც ქართული შესატყვისი რუსული გამოთქმის **добросовестность** იურიდიული; გაკანონიერებული ნებისუფლები—**зети узаконенные**; პირის შეპყრობა:—**захват приза** და მიკვლევა—**дознание**.

ამით ვამთავრებთ ჩვენს შენიშვნებს ლექსიკონის გამოქვეყნებულ მასალასთან დაკავშირებ-



ბით, ამასთან ერთად გვინდა გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა იქნას დადგენილი ცალკეული, განსაკუთრებით სადავო ქართული იურიდიული ტერმინები, რომლებიც ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა.

გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს ის გარემოება, რომ გამოთქმა: **სისხლის სამართლის**, როგორც ჩვეულებრივი სალაპარაკო, ისე სალიტერატურო ქართული ენის მიხედვით დამკვიდრებულია შესატყვისად რუსული ტერმინისა: **уголовный**. რუსული: **уголовный**, რაც თქმა უნდა, გამომხატველია იმისა, რაც დანაშაულებრივ სფეროს ეკუთვნის, მაგრამ ის ამასთან ერთად საცართლებრივი ცნების შემცველიც არ არის და ამიტომ, როცა ლაპარაკია ისეთ სამართალზე, რომელიც ბრძოლას აწარმოებს ამ დანაშაულებრივობის წინააღმდეგ, რუსული ენის მიხედვით, სიტყვა: **уголовный** დაერთვის: **правовой** და ვიდრე ისეთ გამოთქმას, როგორც არის **уголовное право**

სწორედ ქართული ტერმინი: **სისხლის სამართალი** შეესატყვისება ამ გამოთქმას: **уголовное право** და მით არ შეიძლება გამოთქმულ იქნას: **уголовный** არც ცალკე და არც პირველთან ერთად.

სინამდვილეში არსებული ვითარების მიხედვით შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომ სისხლის სამართალი შეესატყვისება როგორც ერთს ისე მეორესაც: **уголовный** — სისხლის სამართლის; **уголовное право** — სისხლის სამართალი.

ამის შესაბამისად **уголовное дело**, ქართულ ენაზე გამოთქმულია, როგორც სისხლის სამართლის საქმე; **Судебная Коллегия по уголовным делам**: სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და სხვ, მათ შორის **уголовный Кодекс**, — სისხლის სამართლის კოდექსი.

და ეს იმ დროს, როცა არც ერთი ეს რუსული გამოთქმა მისი უადგილობის გამო არ შეიცავს ზიტყვა — სამართალს

ასეთივე მდგომარეობაა ინგლისურ და გერმანული ენების მიხედვით, რომლებშიაც, მაგალითად, რუსულ ტერმინს **уголовный Кодекс** ინგლისურად შეესიტყვება **criminal code**, გ. ი. კანონთა კრებული დანაშაულობათა შესახებ, ხოლო გერმანულად **das strafgesetzbuch** გ. ი. კანონთა კრებული სასჯელთა შესახებ.

ყოველგვამ ამასთან შეფარდებით რუსული ტერმინი: **уголовный** უნდა ჩაითვალოს შესატყვისად იმისა, რასაც ქართულ ენაში ამჟამად წარმოადგენს სიტყვა: **სისხლის**.

ამას თავისი ისტორიული გამართლებაც აქვს, რადგან: „სისხლი“ ძველ ქართულ იურიდიულ

მწერლობაში სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის დაწესებულ სასჯელს ეწოდებოდა¹.

ჩვენი მოსაზრების დამადასტურებელია ბეკა აღბუღას კანონების პირველი შესავლის შემდგომ, ახალი დასაწყისის მაუწყებელი, სინგურით დაწერილი წინადადება: „უწინ სისხლისა საქმე გაიჩინეთ“¹ ამაზე მეტყველებენ ისეთი გამოთქმებიც, როგორც არის „სასისნლო სიგელი“ „სასისხარი საქმე“ და სხვ.

ამ სალუძველზე რა თქმა უნდა. ქართული გამოთქმა: **სისხლის სამართალი**, ბრწყინვალედ შეესატყვისება რუსულს: **уголовное право**-ს, რომელსაც სათანადო დასაბუთების შედეგად, გამოჩენილი ქართველი იურისტი ლ. ნ. ანდრონიკაშვილი სასჯელ სამართალსაც უწოდებდა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ: **уголовное дело** ქართულად უნდა გამოითქვას ტერმინით: **სისხლის საქმე**; **Судебная Коллегия по уголовным делам**. სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგია; **уголовник** **სისხლის დამნაშავე** და სხვ., მათ შორის **Уголовный Кодекс**-სისხლის კოდექსი.

ორიოდე სიტყვა ისეთი რუსული ტერმინის ქართული შესატყვისის დადგენის შესახებ, როგორც არის **Кара**.

Кара თავისი მნიშვნელობით სასჯელის იმ მხარის ანუ თვისების გამომხატველია, რაც დამნაშავისათვის სამაგიეროს, სანაცვლოს მიზღვევაში მდგომარეობს. მაგრამ სასჯელს მეორე მხარეცა აქვს დამნაშავის გამოსწორებისა და აღზრდის სახით და ამის გამო სასჯელის, როგორც მთლიანი ცნების აღსანიშნავად არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მისი ერთი რომელიმე თვისების გადმოცემი სიტყვა, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში: **Кара**.

სამწუხაროდ, როგორც რუსულ-ქართული სხვადასხვა ლექსიკონები, ისე სათანადო საკანონმდებლო აქტების მიხედვითაც სასჯელი დამკვიდრებულია იმის შესატყვისად, რასაც წარმოადგენს რუსული: **кара**. ამის შედეგად შექმნილია საკრძობი უხერხულობა, როგორც წინააღმდეგ შეუსაბამობის, ისე გაუმართლებელი გამოტოვება თვალსაზრისითაც.

მაგალითისათვის დავასახელებთ „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების“ მე-20 მუხლს, რომელს დასაწყისშიც მოცემული რუსული ტექსტი: „Наказание не только является

¹ იბ. აკად. ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი პირველი, გვ. 98, თბილისი, 1928 წ.

¹ აკად. ივ. ჯავახიშვილი: „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი პირველი, გვ. 110, თბილისი, 1928 წ.

нарой за совершенное прест.пление, ქართულად თარგმნილია ასე: „ხასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის“ და ეს მაშინ, როცა ქართული გნის მიხედვით საამისო გაჭირვების საფუძველი არ არსებობს.

სულხან-საბა ორბელიანს თავის „ქართულ ლექსიკონში“¹ განმარტებული აქვს სიტყვა რისხუა, როგორც ვნება ურიდი. ამასთან დაკავშირებით იქვე მითითებულია ისეთ სიტყვებზე, როგორც არის: დარისხება, გულისწყრომა და მრისხანება, აქედან: დარისხე განმარტებულია ასე: რისხვის ქვეშ შეგდევ.

ამ მნიშვნელობით სიტყვა რისხუა, ანუ რისხვა ფართოდ ათია ცნობილი ქართულ სიტყვათმარებაში ისეთ განოთქმათა სახით, როგორიც არის მაგალითად: „ღვთის რისხვა“, „მშობლის რისხვა“, „თემის რისხვა“.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ქართულ გამოთქმას: ღვთის რისხვა შეესატყვიება რუსული: *божья кара*; მშობლის რისხვა — *Родительская кара* და სხვ. ფიქრობთ, ყოველივე ეს გვაძლევს იმის საფუძველს, რომ რისხვა იგიზნით ქართულ შესატყვისად რუსული ტერმინისა: *кара*.

ჩვენი შეხედულების უარსაყოფად არ გამოდგება მოსაზრება იმის შესახებ, რომ სიტყვა რისხვის რუსულ ენაში თითქოს შეესაბამებოდეს: *гнех*, რადგან ეს უკანასკნელი განოთქმავს ძლიერ სულიერ აღმფრთხილებას, რაც წინ უძღვის „რისხვის ქვეშ შეგდებას“. (სულხან-საბა ორბელიანი).

ფერკ იმას დავეთანხმებით, რომ ქარაფშეტყუ.ლი ვარაუდი ვფუოდოთ იმას, რასაც წაომოდგენს რუსული გამოთქმა: *легкомысленный расчет*, რომლის მიხედვითაც მოხსენებული სიხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების მე-9 მუხლის ტექტის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „*Но легкомысленно рассчитывало на их предост.ращение*“, თარგმნილია ასე: „მაგრამ ქარაფშეტყუ.ლად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას“.

ამ საკითხთან დაკავშირებით უმკველად საფუძელიანად უნდა ჩაიფიქროს ადვოკატ გურამ უგრეხუაძის მიერ იურისტთა შორის სიტყვიერად გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ გაუფრთხილებლობის იმ სახეობის გამოსათქმე.ლად, რომელიც შეეზება უსაფუძვლო იმედზე დამყარებით ჩადენილ დანაშაულს, ვინმართ ტერმინი: ფუქარაუდი, ხაცვლად: თვითიმედოვნებისა.

ამის საფუძველი კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში ნავარაუდევია იმედი ფუქია, ცა-

რიელი და ყოველთვის თვით ადამიანის საკუთარ ძალებზე დაყრდნობას კი არ გულისხმობს, არამედ სხვა პირთა და ბუნების ძალთა მოქმედებასაც ემყარება.

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ნაცვლად ტერმინისა: თანამონაწილეობა, იურიდიული ტერმინის სახით დამკვიდრდეს ისეთი ძვირფასი ქართული სიტყვა, როგორც არის: წილნადებულობა. ეს სიტყვა უკეთ გამოხატავს ამ ინსტიტუტის იურიდიულ ბუნებას, რადგან თანამონაწილეობა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით თითქოს გულისხმობს თანამონაწილის ყოფნას დანაშაულის აღსრულებისას, ხოლო ეს ყოფნა თითქოს არ მოითხოვდეს მის თანამზრახველობას.

შესაბამისად, თანამონაწილის ნაცვლად ვიღებთ: წილნადებულს, რომელსაც ასე წარმატებით იყენებდა, სწორედ სისხლის დანაშაულის ხასიათის მქონე ქმედობათა გადმოცემად, დიდი ქართველი ლიტერატორი ივ. მაზარელი.

დასასრულ, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ საკითხზე, თუ რა ტერმინი უნდა შეესატყვისებოდეს ქართულ ენაზე რუსულ *покушение*-ს. ამ პრობლემას ცალკე წერილი მიუძღვნა პროფ. ი. სურკულაძემ სათაურით: „ტერმინი „ცდა“ და მისი მნიშვნელობა“². ი. სურკულაძემ აღნიშნულ წერილში საკითხს თავიდანვე სწორედ ასე დააყენა და აღნიშნა, რომ: „ამჟამად ჩვენ გვინტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ რა ტერმინი შეესატყვისება რუსულ *покушение*-ს ქართულად“.

სინამდვილეში კი, წერილში შეტანილი ისტორიული ექსკურსის შედეგად, ავტორს განხილული აქვს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ტერმინი „ცდა“ თუ „მცდელობა“ უკეთ გადმოგვეცემს დაუშთავოებელი დანაშაულის ცნებას, რომელიც რუსულ ენაზე გამოითქმება არა მხოლოდ ცალკე აღებული სიტყვით: *покушение*, არა უდ გამოთქმით როგორც არის: *покушение на преступление*.

ამასთან დაკავშირებით წერილის მიხედვით შექმნილია ერთგვარი გაუგებრობა იმ ხსოვი, რომ „ცდასა“ თუ „მცდელობას“ მანიჭებული აქვს დაუშთავოებელი დანაშაულის ცნების გამოხატველი ტერმინის მნიშვნელობა და საკითხი დასაფიქრა ძნოლად იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი უნდა იქნეს დატოვებული როგორც პირდაპირი ქართული შესატყვისი იმისა, რასაც წარმოადგენს რუსული გამოთქმა: *покушение на преступление*.

მაგრამ საქმე ის აოის, რომ ამ ორ ტერმინ-

¹ იხ. პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით; თბილისი, 1928 წ.

² იხ. ყურანი: „საბჭოთა სამართალი“, 1959 წ. № 1, გვ. 33



თავან არც ერთს, არც „ცდასა“ და არც „მცდელობას“ არ ძალუძს, სხვა რომელიმე წმინდა იურიდიულ ტერმინთან დაუკავშირებლად გადმოგვეცეს დაუშთავრებელი დანაშაულის ხასიათის მქონე მოვლენა.

ისინი სხვა ცნების გამომნატველი ტერმინებია და ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში სახეებით ნათელია ის გარემოება, რაც ავტორს საკმაოდ გაუგებარი მნიშვნელობით აქვს აღნიშნული თავის წერილში, როდესაც ამბობს: „აკად. ივ. ჯავახიშვილი ხმარობს ტერმინებს „ცდასა“ და „მცდელობას“, მაგრამ ამ ტერმინებით არ გადმოგვეცემს დაუშთავრებელი დანაშაულის ცნებას“, ან „როგორც ვხედავთ, დ. ჩუბინიშვილია ლექსაკონიდან დაწყებული ყველა-ლექსიკონი, რომელიც დღემდე არის გამოცემული „ცდას“ არ ხმარობს დაუშთავრებელი დანაშაულის მნიშვნელობით“.

ამრიგად, საჭიროა საკითხი კვლავ იმ თვალსაზრისით იქნას განხილული, თუ რა ტერმინი შეესატყვისება ქართულ ენაზე იმას, რასაც წარმოადგენს რუსული სიტყვა: *покушение*.

ამ მხრივ ავტორს „მცდელობა“ ნაძალადეგ ტერმინად მიანიჩა და უმჯობესად სოფლისეზმაროთ ტერმინი „ცდა“, თუმცა რაში მდგომარეობს „მცდელობის“ ნაძალადეგობა, წერილში არ არის დასაბუთებული.

პირიქით, თვით ავტორის სიტყვიდანაც ჩანს, რომ ამ სიტყვას გარკვეული მნიშვნელობით ხმარობს ივ. ჯავახიშვილი, როდესაც ის აღწერს ლეჟალს გ. შთაწმინდელისა, „ვითარცა დემოკრატიული რეფორმის პირველი მქადაგებლისა და მისი განხორციელების პირველადე მცდელისა“. სუო ხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს სიტყვა მცდელი, რისთვისაც აღნიშნავს: „მცდელი ესე არს კაცსა რამე ენბოს და ნიადავ მისათეს იჭირვოდეს“, სიტყვა მცდელობა აღნიშნული აქვს აგრეთვე დავით ჩუბინიშვილს თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში. ის განმარტებულია ქართული ენის ახალ განმარტებით ლექსიკონში, როგორც: „მცდე-

ლის თვისება“, ხოლო მცდელს უწოდებს იმას „ვინც რისაზე გაკეთებას ისწრაფვის“. მცდელობა როგორც ქართული შესატყვისი ტერმინი იმისა, რასაც წარმოადგენს რუსული: *покушение* აღნიშნულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ დამუშავებულ რუსულ-ქართულ ლექსიკონშიც. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ „ცდა“ რუსული *покушение*-ს შესატყვისად სულ არ არის წარმოდგენილი ამ უკანასკნელ ლექსიკონში, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრია პროფ. ა. შანიძე და ამიტომ მას არ ჰქონდა საფუძველი გადაჭრით მიენიჭებია უპირატესობა „ცდასთვის“, „მცდელობასთან“ შედარებით, როგორც ამას აღნიშნავს ავტორი თავის წერილში.

ამიტომ ვერ დავეთანხმებით პროფ. ი. სურგულაძეს, როცა დაუზნებლად თვლის პროფესორების მ. სტროგოვიჩისა და ბ. უტყესკის შრომათა ქართულად მთარგმნელების მიერ ტერმინ „ცდას“, „მცდელობით“ შეცვლას.

ტერმინი „მცდელობა“ არავითარ ნაძალადეგ სიტყვას არ წარმოადგენს და ქართული ენის მიხედვით მტკიცედ დამკვიდრებული სიტყვაა.

ჩვენ არავითარი საწინააღმდეგო მოსაზრება არა გვაქვს *покушение*-ს შესატყვისად ტერმინი „ცდას“ ხმარების წინააღმდეგ, მაგრამ ვამბობთ, რომ ამის არავითარი აუცილებლობა არ არსებობს და ეს ნით უმეტეს, რომ „ცდას“ უკვე მინიჭებული აქვს სპეციფიკური ცნების გამონხატველი ტერმინის მნიშვნელობა, სესატყვისება რა ქართულ ენაზე რუსულ სიტყვას: *один* და ნიშნავს ექსპერიმენტს.

ანდრ. გელოვანი

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი V, გვ. 1202, თბილისი, 1958 წ.

2. რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტომი 11, გვ. 576, თბილისი, 1958 წ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ

ბ. ფურცხვანიძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ შეადგინა და გაამრავლა (სასტამბო წესით) საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (მეორე ვარიანტი), რომელიც მთლიანად აგებულია „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში“ შესაბამისად. სწორედ ამასია ახალი პროექტის უპირატესობა 1959 წლის გაზაფხულზე გამოცემული პროექტის პირველ ვარიანტთან შედარებით. ამ უკანასკნელში დაშვებული იყო ცდა გვერდი აეველოთ „საფუძვლებისათვის“ ცალკეულ დებულებათა სხვა რედაქციით მოცემისა ან კიდევ უმართებლოდ განვითარების გზით.

კოდექსის ახალი პროექტის ზოგად ნაწილში მთლიანად არის მოცემული „საფუძვლები“. ხოლო განსაკუთრებულ ნაწილში — საერთო საკავშირო კანონები სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

პროექტი ძირითადად აგებულია საბჭოთა საზოგადოების განვითარების დღევანდელი პირობების შესაბამისად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებათა გათვალისწინებით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საერთოდ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში საზოგადოებრიობის როლის გაზრდის შესახებ.

მიუხედავად ამისა კოდექსის (პროექტის) განსაკუთრებულ ნაწილს, ჩვენის აზრით, ახლავს რიგი ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კოდექსის პროექტის ხარისხს.

ასე მაგალითად:

1. პროექტი (იხ. 98 მუხლი) შემამსუბუქებელ ვითარებაში ჩადენილ მკვლევლობად თვლის ახლად დაბადებული ბავშვის მკვლევლობას დედის მიერ (ჩვილის მკვლევლობა) და ამრიგად იზიარებს უკრაინის სსრ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის 142 მუხლის კონსტრუქციას.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკა ადრე (1925—35 წლებში) ჩველი ბავშვის მკვლევლობას არა იმედათად განიხილავდა რაღაც „განსაკუთრებული“ სახის დანაშაულად (მაგ. განსაცდელში დატოვებად) და მნიშვნელოვნად უმსუბუქებდა დამნაშავეს სასჯელის ზომას. ასეთ გარემოებას მეტწილად ხელს უწყობდა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის 1926 წლის 26 ნოემბრის № 2 საინსტრუქციო წერილი, სადაც სხვათა შორის ნათქვამი იყო: „...ასეთ მოვლენასთან ბრძოლა უნდა წარიმართოს არა იმდენად სისხლის სამართლის რეპრესიის გზით, რამდენადაც მარტოხელა დედების მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებისა და საუკუნოებრივი ცრურწმენის აღმოფხვრის გზით, რაც კიდევ

ღრმად არის გამჭვდარი, განსაკუთრებით გლეხთა მასებში...¹

ამით აიხსნება აგრეთვე ისიც, რომ 1927 წ. უკრაინის სსრ-ში საკანონმდებლო წესით იქნა ათვისებული შეხედულება ჩვილი ბავშვის მკვლელობის, როგორც შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობის შესახებ (უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 142 მუხლის ძალით დედის მიერ თავისი ახლად დაბადებული ბავშვის მკვლელობა მისი დაბადებიდან უმალვე ან მოკლე დროს შემდეგ, ისევე თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე).

თუ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში სასამართლოს ასეთ პრაქტიკას ერთგვარი გამართლება ჰქონდა, რადგან მეტწილად მარტოხელა ქალის, განსაკუთრებით სოფლად დედაქალის მატერიალური მდგომარეობა მძიმე იყო და მათ შორის ფართო გავრცელება ჰქონდა ძველ ცრურწმენას, რომლის ძალით მარტოხელა ქალის მიერ ბავშვის ყოლა სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა, შემდეგ წლებში მასების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისა და სახელმწიფოს მხრივ დედისა და ბავშვისადმი მზრუნველობის გაძლიერების პირობებში, სასამართლოს ასეთი პრაქტიკა ყოველად გაუმართლებელი შეიქნა.

სწორედ აღნიშნულმა ახალმა ვითარებამ განაპირობა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს და იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ ჯერ კიდევ 1935 წლის 27 აგვისტოს ცირკულიარის გამოცემა. სადაც ნათქვამი იყო, რომ ყოფა-ცხოვრების ახალ პირობებში, სსრ კავშირის ყველა მშრომელის მატერიალური უზრუნველყოფისა და კულტურის გაზრდისას, უსწოროდ უნდა ჩათვალოს ჩვილის მკვლელობისათვის პირობითი მსჯავრის ან სასჯელის სხვა

რბილი ზომის შეფარდება მატერიალური სიღვიწროვის, დაბალი კულტურული დონის, მშობლებისა და გარშემო მყოფ პირთა მხრივ შევიწროვება — დაცინვის და სხვ. მოტივით. ცირკულიარში ამასთან ერთად აღნიშნული იყო, რომ ჩვილი ბავშვების მკვლელობასთან საბრძოლველად სასამართლო ორგანოების დასჯითი პოლიტიკა უნდა წარიმართოს რეპრესიის საერთო გაძლიერების გზით.

ეფექტობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ დღევანდელ პირობებში დედის მიერ თავისი ჩვილი ბავშვის მკვლელობა დიდი სოციალური საშიშროების შემცველია და მისი ე. წ. პრივილეგიურ მკვლელობად ჩათვლა ყოველად გაუმართლებელია.

2. პროექტში არ არის შეტანილი ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 173 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობა და ამრიგად სისხლის აღრევა არ არის მიჩნეული სისხლის სამართლის წესით დასასჯელ დანაშაულად.

ამ სიახლეს პროექტის ავტორები იმით ასაბუთებენ, რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების პროექტებში აღნიშნული ქმედობა არ არის გათვალისწინებული და რომ სასამართლო პრაქტიკაშიც მას იშვიათად ვსვდებით.

ასეთი მოსაზრება ჩვენის აზრით ვერ გამოდგება იმის დასაბუთებისათვის, რომ სისხლის აღრევა მხოლოდ მორალური წესით დასაჯიან ნორმად გამოცხადდეს.

საქმე იმაშია, რომ სხვა რესპუბლიკების კანონმდებლობის მაგალითი ამ შემთხვევაში ჩვენ სათანადო განსჯისა და ანალიზის გარეშე არ გამოვკვადგება. ჩვენი ხალხის უკლებლივ ყველა წრეში ისეთი უმსგავსო ქმედობა, როგორც არის სისხლის აღრევა, მუდამ დიდ გმობასა და აღშფოთებას იწვევდა. მდგომარ-

¹ იხ. Сборник действующих разъяснений Верховного суда РСФСР, 1930 г., стр. 279.

რეობა ამ მხრივ დღევანდელ პირობებშიაც არაფრით არ შეცვლილა.

ამიტომ იყო, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი თავიდანვე ითვალისწინებდა სისხლის აღრევას, როგორც სოციალურად საშიშ ქმედობას და სასჯელის საკმარად მკაცრ ზომასაც აწესებდა მისთვის.¹

პროექტის ავტორთა ცდა ასეთი უმსგავსოების დანაშაულად არ მიჩნევის შესახებ, გადაჭრით უნდა ითქვას დიდ გაუგებრობას და აღშფოთებასაც კი გამოიწვევს საზოგადოების ფართო წრეებში. გამოდის, რომ ორცილიანობა, რაც გათვალისწინებულია პროექტში (იხ. 228 მუხ.) — სოციალურად უფრო საშიში ქმედობაა ვიდრე სისხლის აღრევა. განა ეს სწორია?

ერთგვარად საპატიო იქნებოდა პროექტში ამ შედგენილობის შეუტანლობა, რომ ამჟამად მოქმედ კოდექსში იგი მოცემული არ ყოფილიყო. მაგრამ რადგანაც იგი მუდამ დასასჯად იყო აღიარებული, ახლა მასზე უარის თქმა ცუდ გავლენას იქონიებს. ცალკეულ უზნეო ადამიანებს შეექმნებათ ისეთი რწმენა, რომ სისხლის აღრევა სასხვათაშორისო საქმედ არის მიჩნეული, კანონის მხრივ რეაგირებას არ გამოიწვევს. სამწუხაროდ ასეთი რწმენა საფუძველს მოკლებული არ იქნება.

მეორეს მხრივ, ჩვენი მაღალი ღირსებისა და ზნეობის მქონე ქალაქისა და სოფლის მოქალაქეები ასეთ სიახლეს იმით გამოეხმაურებიან, რომ თვითგასამართლებას მოუწყობენ სისხლის ამღრვეთ და ამით გამოხატავენ თავიანთ აღშფოთებასა და გულისწყრომას სისხლის ამღრვეთა მიმართ. ასეთი გარემოება კი ვფიქრობ მაინც იქნება საბჭოთა მართლწესრიგისა და მართლმსაჯულების ინტერესებისათვის.

დასასრულს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკაში უკანასკნელ კნელი ათეული წლების მანძილზე იყო რამოდენიმე ფაქტი სისხლის აღრევისა და ბრალეული პირნი დამსახურებულად დაისაჯენ.

აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალ კოდექსში დატოვებული უნდა იქნას ამჟამად მოქმედი კოდექსის 173 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობა.

ასეთი ნორმის არსებობა დიდი აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი მნიშვნელობისა იქნება, თან გამომსახველი ჩვენი ხალხის აღშფოთებისა და შეურიგებლობის მასში მოცემულ მსგავსი ქმედობისადმი.

3. შეურაცხყოფის ცნება განმარტების გარეშეა მოცემული პროექტის 129 მუხლში, რაც არ არის სწორი. პროექტის ავტორები უნდა ვიფიქროთ ასე მოიქცნენ იმის გამო, რომ ტერმინი „შეურაცხყოფა“ თითქოს ყველასათვის გასაგებია. მაგრამ ასეთი ვარაუდი არ არის გამართლებული. ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად (განსაკუთრებით სასამართლო პრაქტიკაში ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას) აუცილებელია „შეურაცხყოფის“ ცნების განმარტება კანონში. ისევე როგორც ეს გაკეთებულია კერძო ბრალდების მეორე სახის დანაშაულის — ცილისწამების მიმართ (იხ. პროექტის 128 მუხლი).

შეურაცხყოფის ტერმინის განმარტებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სამი მომენტი: ა) ერთი პირის მიერ მეორისადმი დამცინავი, გამაწბილებელი დამოკიდებულება, ფაქტი ასეთი დამოკიდებულების გამოვლინებისა, ბ) ბრალეული პირის სურვილი ამ გზით დაამციროს ადამიანის ღირსება, პატრი და გ) დაზარალებულის მიერ სუბიექტური შეგნება მასთან შეურაცხყოფილი მოპყრობისა. განსაკუთრებით საჭი-

¹ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან მხოლოდ აზერბაიჯანის კოდექსისათვის იყო ცნობილი ანალოგიური ნორმა.

4. საბჭოთა სამართალი.

როა ხაზი გაეკვას შეურაცხყოფის შედგენილობისათვის განხრახი ბრალის აუცილებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მართებული იქნება პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი მთავარი დანაშაულის შეურაცხყოფის ცნება პროექტში განმარტებული იქნეს შემდეგნაირად: „შეურაცხყოფა, ე. ი. სოციალისტური მორალის საწინააღმდეგო უზრდელი მოპყრობა ადამიანისადმი მისი საკუთარი ღირსების დამციობის მიზნით“.

4. პროექტის 129 მუხლი ითვალისწინებს შეურაცხყოფის დასჯადობას მხოლოდ მაშინ, უკეთეს ერთი წლის განმავლობაში ბრალეული პირის მიმართ გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზეგავლენის ღონისძიება ასეთივე ქმედობის ჩადენისათვის. ამრიგად გამოდის, რომ უკეთეს საქმე შეურაცხყოფის შესახებ არ იყო განხილული ამხანაგურ სასამართლოში ან არ მომხდარა სხვაგვარი საზოგადოებრივი ზემოქმედება და ამის შემდეგ პირმა არ ჩაიდინა მეორედ ანალოგიური ქმედობა, საქმეს სახალხო სასამართლო ვერ განიხილავს. ეს დებულება არ არის სწორი.

შეურაცხყოფის შესახებ საქმის განხილვა ამხანაგურ სასამართლოში დაიშვება მხოლოდ მაშინ, უკეთეს ამას მოითხოვს თვით დაზარალებული ან საზოგადოებრიობა (იხ. ამხანაგური სასამართლოს სანიმუშო დებულების პროექტის 6 მუხლის 3 პუნქტი). წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ საქმეს თუნდაც პირველად ჩადენილ შეურაცხყოფის შესახებ განიხილავს სახალხო სასამართლო საერთო წესისამებრ.

ასევე ითქმის პროექტის 108 და სხვ. მუხლებში გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ.

აღნიშნულის საფუძველზე საჭიროა პროექტში სათანადო შესწორების შეტანა.

5. გაუგებრად არის აგებული პროექ-

ტის 126 მუხლის დისპოზიციის რომელიც ითვალისწინებს „სხვა პირის იძულებას ძალადობით ან დასასჯელი მუქარით, რომ შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება“.

გაუგებარია თუ სახელდობრ რა მოქმედება აქვთ მხედველობაში პროექტის ავტორებს. განა ყოველი მოქმედების (ან უმოქმედების), მათ შორის როგორც საზოგადოებრივად, ასევე თვით დაზარალებულისათვის სასარგებლოდ გამიზნულ მოქმედებისათვის იძულება სისხლის სამართლის წესით უნდა ისჯებოდეს? ვფიქრობთ რომ არა. მეორე მხრივ „დასასჯელი მუქარა“, როგორც იძულების საშუალება, ხომ თავის თავად არის (პროექტის 127 მუხლის ძალით) დანაშაული და დასასჯადი?

პროექტის აღნიშნული მუხლი დაზუსტებას საჭიროებს.

6. პროექტის 137 მუხლში გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის ჩამოშორების შესახებ კანონის დარღვევისათვის.

ეს ნორმა ბლანკეტურია და ყოველკონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო იძულებული იქნება გაეცნოს სხვა საკანონმდებლო აქტებს და თვითონ გააკეთოს დასკვნა — ბრალდებულის, სახელდობრ რა ქმედობა არღვევს აღნიშნულ კანონს და დასასჯადია იგი თუ არა. ამის შედეგად სასამართლო პრაქტიკა შესაძლოა არა სწორად წარიმართოს, ცალკეულმა სასამართლოებმა ამ კატეგორიის საქმეების განხილვისას სხვადასხვაგვარად გაიგონ და შეაფასონ ამ დარგში შესაძლებელი დანაშაულის სახეები.

აღნიშნულის გამო უფრო სწორი იქნებოდა პროექტის 137 მუხლში ამოწურავად ჩამოთვლილიყო სოციალურად საშიშ ქმედობათა სახეები დიფერენცირებული სანქციების დაწესებით.

7. პროექტის 193 მუხლი აწესებს სი-

ხლის სამართლის პასუხისმგებლობას ხელისუფლების წარმომადგენლის ან საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლის შეურაცხყოფისათვის თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს ან შესრულების გამო.¹

საქართველოს სსრ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 74 მუხლი განსხვავებით სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსებისაგან ითვალისწინებს არა მართა ხელისუფლების წარმომადგენლის შეურაცხყოფას, არამედ საერთოდ თანამდებობის პირისა, გამომდინარე იმ სრულიად სწორ დებულებიდან, რომ ყოველი თანამდებობის პირის შეურაცხყოფა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას (ან შესრულების გამო) ასევე უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ავტორიტეტისა და ღირსებაზე ხელყოფად.

ანალოგიურად არის გადაწყვეტილი ეს საკითხი მთელ რიგ სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებშიც, ასე მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი სპეციალურად გამოყოფს თანამდებობის პირის შეურაცხყოფას სამსახურებრივ მოვალეობის შესრულების დროს ან შესრულების გამო (§ 180) და ცილისწამებას თანამდებობის პირის მიმართ თავისი მოვალეობის აღსრულების გამო (§ 189). ასევეა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსითაც, რომლის 253 მუხლში ლაპარაკია სახელმწიფო მოსამსახურის შეურაცხყოფაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა ფაქტიურად

დაადგა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კონსტრუქციის გზას. რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისრის 1926 წლის № 113 ცირკულიარის ძალით სამედიცინო პერსონალის პირთა შეურაცხყოფა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს კვალიფიცირდებოდა რსფსრ 16 და 76 მუხლებით (ე. ი. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლის შეურაცხყოფა ანალოგიით); ამ ცირკულიარის მოქმედება შემდეგ გავრცელდა ვეტერინარული დარგის მუშაკებზეც და ა. შ.

მოსხენებულის საფუძველზე მართებული იქნება საქართველოს სსრ მომავალი სისხლის სამართლის კოდექსში უცვლელად დარჩეს ამჟამად მოქმედი კოდექსის 74 მუხლის კონსტრუქცია (მით უმეტეს, რომ შესაძლებლობა კანონის ანალოგიით გამოყენებისა აღარ არსებობს).

მ. გაუგებარია პროექტში 213 მუხლის შეტანა. ამ მუხლის შინაარსი ასეთია: „წესრიგის დაცვისა და მოძრაობის უშიშროების (აღბად უსაფრთხოების, ბ. ფ.) ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევა, რომელსაც ადაშიანთა უბედური შემთხვევა ან სხვაგვარი მძიმე შედეგი მოჰყვა“.

თუ პროექტის ავტორებს მხედველობაში აქვთ საქალაქო ელექტროტრანსპორტი ან ავტომობილტრანსპორტი, ამაზე ხომ პროექტის 212 მუხლშია ლაპარაკი, ხოლო თუ რკინიგზის, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტი — 83 მუხლში. მაშინ კიდევ რა სახის ტრანსპორტს გულისხმობს პროექტის 213 მუხლი?

იმ შემთხვევაში თუ ეს მუხლი გამიზნულია არა ტრანსპორტის მომუშავეთათვის, მაშინ საჭიროა მისი დაზუსტება, დაკონკრეტება, იმის განმარტება თუ ვის, სახელდობრ რისთვის უნდა დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ვფიქრობთ ეს მუხლი მოცემულ რე-

¹ ესარგებლობ პროექტის რუსული ტექსტით. რადგან ქართულ ტექსტში 193 მუხლი (ასევე 192 მუხლი) არასწორად არის თარგმნილი.



დაქციით გაუგებრობის გამომწვევია და მოითხოვს ჯეროვან დაზუსტებას.

9. პროექტის 227 მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვანთა წაქეზებას დანაშაულისათვის ან დანაშაულში ჩაბმას, მაგრამ მასში არაფერია ნათქვამი სოციალურად ისეთ საშიშ ქმედობაზე, როგორც არის არასრულწლოვანთა წაქეზება (იძულება) პროსტიტუციისათვის, მათხოვრობისათვის და სხვ.

ამ მხრივ უფრო გამართულია ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 82-1 მუხლი.

განა არასრულწლოვანთა, ჩვენს სინამდვილეში ყოვლად მოუთმენელ, ასეთი მანკიერებისათვის წაქეზება, რაც წარმოებს ცალკეულ ბოროტეულ, ზნედაცემულ ადამიანთა მიერ, როგორც წესი, ანგარებითა და სხვა ქვენა გრძნობებიდან გამომდინარე საშიშროებას მოკლებულია და არ უნდა იღვენებოდეს?

მართებული იქნება პროექტის 227 მუხლი აიგოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 82-1 მუხლის შინაარსის შესაბამისად.

10. პროექტი დანაშაულად განიხილავს წინასწარი გამოძიებით შეკრებილი ცნობების გახმაურებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი კი (იხ. 135-ე მუხლი) ასეთ ქმედობას, სრულიად მართებულად, დასჯადად მიიჩნევს.

ცხადია ასეთი შეუსაბამობა ორ პროექტს შორის უნდა გამოსწორდეს და სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში შეტანილი იქნეს ამჟამად მოქმედი კოდექსის 97-ე მუხლის ანალოგიური ნორმა.¹

ეფიქრობთ ზედმეტია იმის მტკიცება თუ რაოდენ საშიშია აღწერილი ქმედობა მართლმსაჯულების ინტერესებისათვის.

ასეთია მოკლეთ ჩვენი რამდენიმე შენიშვნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ახალი პროექტის შესახებ.

¹ პროექტის პირველი ვარიანტი ასეთ ნორმას ითვალისწინებდა (იხ. 211 მუხლი). გადგება რა მოსაზრებით არ იქნა ის გადატანილი პროექტის მეორე ვარიანტში.

შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტისათვის

თ. ცაგურიანი

საქართველოს სსრ უმაღლესი
სასამართლოს თავმჯდომარის
მოადგილე

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების“ პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის დადგენილების თანახმად, მშრომელთა ფართო მასების მსჯელობის საგანს წარ-

მოადგენს. ბევრგან ეწყობა პროექტის საჯარო განხილვები, სამეცნიერო კონფერენციები, მშრომელებს შეაქვთ თავიანთი წინადადებები. შრომის კანონმდებლობისადმი ასეთი საყოველთაო ინტერესი საფუძვლით გასაგებია, შრომის რეგულირებისა და სამართლებრივი

ნორმების სრულყოფით დაინტერესებულთა მთელი ჩვენი ხალხი.

გამოქვეყნებული პროექტი ემყარება კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს და მათ შესაბამისად გამოცემულ აქტებს. ახალი კანონმდებლობით მნიშვნელოვნად უმჯობესდება მშრომელთა შრომის პირობები და მატერიალური კეთილდღეობა, გადიდებულია სამუშაოს შენარჩუნების ვადა დროებით შრომის უუნარობის შემთხვევებში, გაუქმებულია მუშა-მოსამსახურეთა გადიდებული მატერიალური პასუხისმგებლობა დაწესებულებისათვის მიყენებული ზიანისათვის. გაუმჯობესებულია ქალთა შრომის პირობები და სხვ.

„საფუძვლების“ გამოქვეყნებული პროექტი ამასთანავე შეიცავს ზოგიერთ ადგილს, რომელიც სათანადოდ არ არის დამუშავებული და იწვევს აზრთა სხვადასხვაობას.

ბუნდოვანია და დაზუსტებას საჭიროებს პროექტის მე-9 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს შრომის ხელშეკრულების ცნებას. ამ მუხლის რედაქციის მიხედვით ძნელი ხდება შრომითი ურთიერთობათა გამოყოფა მოსაზღვრე სამოქალაქო ურთიერთობისაგან, რომლებიც აგრეთვე შეეხებიან მშრომელის ვალდებულებას შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო და მიიღოს გარკვეული გასამრგელო შეკვეთის შესრულებისათვის (მაგალითად სანარდო სამუშაო). ხოლო შრომის ხელშეკრულების ცნების სწორ და ამომწურავ განსაზღვრადიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული საქმეების განხილვის დროს, რადგან შრომის საქმეებზე მოსარჩელები სარგებლობენ შედევათებით (ბაჟის გადაუხდელობა, ქვემდებარეობის საკითხი და სხვა). აღნიშნულის გამო ხშირად სასამართლოები ვერ ერკვევიან იმაში, ესა თუ ის სარჩელი უნდა წარიმართოს შრომის დავათა განხილვის წესის მიხედვით თუ საერთო სასარჩელო წესით.

„საფუძვლების“ პროექტის მე-12 მუხლი ითვალისწინებს, რომ არ შეიძლება მუშაკის დათხოვნა პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე, (გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია საგანგებო ნუსხაში), მაგრამ პროექტით გათვალისწინებული არ არის რა შედეგი უნდა მოყვეს საქმიან განხილვას თუ ადგილი ექნება ასეთ დარღვევას — სახელდობრ ექვემდებარება თუ არა ასეთი დავების განხილვა სასამართლოს და თუ ექვემდებარება სასამართლომ უნდა განიხილოს მუშაკის დათხოვნის სისწორის საკითხი, თუ მხოლოდ დააზუსტოს ერთი საკითხი — მოხდა თუ არა მუშაკის დათხოვნა პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე და თუ ამას ადგილი ქონდა ალაღვინოს იგი. ამ საკითხში არ არის გარკვეულობა არც პრაქტიკულ მუშაკების და არც იურისტ-თეორეტიკოსებს შორის და ჩვენს პრესაშიაც ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული.

ზოგიერთის აზრით „სარ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების“ პროექტის მე-12 მუხლი ისევე, როგორც „პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების უფლებათა დებულების“ მე-10 მუხლი გაგებულნი უნდა იქნეს როგორც იმის აღიარება, რომ ადმინისტრაციას უფლება არა აქვს დაითხოვოს მუშაკი ადგილკომთან შეთანხმების გარეშე, მაგრამ სასამართლო არ უნდა იყოს შეზღუდული ამ ფორმალური მოტივით. სასამართლო ვალდებულია საქმე განიხილოს არსებითად, შეამოწმოს ყველა ის გარემოება, რაც საფუძვლად დაედო მუშაკის დათხოვნას და ამის შემდეგ გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ საქმეზე.¹

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ „საფუძვლებში“ აღნიშნული უნდა იყოს, იმ შემთხვევაში, როცა მუშაკი დათხოვნილია ადგილკომის დასტურის გარეშე, ის აღდგენილი უნდა იქნეს სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განუხილველად.¹ ეფიქრობთ, რომ ადგილკომის თანხმობის უქონლობა მუშა-მოსამსახურის განთავისუფლებაზე არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ფორმალურ დარღვევად. საკითხის ასეთი გაგება ჩვენის აზრით პროექტის მე-12 მუხლს დაუკარგავს იმ მნიშვნელობას, რასაც მას ანიჭებს კანონი მშრომელთა ინტერესების გააანტირების საქმეში. თუ ამ მუხლის დარღვევას არავითარი შედეგი არ მოყვება იმ მუშაკის მიმართ, რომელიც მოხსნილია სამუშაოდან და ითხოვს აღდგენას, ეს მუხლი გადაიქცევა ისეთ ნორმად, რომელიც მოკლებულია შინაარსს და მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს.

ჩვენი აზრით, როგორც „საფუძვლებში“ მე-12 მუხლი, ისე პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების უფლებათა დებულების მე-10 მუხლი გაგებულნი უნდა იყოს ისე, რომ მუშაკი, რომელიც განთავისუფლებულ იქნება სამუშაოდან ადგილკომის თანხმობის გარეშე აუცილებლად აღდგენილი უნდა იქნეს სამუშაოზე სასამართლოს მიერ.

ჩვენი შრომის კანონმდებლობა ყოველთვის პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებდა ორსულ ქალებს და დედებს, რომელთაც ბავშვები ყავთ ერთი წლის ასაკამდე. „საფუძვლებში“ პროექტიც თითქოს ამ გზით მიდის და 53-ე მუხლის მეორე აბზაცი ითვალისწინებს, რომ ორსული ქალების და დედების, რომელთაც ბავშვები ყავთ ერთი წლის ასაკამდე, განთავისუფლება შეიძლება

მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. ისიც მხოლოდ პროფკავშირის ადგილკომის თანხმობით. თუ ამ მუხლს იმავე დებულების მე-12 მუხლს შევადარებთ, გაუგებარი ხდება რაში მდგომარეობა „გამონაკლისი შემთხვევა“. რადგანაც არცერთი მუშაკის დათხოვნა არ შეიძლება ადგილკომის თანხმობის გარეშე, ეფიქრობთ, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნას ამჟამად მოქმედი მდგომარეობა და ამ კატეგორია მუშაკების დათხოვნის დროს სავალდებულო იყოს შემდგომი პროფკავშირის თანხმობა.

ჩვენი აზრით „საფუძვლებში“ მე-15 მუხლში, რომელიც ითვალისწინებს იმ პირთა წირეს, რომელთაც უფლება აქვთ შემოკლებულ სამუშაო დღეზე, აგრეთვე შეტანილი უნდა იქნეს პენსიონერები, რომლებიც განაგრძობენ მუშაობას და ტერმინი „მოხუცებულობის პენსია“ შეცვლილ იქნას ტერმინით — „პენსია ასაკის მიხედვით“.

„საფუძვლებში“ 33-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც გამოშვებული საქონელი უხარისხოა და ამაში მუშაკი არ მიუღწევს ბრალი, მისი შრომა ანაზღაურდება უნდა და მოხდეს მუშა-მოსამსახურის არანაკლებ სატარიფო განაკვეთის ორი მესამედის რაოდენობით. ეფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევაში მუშაკს ხელფასი უნდა აუნაზღაურდეს სრული განაკვეთის რაოდენობით.

დასასრულს უნდა შევებოთ საკავშირო და რესპუბლიკურ საკანონმდებლო ურთიერთობას შრომის დარგში.

ეს საკითხი გადაჭრილია „საფუძვლებში“ პროექტის შესავალ ნაწილში და მის უკანასკნელ თავში. შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ „საფუძვლები“ აკანონებენ პრინციპულ საკანონმდებლო დებულებებს შრომის დარგში. ამ „საფუძვლებში“ მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკები უზრუნველყოფენ შრომითი საკითხების რეგულირებას ცალკე-

1. «Советская юстиция», 1959 г., № 11, стр 40-41.



ულ რესპუბლიკათა მიხედვით, ხოლო პროექტის დასკვნით ნაწილში გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შეფარდების წესი.

ვფიქრობთ, ეს თავი საჭიროებს ნაღო დაზუსტებას. უფრო ნათლად უნდა იყოს გარკვეული ის ნორმები, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის სფეროს მიეკუთვნებიან.

მუშა - მოსამსახურეთა გაკანონების გაზრატობისა და სადკეუდი ნოკამების დაზუსტებისათვის

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებს“ პროექტში სრული ასახვა ჰპოვა პარტიის XX და XXI ყრილობათა დირექტივების შესასრულებლად მიღებულმა საკანონმდებლო აქტებმა. „საფუძვლებს“ პროექტი ახალ გარანტიებს ითვალისწინებს მუშა-მოსამსახურეთა შრომის უფლებას დასაცავად.

ამ წერილში გვინდა გამოვთქვათ მოსახრება ზოგიერთ საკითხებზე, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილად მიგვაჩნია „საფუძვლებს“ საბოლოო რედაქციისა და მისი მიღების დროს.

ცნობილია, რომ მოქმედი საკავშირო კანონმდებლობით, სეზონური მუშა-მოსამსახურენი შევებულებისა და ფულადი კომპენსაციის მიღების უფლებით არ სარგებლობენ, რადგან სეზონური მუშაობის ვადა — ექვსი თვე, არ ქმნის უწყვეტი მუშაობის თერთმეტი თვის სტაჟს.

სეზონურ მუშათა უფლებების ერთგვარი შეზღუდვა ადრე დასაბუთებულ იყო იმით, რომ პირები, რომლებიც აღნიშნულ კატეგორიას მიეკუთვნებიან მუშაობენ არა მთელი წლის განმავლობაში და ამიტომ „მათ მიმართ არ შეიძლება შეფარდება ყველა გარანტიებისა, რაც გათვალისწინებულია მთელი წლის განმავლობაში მომუშავეთა-

თვის, თუნდაც მაგალითად დასვენების უფლებისა.¹

პროფესორ ა. ი. გინზბურგს მოაჩნია, რომ ეს გამოჩვეულებულია. რს ფ ს რ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსების შექმნის დროს და მათი მოქმედების პირველ წლებში, სეზონური მუშები რეკრუტირებულნი იყვნენ ძირითადად გლეხობიდან.² მშრომელთა ეს ჯგუფი სოფლის მეურნეობასთან კავშირს არ წყვეტდა და შესაძლებლობას არ კარგავდა თავისი დასვენება მოეწესრიგებინა იმ დროის ხარჯზე, რაც სეზონური მუშაობის პერიოდის გარეშე რჩებოდა.³

ის, რომ სეზონურ მომუშავეთა ვადა განსაზღვრულია, არ შეიძლება საფუძვლად დაედვას იმ უფლებათა ჩამორთმევას, რითაც სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში ყველა მშრომელი.

¹ იხ. შრომის სახალხო კომისრიის ტოლტოპიატოვის მოხსენება პროფესიულ კავშირთა მერვე საკავშირო ყრილობაზე.

² საქართველოში სეზონურ სამუშაოებს გლეხები ასრულებდნენ ნებაყოფლობით და არა რეკრუტირებით.

³ А. Гинзбург. Трудовые отпуска рабочих и служащих. М., 1957 г., стр. 37.

როგორც ცნობილია, სამუშაოს სეზონურობა განისაზღვრება ბუნებრივი და კლიმატური პირობებით, მისი ხანგრძლივობა განსაზღვრულია ექვსთვიანი ვადით.

სსრ კავშირის შრომის კომისარიატის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კომისარიატების მიერ თავის დროზე დამტკიცებულ იქნა სეზონურად მიჩნეული სამუშაოთა ნუსხები, რადგან ცალკე რესპუბლიკების ბუნებრივი და კლიმატური პირობები სხვადასხვანაირია, სამუშაოს სეზონურობაც სხვადასხვანაირად განისაზღვრება.

მაგალითად: ნუსხის მიხედვით (პ. 6) სეზონურ სამუშაოთა რიცხვს ეკუთვნის ელექტროგაყვანილობის ქსელის გადაკეთებისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოები, ჯირკვების ამოძირკვა და დამუშავება, რაც ტყის დამზადების ძირითადი სამუშაოებისაგან დამოუკიდებლად სრულდება (პ. 9 და სხვ.).

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, კერძოდ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკებში ეს სამუშაოები მთელი წლის განმავლობაში წარმოებს და ამიტომ სეზონურად არ ითვლება. ხოლო რსფსრ-ს ჩრდილოეთ ნაწილში კი მათი ხანგრძლივობა ექვს თვეს არ აღემატება და სეზონურია.

თავისთავად ცხადია, რომ სეზონურ სამუშაოთა ნუსხის დადგენა უნდა მიეკუთვნოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციას. მოკავშირე რესპუბლიკები დამოუკიდებლად უნდა აწარმოებდნენ სეზონურ სამუშაოთა ხასიათს, სეზონური მუშებისა და მოსამსახურეების შრომის პირობების რეგულირებას.

მეორე მხრივ ნუსხაში შეტანილია ისეთი „სეზონური“ სამუშაოები, რაც სეზონურად არ უნდა ითვლებოდეს. მხედველობაში გვაქვს ჩაის ფოთლის კრეფა.

საქართველს სსრ რესპუბლიკის ჩაის

მრეწველობა დიდ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის ჩაით მომარაგების საქმეში. ჩაის ფოთლია კრეფაზე სამუშაო დღის ხანგრძლივობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის დადგენილებით¹ გაგრძელებულია, რადგან ჩაის ფოთლის დაგვიანებით კრეფა 30 პროცენტით აჭკვეითებს მის ხარისხს. ამ სამუშაოზე დახარჯული დრო ნორმალური სამუშაო დღის ხანგრძლივობის წლიური რაოდენობის შრომას უდრის.

ამეკამად უკვე შექმნილია ჩაის ფოთლის მკრეფათა მუდმივი კადრი, რომელთა რიცხვში ბევრი სოციალისტური შრომის გმირია. მუშაკთა ამ კატეგორიის მიმართ საჭიროა გათვალისწინება ფასიანი შვებულების განსაზღვრისა, ჩაის ფოთლის კრეფაზე გამომუშავებული სამუშაო საათების და მათი მუშაობის შრომატევადობის გათვალისწინებით. ჩვენი აზრით ამ საკითხის გადაწყვეტაც მოკავშირე რესპუბლიკებს უნდა გადაეცეს.

„საფუძვლების“ პროექტში აღნიშნული არ არის ადმინისტრაციის უფლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსაცდელი ვადით სამუშაოზე მიღებაზე.

პრაქტიკული მოცოდინება გვიჩვენებს, რომ მიზანშეწონილია ძალაში დავტოვოთ მიღება გამოსაცდელი ვადით და მისი ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს მუშაკის კვალიფიკაციის გათვალისწინებით. საჭიროდ ვთვლით შევეხოთ აგრეთვე რამდენიმე საკითხს. რომელიც დაკავშირებულია „საფუძვლების“ პროექტით გათვალისწინებულ ცალკეულ ნორმებთან.

სხვა რაიონში, იმავე საწარმოში ან დაწესებულებაში ერთი სამუშაო-

¹ იხ. გაზეთი „Правда“, 1940 г., I, VIII.



დან მეორეზე მუშაკის გადაყვანის საკითხის მოსაწესრიგებლად აუცილებელია დაზუსტდეს პროექტის მე-7 და მე-8 მუხლები.

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო სისტემატურად უთითებდა პროფესიულ ორგანიზაციებს, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნეს ბრძოლა მუშებისა და მოსამსახურეების უკანონოდ გადაყვანასთან სხვა მუდმივ ან დროებით სამუშაოებზე, „საწარმოო აუცილებლობის“ საბაბით.

ადგილიდან ადგილზე მუშა-მოსამსახურეთა მიზანშეუწონელი გადაყვანის ასატილებლად, სასურველი და სასარგებლო იქნება „საფუძვლების“ მე-6 მუხლს დაემატოს, რომ „გადაყვანის ყველა შემთხვევაში აუცილებელია საფაბრიკო - საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობა“.

საჭიროა ამავე დროს დაზუსტდეს „საწარმოო აუცილებლობის“ ყველა შემთხვევები: განსახილველად ვაყენებთ საწარმოო აუცილებლობის ნუსხას. „სტიქიური უბედურების და ავარიის აცილება ან ლიკვიდაცია და მათი შედეგების აღმოფხვრის აუცილებლობა. მანქანების, დაზგების, აგრეგატების რემონტი, გაცდენა და დროებით წასული მუშაკების შეცვლა.“

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება სამუდამოდ 4 თვემდე სწარმოებს, ამიტომ სამართლიანად მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის წესით აღძრულ საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებულ მუშაკს სამუშაო ადგილი და ხელფასი შეენახოს 4 თვის განმავლობაში, თუ საქმე მის მიმართ წარმოებით მოიხსნა, ან იგი გამართლდა.

„საფუძვლების“ პროექტის მე-12 მუხლის ძალით მუშებმა და მოსამსახურეების სამუშაოდან დათხოვნა (განთავი-

სუფლების მოტივის განურჩევლად) ადმინისტრაციამ უნდა შეუთანხმოს პროფკავშირის პირველად ორგანიზაციას, მაგრამ პროექტი არ ითვალისწინებს იმ შედეგს, რაც ადმინისტრაციის მიერ ამ წესის დარღვევას უნდა მოყვეს. საკითხის დაზუსტების მიზნით პროექტში საჭიროა შემდეგი განმარტების შეტანა.

„აღნიშნული წესის დარღვევით განთავისუფლება მუშაკს შეუძლია გაასაჩივროს სახალხო სასამართლოში, რომელიც ასეთ შემთხვევაში ვალდებულია, აღადგინოს იგი თავის სამუშაოზე განთავისუფლების მიზეზების საფუძვლიანობის განუხილველად“.

„საფუძვლების“ პროექტის იმავე მე-12 მუხლში საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე შესწორების შეტანა, სახელდობრ, ამ მუხლში აღნიშნული არ არის, რომ პროფკავშირის კომიტეტის თანხმობა უნდა იყოს „წინასწარი“ როგორც „კოლექტიური ორგანოსი“ და არა მარტო თავმჯდომარისა.

პროფესიულ კავშირთა ღრუბლიანად საკავშირო ცენტრალური საბჭოს უფლებათა სექციის მიერ მოცემულ იყო განმარტება, რომ სამუშაოდან დათხოვნა შეთანხმებული უნდა იქნეს საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან, როგორც კოლექტიური ორგანოსთან.¹

ჩვენი აზრით საჭიროა მე-12 მუხლი შემდეგი რედაქციით იქნეს მიღებული: „შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა არ დაიშვება თუ ამაზე მიღებული არ იქნა საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობა, წინასწარი დადგენილების სახით, გარდა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისა, იმ მუშაკებთან, რომელთაც, საგანგებო სიაში ჩამოთვლილი საპასუხისმგებლო თანამდებობები უკავიათ“.

ძველი კადრების ცოდნისა და გამო-

¹ იხ. გაზეთი „Труд“ — 1958 г., 14 VII.



ცდილების გამოყენების, სათანადო სა-
მუშაოზე მათი ჩაბმისა და შრომითი
მოღვაწეობის გასაგრძელებლად საჭი-
რო პირობების შექმნის მიზნით მიზან-
შეწონილია „საფუძვლების“ პროექტის
მე-17 მუხლი შეიცვალოს ფრაზით „მო-
ხუცებულობით პენსიონერები“.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკები დი-
დი ზეიმით აღნიშნავენ თავიანთ რეს-
პუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების
დამყარების დღეს. კარგი იქნება ეს
დღე ჩაითვალოს არა სამუშაო დღეთ
და სათანადო შეივსოს ნუსხა პროექ-
ტის 21-მუხლში.

დიდი მნიშვნელობა აქვს დამატებითი
შევებულების საკითხს (პროექტის 24
მუხლი): ამ მუხლში ჩამოთვლილია იმ
კატეგორიის მუშაკები, რომელთაც და-
მატებითი შევებულება ეძლევა.

ჩვენი აზრით 24-ე მუხლში აღნიშნუ-
ლი „გარკვეული თანამდებობის“ მუშა-
კთა სია და მათი შევებულების ხანგრძლი-
ვობა უნდა წესდებოდეს ადმინისტრა-
ციის მიერ. საფაბრიკო-საქარხნო, ად-
გილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.
აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს არაორ-
მირებელი სამუშაო დღის მქონე მუშა-
კები, რომელნიც „საფუძვლების“ პრო-
ექტში მოხსენებული არ არის.

უნდა შევეხოთ შრომის ხელფასის
უფლებრივი მოწესრიგების საკითხსაც.

შრომის კანონთა კოდექსი იმ რედაქ-
ციით, რომელიც საბჭოთა ხელისუფლე-
ბის პირველ წლებში იქნა მიღებული,
არ შეიცავდა შრომის შემცირებულ ანა-
ზღაურებას იმ შემთხვევაში, როდესაც
სამუშაოს შეუსრულებლობა მუშაკებ-
საგან დამოუკიდებელი მიზეზით იყო
გამოწვეული.

ეფიქრობთ, რომ ყველა შემთხვევაში,
როდესაც მუშაკებისაგან დამოუკიდე-
ბელი მიზეზების გამო, სამუშაო ნაწი-
ლობრივ ან არა სათანადოდ არის შეს-

რულებული. მუშაკს უნდა შეეძლოს
დეს სამუშაო ხელფასი. **წინადადება**
ლობა წუნისათვის, რაც მუშაკის ბრ-
ლით არ არის გამოწვეული, უნდა დაე-
კისროს არა მუშაკს, არამედ კონკრე-
ტულ დანაშაუვეს.

ხოლო თუ ასეთი დანაშაუვე არ არ-
სებობს, მაშინ წუნი უნდა დაეწეროს
წარმოებას. ამრიგად აღნიშნული უნდა
იქნეს შრომის კანონთა კოდექსი აღ-
რინდელი რედაქციით.

საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქარ-
ველოს სს რესპუბლიკაში ფართოდ
არის გავრცელებული ერთი წლის ასაკ-
მდე ბავშვის შვილად აყვანა, მაგრამ შვი-
ლად ამყვანზე არ ვრცელდება შედეგ-
თები, რაც გათვალისწინებულია მეტე-
ძური დედებისათვის (დამატებითი შე-
ვენება). ამავე დროს კანონი სახელმწი-
ფო პენსიების შესახებ არ ქმნის რაიმე
განსხვავებას შვილად ამყვანების, მშო-
ბლების, შვილად აყვანილთა და ღვიძლ
შვილებს შორის.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო
კანონთა კოდექსით შვილად აყვანილ
და მისი შთამომავლობა შვილად ამყვ-
ნის მიმართ და შვილად ამყვანი შვი-
ლად აყვანილისა და მისი შთამომავ-
ლობის მიმართ იქნენ ყველა პირად და
ქონებრივ უფლება-მოვალეობას, რო-
გორც შთამომავლობითი ნათესაეებ,
ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილი
იქნება „საფუძვლების“ პროექტის 52
მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი სახის
რედაქციით: მეტეძურ დედებს, დედებ-
სა და შვილად ამყვანი ქალებს, რომელ-
თაც ყავთ ბავშვები ერთი წლის ან
კამდე (დანარჩენი ტე-
ქსტის შეუცვლელად).

წ. ნარიშკინი

საქართველოს პროფსაბჭოს იუ-
რიდიული ბიუროს უფროსი კო-
ნსულტანტი


ქართული საბჭოთაო კანონმდებლობა

იონ ლეშვასი

მ. ვ. ვარძილაძე — მიზნობრივი კავშირი სისხლის სამართალში*

სტალინის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის გამომ-
ცემლობა, თბილისი, 1957 წ.

რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნდა საბჭოთა კრიმინალისტიკის თ. ვ. წერეთლის ზემოთ დასახელებული წიგნი, რომელიც იმსახურებს გერმანიაში სისხლისსამართლებრივი მეცნიერებასა და პრაქტიკის განვითარებას უპირველეს ყოვლია ამიტომ, რომ ავტორი ყოველმხრივ განიხილავს მიზნობრიობის პრობლემას. მიზნობრი-



საართლებრივი ცნების გამოსარკვევად, როგორცაა, მაგალითად, თანამართლობა, მცდელობა, ბრალი და საზოგადოებრივი საშიშროება (გვ. 4). ამასთან ერთად ავტორს არ ავიწყდება თავიდანვე გამოთქმის მიზნობრიობის პრობლემისა და მისი განხილვის და შესაბამისი აღნიშვნის, რომ მხოლოდ მიზნობრივი კავშირის საფუძვე-

ლ კავშირს იკვლევს არა მარტო ზოგად და უყოიოდ, არამედ სისხლის სამართლის სპეციალურ საკითხებთან და საბჭოთა სისხლის სამართლის პრაქტიკასთან შედარო კავშირში. ამ მიზნების მიმოხილვა განსაკუთრებულ სიახუნებას პგვრის რეკენსეტს იმითომ, რომ ავტორი იზარებს ჩვენი სისხლის სამართლის მეცნიერების არსებითი ხასიათის ყველით დაყენებს ამ რთულ პრობლემასთან დაკავშირებით, რაზედაც იგი ხშირად მიუთითებს თავის მხრობში.

ლზე შეტყობულია ისეთი დასკვნების მიღება, რომლებიც საკმარისი იქნება პასუხისმგებლობის მთელი პრობლემის გადასაჭრელად." (გვ. 5.).

დასაწყისში ავტორი სავანებოდ გამოპყობს მიზნობრივი კავშირის მნიშვნელობას, როგორც წინამძღვარს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, სისხლის სამართლებრივობის სტაბილობისა და განსაზღვრულობისთვის (გვ. 3), აგრეთვე სხვა მრავალი სისხლ-

ნაშრომის პირველ თავში ავტორი რამდენიმე განსაზღვრავს თავისი გამოკვლევის სავანის იმით, რომ გამოდის ადამიანის მოქმედების ცნებიდან და დანაშაულის შედეგებიდან. ამ გზით იგი დასაწყისშივე იცილებს თავიდან საკითხის აბსტრაქტულ-ფილოსოფიურ დაყენების საშიშროებას, რაც ნაყოფიერად დაშორებდა, სმარტ, ზუსტ წინდადებებში ავითარებს იგი მოქმედების დიალექტიკურ-მატერიალისტურ თეორიას და მის მნიშვნელობას სისხლის სამართლისათვის. ამასთან ერთად იგი ეკამათება ზოგიერთ ბურჟუაზიულ მეტაფიზიკურ შეხედულებას მოქმედების შესახებ.

* აღნიშნული რეცენზია გამოქვეყნებულია კრიმინალურ უფროსად „შტაატ უნდ რეხტ“ „სახელმწიფო და სამართალი“, 1959, № 4, გვ. 466—474.

1. რეკენსეტის ავტორი სქოლიოში ჩამოთვლის თ. ვ. წერეთლის წიგნის თავებს სათაურების ხელვით. (რედაქციისგან).

ნაშრომის მომდევნო გვერდებზე ავტორი განიხილავს დანაშაულის პრობლემას და მიდის მნიშვნელოვან დაკვენამდე, რომ ყოველ დანაშაულებრივ ქმედობას, მიუხედავად მისი დაყოფისა მატერიალურ დანაშაულად (მედევობრივ დანაშაულად) და ფორმალურ დანაშაულად (ჩადენის დელიქტად), გააჩნია ზოგადი, ყველა დანაშაულიათვის საერთო შედეგი, სახელ-



დობრ, დანაშაულის ობიექტის დაზიანება. ამ საერთო შედეგისაგან უნდა განვასხვავოთ განსაკუთრებული შედეგი ანუ შედეგი ვიწრო მნიშვნელობით. მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ განსაკუთრებულ შედეგსა და მოქმედებას შორის გადამწყვეტ როლს ასრულებს პრაქტიკაში. განსაკუთრებული შედეგი მდგომარეობს არა მარტო დანაშაულის საგნის სუბსტანციურ ან სივრცით ცვლილებებში, არამედ ასეთ შედეგად უნდა იქნეს ცნობილი აგრეთვე „რეალური და კონკრეტული“ საფრთხის მდგომარეობა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის მიერ უფრო დეტალურადაა აღწერილი.

ნაშრომის მეორე თავი დათმობილი აქვს სპეციალურ დისკუსიას მიზეზობრივი კავშირის ბურჟუაზიულ თეორიებთან. ვრცელი მასალის გამოყენებით ავტორი გვიჩვენებს მიზეზობრივი კავშირის ბურჟუაზიული თეორიების კლასიკური განპირობებულობასა და ამასთანავე შეზღუდულობას. ამ თეორიებს — სულერთია, რომელ ვარიანტშიც უნდა მოგვევლინონ — ყოველთვის ის მიზანი აქვთ, რომ „სუბიექტივობაში და გაურკვეველობა შეიტანონ სისხლის მართლმსაჯულებაში“, და მიეყვანონ „ბურჟუაზიული სასამართლოს თეოთენობის გაფართოებისაკენ“ (გვ. 34).

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეკვივალენტურ თეორიასა და მის ფილოსოფიურ ფესვებს. იგი საკვებით სწორად განმარტავს, რომ ეკვივალენტური თეორიის კრიტიკის დროს არ უნდა გავილამაზოთ თეზისი — *conditio sine qua non* -ის წინააღმდეგ, რადგან, ჯერ ერთი, ეს თეზისი არ არის მცდარი და, მეორე, იგი არ წარმოადგენს არაკებობის ეკვივალენტურ თეორიას (გვ. 42). ამ თეორიის არსი მდგომარეობს: „პირობის თანაწარმოებლობისა“ (გვ. 43), და მისგან გამომდინარე რეაქციულ „დასკვნებში. რომლებიც სისხლის სამართლისათვის გამანადგურებელია“ (გვ. 44). ამ დასკვნებს მიეყვართ მცდელობისა და თანამონაწილეობის „სუბიექტური“ თეორიებამდე, მიზეზობრიობას პირობების უარყოფამდე და ბრალის გადაჭარბებით შეფასებამდე, რაც განწყობილების სისხლის სამართალს უახლოვდება (გვ. 45). აგრეთვე დანაშაულის სიმპტომატურ გაგებაშიც, რომლის მიხედვით „პირის ყოველი დანაშაულებრივი მდგომარეობა“ უნდა დაიპაჟოს (გვ. 46).

ამავე თავის შემდეგ პარაგრაფში ავტორი განიხილავს ადეკვატურ თეორიას, რომლის წარმონაშთს მას იმპერიალისტური ბურჟუაზიის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამოჰყავს. ბურჟუაზია მუდამ აღიერებს თავის საწარმოებში მონაწილე ყველგან და უკუღმევან მათ უსადრტოებლად წარმოების პროცესში, ამ მიზე-

ზით წარმოშობილ უბედურ შემთხვევათა შედეგებისათვის პასუხისმგებელი არ სურს (გვ. 51). ავტორი ზუსტად გამიზნული სიტყვებით ამხილავს ამ თეორიის ფილოსოფიურ უსაფუძვლობას. იურიდიულ ბუნდოვანებასა და სუბიექტივიზმს, რომელსაც თეოთენობამდე მიეყვანათ.

გამომხიებელმა დაევირვებით გადაიკითხა მუშათა აღმრიცხველი ტაბელი, ხელფასის უწყისები, ფორმა № 19. ყველა მათგანში სიმონ ცუცქერიძე ისე მაგარად მოკალათებულყო, რომ შეკრებელ მასალებს სრულიად აქარწყლებდა. 15-დან 18 მაისამდე ბრალდებული განუწყვეტლად მუშაობს ლესეკინის ჩაის ფაბრიკის საქნობ საამქროში, დღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებს, ხელფასიც შესაბამისად არის გამოწერილი. გრიგოლ და ანგია ცუ-



ცქირაძეების მეველეობა სიფელ სევრში საღამოს 10 საათზე მოხდა. ამ დროს სიმონ ცუცქირიძე მეველეობის ადგილიდან თითქმის 100 კილომეტრის დაცილებით გახურებულ მუშაობაშია ფაბრიკის საქსნობ საამქროში. რაღაც დაუჩერებელი ამბავია და როინიშვილიც ისე დასცქეროდა ფორმა № 19-ში მაგრად ჩამჯდარ მის გვარს. თითქოს ქაღალდზე იისფერი მელნით ასოები კი არ ყოფილიყო გამოსახული, არამედ თვითონ დამწავვე.

როინიშვილი არა ნაკლებ ჩააფიქრა მოწმე გივი კუბრაშვილის ჩვენებაზე.

— იქნებ უნებართვოდ გაცდინა რამოდენიმე დღე. — კიბა გამოძიებულმა.

— სიმონ ცუცქირიძის გვარი შეტანილია მაიხან თვის ტაბელში და ფორმა № 19-ში. მეც მახსოვს. ეს დღეები მას არ გაუტყდენია.

— ეინ ადგენს ფორმა № 19-ს?

— მე თვითონ, შეუძლებელია წიგნის მუშის გვარი მოხვედეს, რომელსაც იმ დღეს არ უშუშავნია.

როდესაც დაკითხვა დამთავრდა, როინიშვილი ექსპერტიზით დადგინებულ შედეგებს ჩაუთქვია. აქ აღნიშნული იყო, რომ სიმონ ცუცქირიძის სისხლი ჰარველ ჯგუფს ეკუთვნის და ედრება სვერის ორდობედან აღებულ სისხლს ნიმუშების ჯგუფს. ბრალდებულს შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი ქული მოერგო. ქულში აღმოჩენილი ერთი ლერი თბა აღმოჩნდა სიმონ ცუცქირიძის თბა.

გამომძიებელმა ჰიათურიდან ტიტყო და შოთა ცუცქირიძეები დაიბარა. კიდევ ერთხელ და-

კითხა და პატამარს პირობი წაუყენა. ბრალდებულმა მათი ყველა ჩვენება უარყო.

იქნებ პირადი ინტერესები ამოძრავებსურთ სრულიად უდანაშაულო ადამიანი დღეპონ? ექსპერტიზის შედეგები? — შეიძლება უბრალო დამთხვევა იყოს. ბრალდებულს ზოგიერთი ამყარა სიცრუე? — განა არ ხდეს ზოგჯერ როცა უდანაშაულო, მაგრამ შემთხვევით მოხვედრილი პატამარიც კი არა სწორი ჩვენებით ცდილობს თავის განთავისუფლებას. ანგია ცუცქირიძემ მისი ძმა დაპატარა — სიმონ ცუცქირიძის გარდა სხვებსაც შეიძლება დაპატიმრებული იყოს. მაგრამ არაფერი მოუკლავთ. მათ უმეტეს ნიშნა მანამ ქუთუბა ჩაიდინა. მისი წარსული? — მეველეობა ჩაღწას არ ნიშნავს.

ახლა საწინააღმდეგო არგუმენტები დაეწყო როინიშვილმა. მამ ვინ ჩაიდინა მეველეობა? — ვინ იცის, ნამდვილი მეველეობა ვინაია იქნებ ისევე საიდუმლოებითაა მოცული, როგორ ძიების დასაწყისში. ოფიციალური ცნობის ლესეჟინის ჩაის ფაბრიკიდან? — ძნელია მის დარღვევა. მამ სიმონ ცუცქირიძე მეველეობა ყოფილა! — ამ აზრს ებრძოდა გამომძიებელ გონება ერთს კარნახობდა. საქმე მეორეს. ახლერთბა აზრმა შეაჩუნა. — იქნებ შრომითი დანიშნულების რაიმე უხეში დარღვევა და ჩქარავე?

შეილებდა და როინიშვილმა ერთად ერთ უთანასკენელი გამოსავალი მოიხატა. გამოგზავნულ ცნობები უშუალოდ ადგილზე შეემოწმებინა.

ფორმა № 19.

გამომძიებელი ლესეჟინში გაემგზავრა. დიდი იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდა. ეს მგზავრობა უფრო უთანასკენელი ვალის მოხდას ნიშნავდა. ზოგჯერ იმასაც ფიქრობდა, როგორც კი თბილისში დაბრუნდებოდა, სპეციალური დადგენილება დაეწერა პატამარის სიმონ ცუცქირიძის განთავისუფლების შესახებ და ახალი იტება მოეთხოვა ნამდვილი მეველეობის აღმოსაჩენად. რაც უფრო მეტს ფიქრობდა სევრში მომხდარ მეველეობაზე, უფრო დრმად იჭრებოდა სოფლის ორდობის საიდუმლოებათა ამ ლაბირინთში და გამოსვლას ვეღარ ახერხებდა.

გამომძიებელმა ფაბრიკაში უიმედოდ შეაბიჯა და... პირველივე მოწმის დაკითხვამ ახალი, იმედი გადაშალა მის წინ.

— ღიას, მე კარგად მახსოვს, — უმასუხა გამომძიებელს ფაბრიკის საცხოვრებელი ბინების კომუნალბა ვარდენ ხორავამ. — ცუცქირიძე ჩვენთან მუშაობის დაწყების პერიოდში ვნახე. იგი ხელის მტევანზე იყო დაჭრილი.

ფაბრიკის მუშამ ვენერა ხორავამ უფრო მეტი სიცხადე შეიტანა.

— გასულ წელს 14-დან 20 მაისამდე საქსნო საამქროში ვმუშაობდი. ამ დღეებში სიმონ ცუცქირიძე სამუშაოზე განოსტლი აო მის ხავს.

საქმე ისე შემოტრიალდა და გამომძიებელი როინიშვილიც ფხვდაფხვ მიყვან კვალს.

— სიმონ ცუცქირიძე მუშაობის დაწყებ შემდეგ რამდენიმე დღით წავიდა სადღაც და რუნებინას კი თქვა, ნათესავებში ვიყავი, და თვერი და დავიგვიანეო, — განაცხადა მე ივანე შეპელოვმაც.

ეს ჩვენება დაადასტურა ღურვალმა ვალფარქოსაძემაც.

კიდევ უფრო საყურადღებო იყო გოვონასკინივას სიტყვები:

— გასული წლის მაისის თვეში ღაბობა ტუბმა ფიზიკურადაც წავიმუშავეთ. ჩვენთან მუშაობდა ცვლის ტექნოლოგი გივი ევაზიშვილი.



ლც. ამ შესრულებულ სამუშაოს ჩვენს გვარ-ზე ფორმა № 19-ში ვერ გავაფორმებდით. ამიტომ ცვლის ტექნოლოგმა უწყისში ს-მონ ცუცქერიას გვარი შეიტანა და ჩვენი ნამუშევარი მას მიაწერა. მასსოცს სიმონ ცუცქერიძემ ამ უბის რამდენიმე დღე გააკლინა.

ჩინიშვილისთვის ახლა ყველაფერი ნათელი გახდა. ბიროტმოქმედმა მკვლელობის კვლის დაფარვის მიზნით იტრუა. — გრიშა და ანგია ცუცქერიძეების მკვლელობის დღეს ჩაის ფაბრიკაში გმუშაობდით.

ცუტანის შემდეგ ცვლის ტექნოლოგი კუბრაშვილი მოვიდა. გამოძიებლის მკაცრ მზერას თავის დაბრით უპასუხა და შემფოთებულ-ნი თქვა:

— წინა დაკითხვაზე, სიმართლე არ გითხა-რით.

— ვიცა! გესმით, თქვენი მოქმედება რას ნიშ-ნავს. მკვლელის დაფარვას. შენს საქციელს შე-ნივე დაბრიკის მუშები განსჯიან, ახლა კი დაწ-ერილებით მომიყვებით. — მკაცრად მიმართა გა-მოძიებელმა.

— ხალის მარჯულებს ეს ამბავი, დამსაჯეთ ჩიგოც გსურთ.

მისი შეწუხებული და ნაღვლიანი სახე ნათ-ლად შეტყველებდა, რომ სინდისის ქეჩნას გა-ნიძიდა.

— სეზონის დაწყების გამო. — დაიწყო აწით-ლებულმა კუბრაშვილმა, — 1958 წლის 14 მაისს

შევადგინე ფორმა № 19. იმ დღეს სიმონ ცუც-ქერიძე უკვე განთავისუფლებული მყავდა ორი დღით ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად. მან ორი დღე სხვაც გადააცილა. მე მისივე თხოვნით მისი გვარი ფორმა № 19-ში შევიტანე ისე, რომ მოვაწერე იმ დღეებში ფაქტურად ლაბორანტებისა და ჩემს მიერ არა ოფიციალუ-რად შესრულებული ფიზიკური სამუშაო, რო-დესაც სიმონ ცუცქერიძე სამუშაოზე გამოც-ხადდა. ეს იყო 18 მაისს დღისით, იგი დალონე-ბული და არაფელი იყო. ნიბრა, ძმას მიუხაჯე-სო. მასსოცს მარჯვენა ხელის მტევანზე ჭრილო-ბა ჰქონდა. როცა შეამჩნია, რომ მის ნაჭრილო-ბეზე ხელს შეეხებდა, თვითონვე მითხრა აჩქარე-ბით, მოვრალმა წინაზე მივარტყი ხელი...

— ძლივს! — გაიფიქრა გამოძიებელმა რო-დესაც მარტო დარჩა...

ძიება დამთავრდა, მკვლეელი გამოაშკარავე-ბული იქნა. ეს კი საქმის ბოლომდე მიყვანას ნიშნავდა.

* * *

მსუქანმა შემოდგომამ შეყვითლებული ფოთ-ლები სოფელს ოქროს ეარაყივით მოაელო. სვე-რელები შრომის ფერხულის ხალისიან რითმს მიუყვებოდნენ და ახალი წარმატებებისათვის ემზადებოდნენ. ამ დროს სიმონ ცუცქერიძე სა-ჭარბეულის სსრ უმაღლესი სასამართლოს სამ-ჯავროს წინაშე იყო წამდგარი. მას ჩადენილ დანაშაულზე პასუხი უნდა ეცო.



სასამართლო პრაქტიკა

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

სასამართლომ არ უნდა მიიღოს თავის წარმოებაში დავა ხელფასის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ საკითხზე შრომითი დავის განმხილველ კომისიაში არ იყო მიღწეული შეთანხმება და შემდეგ ადგილკომში არ გამოიტანა დადგენილება დავის გამო არსებობდა.

ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა ნ. თ. ონუფრიდის სარჩელი ტრესტ „საქკოლშენის“ ახალციხის საამშენებლო უბანთან ხელფასის შესახებ და მოპასუხეს დააკისრა 1350 მანეთის გადახდა მოსაძღვრის სასარგებლოდ. როგორც საქმიდან ჩანს, მოპასუხე „საქკოლშენის“ ახალციხის სამშენებლო უბანთან არსებულ შრომათი დავის განმხილველ კომისიაში ონუფრიდის დავის ირგვლივ არ ყოფილა მიღწეული შეთანხმება, ხოლო შემდეგ ეს საკითხი არ იყო გადაწყვეტილი არსებობდა ადგილკომშიც.

„შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ გამოცემულ დებულების“ 30 მუხლი ითვალისწინებს, რომ ისეთი შრომის დავის განხილვისას, როდესაც შრომითი დავის განმხილველ კომისიაში არ იყო შეთანხმება მიღწეული, ადგილკომი მოვალეა გაეცნოს საკითხის მოკლ მასალებს, მოისმინოს მხარეთა განმარტება და გამოიტანოს დადგენილება დავის გამო არსებობდა.

ენიდან შრომის დავის განხილვისას ეს წესი დარღვეული იყო, სასამართლოს არ უნდა მიეღო საქმე თავის წარმოებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 17 აპრილის დადგენილებით გააუქმა ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს დადგენილება და საქმე წარმოებით მოსპო, როგორც სასამართლოს არა ქვემდებარე.

საკითხი იმის შესახებ თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, მშობელთა განქორწინების შემთხვევაში, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ მხოლოდ შვილის ინტერესების მიხედვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1959 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული იქნა ვ. პ. ა-შვილის სარჩელი ე. დ. ა-შვილის მიმართ განქორწინების შესახებ. იმავე გადაწყვეტილებით ბავშვი აღსაზრდელად დატოვებული იქნა მამასთან.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით დააკმაყოფილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი, გააუქმა გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა ბავშვის მამასთან აღსაზრდელად დატოვებას იმ მოტივით, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლომ არ გაურყვევა ვისთან არის უკეთესი პირობები ბავშვის აღზრდისათვის და რომ ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილი იყოს მხოლოდ შვილის ინტერესების მიხედვით.

არასრულწლოვანი პირის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მისი მშობლების საცხოვრებელი ადგილი

მართა ივანეს ასულ მარგიშვილ-ყარმაზანაშვილმა, რომელიც ცხოვრობდა პირად მესაყუთრის ა. მჭედლიშვილის სახლში, 1956 წლის თებერვლის თვეში მიიღო იზოლირებული ბინა ახლად აგებულ სახლში ოთხი სულისათვის. რომელშიც გადავიდა საცხოვრებლად. ძველ ბინაში დატოვა თავისი ქალიშვილი ნანი დანიელის ასული ყარმაზანაშვილი.

ქ. თბილისის კიროვის სახ. რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით უარი უთხრა სახლის მფლობელს მჭედლიშვილს სარჩელში ნანი ყარმაზანაშვილის გამოსახლებაზე იმ მოტივით, რომ მას თანხმობა ახალ ბინაში გადასვლაზე არ მიუცია და ეალღებულა არ არის გადაადგენ ახალ ბინაში თავის მშობლებთან ერთად.

გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1959 წლის 30 ივლისის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი, გააუქმა, როგორც სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე კოლეგიის დადგენილება და საქმე დაუბრუნა სახალხო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის იმ მოტივით, რომ ორდერი ახლად აშენებულ ბინაში მიცემული იყო ოთხ სულზე, მათ შორის ნანი ყარმაზანაშვილზე, რომ ამ ბინა მიღების დროსათვის ეს იყო არასრული წლოვანი და მის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მისი მშობლების საცხოვრებელი ადგილი.

სახლის სასაქონლო წესით დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მხოლოდ საერთო სასარჩელო წესით დანტერესებულ მხარის მოთხოვნით ან პროკურორის შუამდგომლობით.

სასამართლოს აღმასრულებელმა სისრულეში მოიყვანა სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილება, რომლითაც დამაყოფილებელი იყო რ. ი. კინჭურაშვილის სარჩელი ე. გ. სარქისოვას მიმართ 13.971 მანეთის გადახდევინების შესახებ და 1954 წლის 23 აპრილს მოხდენილ საჯარო ვაჭრობით კინჭურაშვილს გაუფორმა სარქისოვას კუთვნილ სახლის ნახევარი.

1958 წლის 21 აპრილს რ. ი. კინჭურაშვილმა სახლის ეს ნახევარი სასაქონლო წესით დამოწმებულ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით მიყიდა ნ. გ. ესოვანს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დამაყოფილა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის კერძო პროტესტი სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედებაზე და ბათილად ცნო, როგორც სახალხო სასამართლოს მიერ დამტკიცებული საჯარო ვაჭრობა ისე კინჭურაშვილისა და ესოვანს შორის დადებული სახლის ნახევრის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 11 იანვრის დადგენილებით დააკმაყოფილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტი, გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1959 წლის 4 მარტის დადგენილება და მიუთითა, რომ სასაქონლო წესით დამოწმებული ხელშეკრულება სახლის ნახევრის ნაყიდობის შესახებ შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი მხოლოდ საერთო სასარჩელო წესით დანტერესებულ მხარის მოთხოვნის ან პროკურორის მიერ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. მეორე მუხლის შესაბამისად აღძრულ შუამდგომლობის საფუძველზე.

ამვე დადგენილებაში პრეზიდიუმმა მიუთითა, რომ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 317 მუხლის თანახმად პროტესტი სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედებაზე შეტანილი უნდა ყოფილიყო ან სახალხო სასამართლოში, სადაც სწარმოებდა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა და არა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ ინსტანციაში.

პრეზიდიუმმა საქმე გადასცა ქ. თბილისის 26 კომისიის აბ. რაიონის სახალხო სასამართლოს საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის კერძო პროტესტის განაზიარებლად.

სისხლის სამართლის საქმეებზე

საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება არ შეიძლება გადავიდეს დაზარალებულის მემკვიდრეზე თუ ეს საჩივარი არ ეხება განაჩენის სამოქალაქო ნაწილს.

ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ნ. გ. ნაბიევი მსჯავრდადებული იქნა სსკ 148 მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ 48 მუხლის გამოყენებით შეეფარდა 1 წლის შრომაგასწორებელი მუშაობა. სასჯელის სამუშაო აღვრცელდა მოხდით. გამომუშავეებიდან 20 პროცენტს დაქვეითით.

ნაბიევს მსჯავრი დაედო მასში, რომ მუშაობდა რა ის ბოლნისის რაიონის, სოფელ კოლაგორის „სოციალიზმის“ სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტად, მისი გაუფრთხილებლობას შედეგად ტრაქტორიდან გადმოვიარდა ტრაქტორის გადამმშველ გუსეინოვი, რომელსაც გადაუარა სახისმა და იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

დაზარალებულის დედამ გ. ა. ვესუნოვამ აღნიშნულ განაჩენზე წარადგინა სასამართლოში საკასაციო საჩივარი, რომლითაც ის მოითხოვდა განაჩენის გაუქმებას და საქმის დამატებით გამოძიებაზე გადაცემას ნაბიევს სსკ 144 მუხლით პასუხისმგებლობაში შეკვების მიზნით. სახალხო სასამართლომ მიიღო საკასაციო საჩივარი და საქმე წარმოართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში.

უმაღლესი სასამართლო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით საკასაციო საჩივრის შემოტანა აღნიშნული მოტივით სცნო უსწოროდ და ის დატოვა განუზღვევლად, შემდეგი საფუძველების გამო:

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძველის 24 მუხლის მიხედვით დაზარალებულად ჩაითვლება ის, ვინც პირადად და უშუალოდ დაზარალდა დამნაშავესაგან.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მისი პროცესუალური უფლებები არ გა-



დადის მემკვიდრეობით ოჯახის წევრებს. ეს უკანასკნელი, უკეთეს ისინი იმყოფებოდნენ დახარალებულის კმაყოფილებაზე. დამოუკიდებელ უფლებას იქონებდნენ სამოქალაქო სარჩელზე და შეუძლიათ დააყენონ საკითხი მიყენებული ვნებან ანაზღაურებაზე.

სასჯელის ღონისძიების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არამარტო დანაშაულის სიმძიმე, არამედ დამნაშავეს პიროვნება.

ქ. თბილისის სტალინის სახელობის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 13 იანვრის განჩინებით ბ. ნ. პეტროსიანს სსკ 142 მუხლით მიესაჯა სსკ 48 მუხლის გათვალისწინებით სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

პეტროსიანს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1959 წლის 29 ნოემბერს შეიძინა 60 კგ. კარტოფილი და ჰყიდდა სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარზე სპეკულანტურ ფასებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასხლას სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა რა პეტროსიანის საკასაციო საჩივარი, რომელიც ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას, სცნო მისი მოთხოვნა საფუძვლიანად შემდეგ გარემოებათა გამო:

პეტროსიანი წინათ სამართალში არ ყოფილა, არის სამამულო ომის მეორე გვარდების ინვალიდი, კმაყოფილებაზე ჰყავს 5 შვილი, აქედან სამი მცირეწლოვანი.

შემოადინებულას გამო, პეტროსიანს მიხაჯილი 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შესაბამისად სსკ 50 მუხლისა ჩათვალა პირობათად და გამოსაჯდეს ვადათ დაუნიშნა 2 წელი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

ანონსები

СОВЕТСКОЕ
ГОСУДАРСТВО
И ПРАВО

ქურნალი იხსნება მოწინავე წერით „საბჭოთა სამართლის განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ეტაპზე“. დაბეჭდილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პ. ჩიმაშინის სტატია — „ტექნიკური პროგრესი და საბჭოთა სამართალი“; ნ. ბერდიჩევსკის წერილი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებანი“, აგრეთვე ა. დავიდივიჩის და ნ. ალექსანდროვის სტატია — „საბჭოების ყრილობების დოკუმენტები — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერული განვითარებისა და შესწავლის მნიშვნელოვანი წყაროებია“, „კომუნისმის გავლილი მშენებლობა და საბჭოთა შრომის სამართლის განვითარება“.

ქურნალში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პრობლემის განხილვის. გამოქვეყნებულია ა. ბოჩკოვის (მინსკი), ი. მაშიოვის (ლენინგრადი), კ. ურგენშაევის (ალმა-ატა), უუსტალის (ტარტუ), ი. ზოონეს (რიგა), ი. მამედოვის (ბაქო) წინადადებანი, რომელშიც დაყენებულია შრომის კანონმდებლობის ცალკეული ნორმების დახუტებისა და „საფუძვლების“ სრულყოფის საკითხები. ქურნალს აქვს აგრეთვე განყოფილება „საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის გაძლიერების შესახებ კანონის განხილვა“.

ქურნალში არის მეცნიერული ცხოვრების ქრონიკა, რეკენზიები და ანოტიციები ახალ იურიდიულ წიგნებზე.



გამოვიდა ქურნალის 1960 წლის იანვრისა და თებერვლის ნომრები. № 1 და № 2. ქურნალებში გამოქვეყნებულია მოწინავე წერილები — „ვიმუშაოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად“, „შვეიცარული და განვითარებით დადებითი გამოცდილება“. მის ფურცლებზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი საზოგადოებრიობის როლის გაძლი-

ერების საკითხს სოციალისტური მართლწესრიგის დაცვისა და განმტკიცების საქმეში. პირველ ნომერში ამ თემაზე გამოქვეყნებულია ქ. სვერდლოვსკის ვერხ-ისეტსკის რაიონის სახალხო რაზმეულების რაიონული შტაბის მუშაობის გამოცდილება. ამავე საკითხისადმი მიძღვნილი პერმის სოლოქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მ. პონდელეკოვის სტატია — „მართლმსაჯულებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პრაქტიკული საკითხები“ და მილიციის მაიორის მ. გეორგიევსკის წერილი „სახალხო რაზმეულებს ქმედითი დახმარება“, (№ 2).

თეორიული სტატიები მიძღვნილია აქტუალური პრობლემებისადმი. ეკრძოდ, პირველ ნომერში დაბეჭდილია ნ. არუსაევის წერილი — „ყოველმხრივ დაეცვათ სოციალისტური საკუთრება“, გ. ზორინსკი, ი. კარაპეცის სტატია „დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებანი“. ქურნალის ორივე ნომერში არის განყოფილებები მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში, წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის, საზოგადოებრიობა და სასამართლო, ბურჟუაზიული იუსტიციის საწყაროში.

საინტერესოა რედაქციის ინტერვიუ, რომლითაც მკითხველი იგებს, თუ რა საინტერესო იურიდიული წიგნები გამოიცემა 1960 წელს, საბჭოთა იურისტების მუშაობისადმი მიძღვნილი რომელი ფილმები გამოვი მიმდინარე წელს და სხე.

СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ ЗАКОННОСТЬ

ქურნალის პირველი ნომრის მოწინავე — ბეჭდვითი სიტყვა კომუნისმის მშენებელთა ტრიბუნა — მიძღვნილია საბჭოთა ქურნალისტების პირველი ყრილობის შედეგებისადმი. ს. შოროდინის და ნ. ნიკიფოროვის სტატიებში განხილულია კანონპროექტი — „საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისა და სოციალისტური საერთო წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში“. ქურნალი აქვეყნებს დ. შვეიცარიის წინადადებას სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტზე. ამავე საკითხისადმი მიძღვნილი მეორე



ნომერში დაბეჭდილია ნ. სვერდლინის, დ. ბუკოვსკის, ი. ბროდსკის, ნ. ლევენციგლერის წერილები საერთო სათაურით: „მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“.

მეორე ნომრის მეთაური წერილი შეეხება მეტად მნიშვნელოვან საკითხს — „დანაშაულობათა თავიდან აცილება — მთავარია დამანაშავეობასთან ბრძოლაში“.

სამართლის თეორიისა და საპროკურორო ზედამხედველობის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი შემდეგი მასალები: გ. ტორიპოვი — „კუთხურობის წინააღმდეგ ბრძოლა — კანონიერების შემდგომი განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობა“; ვ. პოზოლკოვი — „საბჭოთა კანონების პრობაგანდის ახალი ფორმები“; პ. ივანოვი — „რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სეროიზული ნაკლოვანებანი სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას“ (№ 1). ა. ნაბატოვი — „მტიყეთ დავიცვათ მოქალაქეთა უფლებები“; ი. სევერინი — „სასამართლოთა შეცდომები ავტორტრანსპორტის მოძრაობის წესების დარღვევის საქმეთა განხილვისას (№ 2) და სხვ.

ჟურნალს აქვს განყოფილებები „მკითხველთა ტრიბუნა“, „დანაშაულობათა კვლადაკვალ“, „სასამართლო პრაქტიკა“, „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“. ორივე ნომერში დაბეჭდილია ფელეტონები და ნარკვევები.



„ბიულეტენის“ 1955 წლის № 1 აქვეყნებს საკავშირის უმაღლესი სამართლოს მორიგი პლენუმის ანგარიშს, რომელიც იმართა 1959 წლის 15-

დეკემბერს და განიხილა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი — „დამანაშავეობასთან ბრძოლასაზოგადოებრიობის როლის ამაღლებისა და სამართლო ორგანოების ამოცანების შესახებ“. ანგარიშთან ერთად დაბეჭდილია ამის თაობაზე პლენუმის მიერ მიღებული დადგენილება.

ცალკეულ საკითხებზე პლენუმის დადგენილებების გარდა „ბიულეტენში“ გამოქვეყნებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და სისხლის სამართლის კოლეგიის გადაწყვეტილებანი.

უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ფ. გლუხის, ლატვიის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ნ. აზანის, ყაზახეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის კ. სულიმანოვის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის ვ. პანაუგინის, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ლ. გრომოვის წერილებში, რომლებიც ამ ნომერშია დაბეჭდილი, წამოყენებულია წინადადებანი შრომის კანონმდებლობის „საფუძვლებს“ პროექტის განხილვასთან დაკავშირებით.

„ბიულეტენი“ აქვეყნებს აგრეთვე, მოკვარე რესუბლუციების უმაღლესი სასამართლობის პრაქტიკას.



ახალი კანონპროექტის განხილვა

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტში ყურნალ „სოვეტ-
სოე გოსუდარსტვო ი პრაოვ“-ს რედაქციამ და
იურიდიულმა ფაკულტეტმა მოაწყო „სსრ კავ-
შირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის
კანონმდებლობის საფუძვლების“ პროექტის
განხილვა.

მომხსენებით „საფუძვლების“ პროექტის შე-
სახებ გამოვიდა დოც. ე. ნეიძე, რომელმაც გა-
მჟეა საბჭოთა კანონმდებლობის განვითარების
უზთაგრესი ეტაპები, ვრცლად ილაპარაკა იმ
როლზე, რაც სკვპ XX და XXI ყრალიობების
ვაფაწვეტილებებმა შეასრულეს კომუნისტური
საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიო-
დის საბჭოთა სამართლისა და კერძოდ შრომის
კანონმდებლობის შემდგომ განვითარებაში.

მომხსენებელმა მთლიანად მაღალი შეფასება
მისცა რა ახალ კანონპროექტს, ამასთან ერთად
გამოთქვა მთელი რიგი შენიშვნები „საფუძე-
ლების“ პროექტის ირგვლივ. მან არასწორად
ბიზნაა, რომ „საფუძვლები“ იფარგლება მხო-
ლოდ მუშებისა და მოსამსახურეების შრომის
ს რეგულირებით და ყურადღების

გარეშე ტოვებს მშრომელთა სხვა კატეგორიებს.
სოლმეტურნეები, ყველა სახის კოოპერაციის
წევრები და სხვა). ისეთ საერთო საკავშირო
აქტში, როგორცაა „საფუძვლები“. აუცალკეუ-
ლი ასახვა ჰპოვონ ყველა ერთგვაროვანმა უფ-
ლებრივმა ურთიერთობებმა — შრომითმა უფ-
ლებრივმა ურთიერთობებმა.

მომხსენებლის აზრით დაზუსტებამ მოითხოვს
პროექტში მოცემული შრომითი ხელშეკრულე-
ბის განსაზღვრა. საჭიროა მასში მოხსენებულ
იწეს ამ სახის ხელშეკრულებებისათვის დამა-
სახითებული მომენტი — მუშის ჩარიცხვა სა-
წარმოს კოლექტივში.

„საფუძვლების“ ჩამოთვლილ ხელშეკრულე-
ბის მხარეებში უნდა მოხსენებულ იქნეს აგრეთ-
ვე საწარმოო კოოპერაცია, ავტომატანების ინ-
დივიდუალური მფლობელები და სხვა. მომხსე-
ნებელმა აღნიშნა, რომ კანონპროექტში არაფე-
რა ნათქვამი შრომითი სტაეის განსაზღვრის,
შრომითი დაეების რეგულირების წესის, არა-
სამართლო ორგანოებში განცხადების შეტა-
ნის ხანდაზმულობის შესახებ და ამასთან და-
კავშირებით გამოთქვა აზრი სია № 1-ში ჩა-
ბოთვილი თანამდებობათა წრის მინიმუმამდე
დაყვანის შესახებ.

ინტერესით იქნა მოსმენილი საქართველოს
სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის
მოადგილის თ. ცაგურას გამოსვლა, რომელ-
მაც აღნიშნა ის დიდი მუშაობა, რაც რესპუბლი-
კაში ჩატარდა შრომითი კანონმდებლობის კო-
დიფიკაციის დარგში. „საფუძვლების“ პროექტის
შესახებ მან გააცთა მთელი რიგი საყურადღე-
ბო შენიშვნები, რომლებიც უმთავრესად ეხება
წარმოებაში მუშებისა და მოსამსახურეების მი-
ღებისა და დათხოვნის წესს. ხელშეკრულების
დადლებისა და ქალთა შრომის პირობებს.
თ. ცაგურა დაწვრილებით უმცირდა „საფუძე-
ლების“ 33-ე მუხლზე. გამოთქვა მოსაზრება
შრომის ანაზღაურების იმ წესის წინააღმდეგ,
რომელიც „საფუძვლებში“ გათვალისწინებუ-
ლია ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც მუ-
შა მოსგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო
ვერ ასრულებს გამოშეშეების ნორმებს. უმრავ-
ლესობის აზრით ასეთ შემთხვევაში მუშას უნდა
მიეცეს სატარიფო ვანაყვივის არა ორი მესა-
მედი, არამედ მთელი ვანაყვივი.

პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს
იურიდიული ბიუროს უფროსმა კონსულტანტმა
ზ. ნარიშკინმა მხარი დაუჭირა შრომის კანონ-
მდებლობის დარგში ნორმაშემოქმედებითი საქ-
მიანობის შემდგომ დეცენტრალიზაციას.

ორატორმა აღნიშნა, რომ აუცილებელია გაძ-
ლავრდეს ბრძოლა მუშებისა და მოსამსახურე-
ების გაუმართლებელ, არაკანონიერ გადაყვანის
წინააღმდეგ მუდმივ ან დროებით სამუშაოზე
ე. წ. „საწარმოო აუცილებლობის გამო“. ამის
აღმოსაფხვრელად, მისი აზრით საჭიროა დამ-
ყარებულ იქნას გადაყვანის ისეთივე წესი, რო-
გორცაა მიღებული სამუშაოდან დათხოვნის
დროს. მანვე დაყენა საკითხი იმის შესახებ,
რომ „საფუძვლებში“ გამოყოფილ იქნას დამოუ-
კიდებელი — „წახალისება და ჯილდოები“.

ადგოკატ ა. ხაქოლავას აზრით „საფუძვლებ-
ში“ უფრო ზუსტად უნდა იქნას გამიჯნული სა-
ერთო-საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკე-
ბის უფლებამოსილება შრომის კანონმდებლო-
ბის დარგში, მასში უფრო სრული ასახვა ჰპო-
ვოს პროფესიულ ორგანიზაციათა უფლებებმა
მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ინტე-
რესების დაცვის საქმეში.

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფი-
ლების პროკურორი გ. ცირამუა შეეხო „სა-
ფუძვლების“ მე-12 მუხლს, — როგორც ქ. რუს-



საქართველოს
კომუნისტური
პარტია

თავში ამასწინათ ჩატარებულმა შემოწმებამ აჩვენა, — აღნიშნა მან, — ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი სწორად თვითნებურად, პროფესიული ორგანიზაციების დაუკითხავად ითხოვს მუშებსა და მოსამსახურეებს სამუშაოდან. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია განისაზღვროს, უნდა განიხილონ თუ არა სასამართლოებმა საჩივრები ამდაგვარი დათხოვნის შესახებ არსებითად, თუ დათხოვნილი პირი აღადგინონ სამუშაოზე სასამართლოს მიერ საქმის განხილვის გარეშე? — ამხ. გ. ცირამუა იზიარებს უკანასკნელ აზრს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიული ჯგუფის უფროსი ა. წერეთელი შეჩერდა იმ ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების საკითხზე, რომლებიც ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებლებს. მან წინადადება წამოაყენა, რათა „საფუძვლების“ მე-5 მუხლში „სპეციალურად აღინიშნოს მათი ვალდებულება იმუშაონ განაწილების ადგილზე 3 წლის განმავლობაში. მას საჭიროდ მიაჩნია შემოღებულ იქნეს წესი, რომლის ძალითაც არასწორად დათხოვნილი პირების აღდგენისას, ის პირი, რომელიც დათხოვნის ადგილზე მუშაობდა, გათავისუფლდეს სამუშაოდან.

ორატორები შეეხენ აგრეთვე მთელ რიგ სხვა საკითხებს. შემოტანილ იქნა წინადადება „საფუძვლების“ 52-ე მუხლით, გათვალისწინებული დამატებითი შესვენება გავრცელდეს შეილაღ აყვანზედაც, რომლის ბავშვსაც არ შესრულება ერთი წელი. გამოითქვა აზრი, რათა დაწესდეს „სამუშაო ხელფასის“ ერთიანი განსაზღვრა, დაკონკრეტდეს ცნება „შრომის მძიმე პირობებისა“, დაწესდეს წრე იმ თანამდებობათა, რომლებიც მიეკუთვნება „გარკვეულ თანამდებობათა“ კატეგორიას. შემოღებულ იქნეს

ცნება „არანორმირებულ მომსახურებაზე“ შეცვლილ იქნეს ტერმინი „პენსია მოხუცებულობის გამო“ ტერმინით „პენსია ასაკის გამო“ და სხვ.

პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წარმომადგენელმა ა. ზედგენიძემ თხოვა თათბირის მონაწილეებს აქტიურად ჩაებან „სსრ კავშირთა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების“ პროექტის განხილვაში საწარმოებსა და დაწესებულებებში. ა. ზედგენიძემ გამოთქვა აზრი, რათა „საფუძვლებში“ შეტანილ იქნას მოქმედი კოდექსის 49-ე მუხლი, რითაც საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციას მიენიჭება უფლება, საჭირო შემთხვევებში (მაგ. სალაროში დიდი დაწილის აღმოჩენის დროს და სხვ.) დროებით გადააყენოს მუშაკი მისი მოვალეობის შესრულებისაგან და თუ მუშაკი გამართლდა, აქვს უფლება აღნაზღაურდეს მას განაცდენი დრომაც, აგრეთვე მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მუშაკს, რომელსაც ადმინისტრაციამ აცნობა რომ მას მოელის სამუშაოდან დათხოვნა, მიეცეს საჭირო დრო ახალი სამუშაოს მოძებნისათვის სამუშაო დღის ერთგვარი შემცირების ან გარიშხვით.

თათბირის მუშაობა შეაჯამა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგემ დოც. ს. ჯორბენაძემ.

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებში“ პროექტის განხილვამ დადი ინტერესი გამოიწვია უნივერსიტეტის მეცნიერ და იურიდიულ დარგის პრაქტიკოს მუშაკთა შორის.

ა. ბ.

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მკითხველთა კონსულტაციები

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციამ ქ. ქ. ქუთაისში და რუსთავეში მოაწყო მკითხველთა საქალაქო კონფერენციები.

ქ. ქუთაისში მკითხველთა კონფერენციას ეაწარმოებდნენ სასამართლო — პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაკები, ადვოკატები, ქალაქის წესრიგ საწარმოთა იურისტ-კონსულტები და სხვ.

მოხსენებით ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის მუშაობისა და ამოცანების შესახებ გამოვიდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ლეკვიშვილი.

—საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, — ანბობს მომხსენებელი, — მესამე წელია, განხილდა იურიდიული ჟურნალის „საბჭოთა სამართლის“ გამოცემა. ჟურნალი აშუქებს ახალ კანონმდებლობის საკითხებს, დახმარებას უწევს საბჭოთა და იურიდიული დარგის მუშაკებს კონსულტაციებით, თეორიული სტატიებითა და პრაქტიკული ხასიათის მასალების გამოქვეყნებით. ახდენს საგამომცემლო და სასამართლო ორგანოების მუშაობის დადებითი გამოცდის



სს განზოგადება და აკრიტიკებს ამ ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებებს.

აწ. მ. ლუკვიშვილი შეეხო ეურნალის სარედაქციო კოლეგიის მიერ ჩატარებულ მუშაობას. ვრცლად შეჩერდა იმ ნაკლოვანებებზე, რაც ჯერ კიდევ იგრანობა ეურნალის მუშაობაში. ჯერ კიდევ სათანადოდ არ შექმდება რესპუბლიკის რაიონების სასამართლო ორგანოების მუშაობა, მცირე რაოდენობით იბეჭდება მასალები პერიოდულიდან, სუსტად წარმოებს ავტორებთან მუშაობა.

მოსხენების ირგვლივ გაიმართა კამათი. სიტყვიერ პირველი გამოვიდა ქალაქის პროკურორი ალ. ედენტო. იგი შეეხო ეურნალს უკანასკნელ ნომრებში მოთავსებულ ზოგიერთ მასალას, რომლებიც საინტერესოა თემატურად და შინაარსობრივად. მან გამოთქვა სურვილი, რომ ეურნალმა თავის ფურცლებზე უფრო მეტი ადგილი დაეთმო პრაქტიკულ ზანიათის მასალებს.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის იურიდიული ჯგუფის უფროსმა გ. ონიანმა სთქვა, რომ „საბჭოთა სამართალი“ საფრანგო დახმარებას უწყებს მათ პრაქტიკულ მუშაობაში, მაგრამ ეურნალში საწარმოთა ურთიკონსულტების მუშაობის დადებითი გამოცდილება ჯერ კიდევ არასაკმარისად შექმდება. მან აღაპარაკა აგრეთვე აშხანაგური სასამართლოების მუშაობის პრაქტიკაზე საავტომობილო ქარხანაში.

გამომიკვებლმა ს. ყიფიანმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ ეურნალი სასტიმატურად მოათავსებს მასალებს. სადაც გამთქმებული იქნებოდა იურიდიული დარგის მოწინავე მუშაკთა გამოცდილება. მანვე წამოაყენა წინადადება, გამოცდილების განზოგადების მიზნით ეურნალში შემოღებულ იქნეს განყოფილება „გასოცდლების ტრიბუნა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ელ. ფარქოსაძე ვრცლად შეჩერდა ეურნალის მუშაობაზე და მის წინაშე ადგამ ამოკანებზე. მან საჭიროდ მიიჩნია, რომ ეურნალმა თავის ფურცლებზე მეტი ადგილი დაეთმო სასამართლის პროპაგანდის საკითხებს.

გაზეთ „სტალინელის“ რედაქტორი გ. მეფისაშვილი შეეხო ეურნალის ენისა და სტილის. მან მკანსმეწონილად ჩათვალა. ეურნალის ფურცლებზე ფართოდ შექმდებოდა სამოქალაქო სამართლის საკითხები. ორატორმა წამოაყენა წინადადება, რომ ეურნალმა თავის ფურცლებზე მოათავსოს ისეთი მასალები, სადაც გა-

შუქებული იქნება განაწენებისა და გადაწყვეტილებების ენისა და წერის კულტურის საკითხი.

სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ კ. იობაძემ ილაპარაკა, თუ როგორ შექმდება ეურნალში სახალხო სასამართლოების მუშაობა. თუ რა დიდი დახმარება შეუძლია გაუწიოს ეურნალმა აშხანაგური სასამართლოებსა და სახალხო რაზმეულებს მუშაობაში და საქმიანობის გაუმჯობესებაში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ადვოკატებმა ალ. ყორყოლაშვილმა, ა. მეგრელიშვილმა და მ. ხერხაძემ.

ქალაქ რუსთავეში ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ მკითხველთა საქალაქო კონფერენციაზე თავი მოიყარეს რუსთავეში მომუშავე იურიდიული დარგის მუშაკებმა, სახალხო მსაჯულებმა, ეურნალის მკითხველებმა.

სიტყვიერ გამოვიდა რუსთავეის პროკურორი მ. გიორგობიანი. — პირველ ხანებში, — სთქვა მან, — ეურნალის მუშაობაში შეინიშნებოდა საგრძნობი ნაკლოვანებანი. უკანასკნელ ხანებში კი რედაქციამ გამოასწოროა მუშაობა და უფრო მეტი მკითხველი მიიზიდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქმის ყველაფერი როგორც იყო. ეურნალი ჯერ კიდევ არ აქვეყნებს მასალებს იურიდიული დარგის მოწინავე მუშაკებზე. სახალხო მსაჯულებზე, ამავე დროს მის ფურცლებზე უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმოთ მხატვრულად სრულყოფილ ლიტერატურულ ნარკვევებს.

სასამართლოს მდივანი მ. ფეიქროშვილის აზრით, ეურნალის ფურცლებზე უფრო მეტი რაოდენობით უნდა იბეჭდებოდა მასალები. შრამითი დავის საკითხებზე, აღმინტის ურჩ გადამხდლებზე. ბავშვთა სწორად აღზრდის შესახებ ოჯახში და სხვ.

ადვოკატმა კ. მამიაშვილმა სერიოზულ ნაკლად მიიჩნია, რომ ეურნალი არ ათავსებს ფელეტონებს, ნაკლები რაოდენობით ბეჭდება კრიტიკულ მასალებს.

რუსთავეის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ა. წაქარიძემ აღნიშნა, რომ კარგი საქმე გააკეთა ეურნალმა, როდესაც გასული წლის მეხუთე ნომერში მოათავსა ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის მასალები. მან სთქვა, რომ კარგი იქნება თუ ეურნალში მოათავსდებ მასალები აშხანაგური სასამართლოებს თავმჯდომარეთა დასახმარებლად.

სიტყვიერ გამოვიდნენ აგრეთვე ადვოკატები მ. დატუტოვა, სახალხო მსაჯულები ა. დალაქიშვილი და მ. გოგოლაძე.

ბურთყაზი და ქვეყნში

იყირება... კიაპერი

ნიუ-იორკში არსებობს „საპლანეტთაშორისო საზოგადოება“, რომელიც მარჯვედ ვაქრობს ნაკვეთებით... მთვარეზე. ამ საზოგადოებაში ორ დოლარად შეიძლება იყიდო მთვარის ზედაპირის მთელი ჰექტარი. საქმე იქამდე მივიდა, რომ მაკლერებმა მიყიდეს ორ სხვადასხვა პირს... ერთი და იგივე ნაკვეთი მთვარისა კომპერნიკის კრატერის რაიონში. სპეკულანტ-მთვარეულები სასამართლოს წინაშე წარსდგნენ.

აი, ვინ უნდა შეარცხვინონ სამართლის მცოდნეებმა!

„საერთაშორისო სამართალი, რომელიც დედამიწაზე გამოყენებული, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მექანიკურად გადატანილ იქნას კოსმოსზე. ახალი ტერიტორიების შემოერთება იქ, „ზემოთ“ უნდა ცნოს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ. სანამ ეს არ მოხდება, მთვარე არ წაითვლება რუსების სახელმწიფო ტერიტორიად, იგი არის ყველასი და ამავე დროს არავისი, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ მასზე ჯერ არ უყოფლა არც ერთი ადამიანი“.

ეს სტრიქონები ამოღებულია დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ფრანკფურტერ აბენდპოსტოდან“. ისინი

დაიბეჭდა უკვე მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა ოფიციალურად განაცხადა, რომ პრეტენზია არა აქვს მთვარის ტერიტორიის მიმართ.

მიუხედავად ამისა, ბურთყაზიული სამართლის მცოდნენი, როგორც ვხედავთ, გულს არ იტყვენ. უმჯობესი კი იყო მათ თავიანთი ყურადღება სხვა მიმართულებით მიეპყროთ. ამერიკული წესით, მაგალითად, საკმარისია უბრალო წერილობითი განცხადება, რომ მისსაკუთრო ოლქი, რომელიც არავის არ ეკუთვნის. სრულიადაც არაა საჭირო მიაღწიო ტერიტორიას რომელსაც მოითხოვ. ისარგებლა რა ამით აშშ სენატის სამხედრო კომიტეტმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ერთხმად განაცხადა, რომ მთვარე... იმყოფება ამერიკის „სუვერენიტეტ“ ქვეშ.

სასამართლო გაჩივანი დასავლეთ გერმანიაში

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გრძელდება სასამართლო ტერიტორიის გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრებისა და პროგრესულად განწყობილი მოღვაწეების წინააღმდეგ. როგორც აღნის სააგენტო იუწყება, დიუსელდორფის საადგილმამულო სასამართლომ ელა ვახლოდერს მიუსაჯა 10

თვის პატიმრობა, ხოლო ფრანციხე გერსკეს 7 თვის პატიმრობა. ორივე ქალს ბრალად წაუყენეს გერმანიის კომუნისტური პარტიის არალეგალური ჯგუფის შექმნა და კომუნისტური ლიტერატურის გავრცელება.

დორტმუნტდის სასამართლომ სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ხუთ წევრს იმისათვის, რომ ისინი მხარს უჭერდნენ გერმანიის კომუნისტურ პარტიას მის აკრძალვამდე.

ესაუბროსაქალი

სტამბოლის ცენტრში ერთერთ ბულვარში შეიძლება იხილოთ არაჩვეულებრივი სურათი: გადაშლილი ხის ტოტებში ცხოვრობს კადრი კენდირილის ოჯახი.

როგორც გამოიკვია, კენდირილი უმუშევარი დარჩა და მალე ქუჩაში გამოაგდეს, ვინაიდან ვეღარ შეძლო ბინის ქირის გადახდა. თურქეთის კანონმდებლობაში მრავალგვარი შეზღუდვებია. მიუხედავად ამისა, ფიქრად არავის მოსდის შეიტანონ მასში მუხლი, რომელიც აკრძალავდა ხეებზე ცხოვრობას. ეს რომ გაიგო, კენდირილი ბულვარში გადასახლდა... და აი უკვე დაახლოებით ორი წელია, რაც მის ოჯახს ასეთი არაჩვეულებრივი ბინა უკავია.

ქობიკა

თბილისის სტალინის სახე-
ლობის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის სისხლის სამართლის,
სამიქალაქო სამართლისა და
სახელმწიფო სამართლის კა-
თედრებში გასული წლის დე-
კემბერსა და მიმდინარე წლის
ანუარში საქართველოს სსრ
უმაღლეს სასამართლოსა და
რესპუბლიკის პროკურატურა-
ში მოაწყეს საჯარო სხდომები,
რომელიც მიეძღვნა თეორიისა
და პრაქტიკის განმტკიცებისა
და ურთიერთდაუმოწიროს საკით-
ხებს. სხდომაზე პროფესორ-
ბასწავლებელთა, პრაქტიკის
ხელმძღვანელთა და სტუდენტ-
თა აქტიური მონაწილეობით
განხილული იქნა მთელი რიგი
კათედრის ღია სხდომებმა
დამსწრეთა დიდი ინტერესი
გამოიწვია.

* * *

იანვრის ბოლო რიცხვებში
სასამართლოსა და პროკურა-
ტურის ორგანოებში თავიანთი
საწარმოო პრაქტიკა დაამთავ-
რეს თბილისის სტალინის სა-
ხელობის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის იურიდიული ფაკულ-
ტეტის IV და V კურსის

სტუდენტებმა. მიმდინარე
წელს პრაქტიკა მაღალ დონეზე
მოეწყო. სულ საწარმოო პრა-
ქტიკა გაიარა 70-დე სტუდენტ-
ტმა.

* * *

ამ დღეებში გაიმართა სა-
ქართველოს სსრ პოლიტიკური
და მეცნიერული ცოდნის გა-
მავრცელებელი საზოგადოების
გამგეობასთან არსებული სახე-
ლმწიფოსა და სამართლის სექ-
ციის წევრთა საერთო კრება.
რომელმაც განიხილა იურიდი-
ულ თემებზე ზეპირი და ბეჭ-
დვითი პროპაგანდის მიმდინარე-
ობის საკითხი.

გასულ წელს საზოგადოე-
ბის წევრთა ძალეებით რესპუბ-
ლიკაში იურიდიულ თემებზე
წაყითხულია 3.621 ლექცია,
გამოცემულ იქნა 3 ბროშურა.
მშრომელთა შორის ფართო
პოპულარობით სარგებ-
ლობდა თემატური და კითხვა-
პასუხის საღმობები საბჭოთა
კანონმდებლობის საკითხებზე.
ამასთან ერთად აღინიშნა, რომ
ლექციური პროპაგანდაში ჯერ
კიდევ სუსტად მონაწილეობენ
სექციის ზოგიერთი წევრები,
ცოტა იკითხება ლექციები სა-


ზოგადოებრივი საკუთრებუ-
ლადის, საბჭოთა კანონიერე-
ბის განმტკიცების, საზოგადო-
ებრივი წესრიგის დაცვის შე-
სახებ.

მუშაობის შემდგომი გაუმ-
ჯობესებისათვის სექციამ და
მისმა ბიურომ (თავმჯდომარე
დოც. გ. ინწკირველი) დასახა
სათანადო ღონისძიებები. გა-
დაწყდა მიმდინარე წელს გა-
მოიცეს ბროშურები დანაშაუ-
ლოზობა წინააღმდეგ ბრძო-
ლის საქმეში საზოგადოებრი-
ობის როლის, არასრულწლო-
ვანთა შორის დანაშაულობათა
აღმოფხვრისა და სოციალის-
ტური კანონიერების განმტკი-
ცების საკითხებზე.

* * *

საქართველოს კბ ამბროლა-
ურის რაიკომმა ამ დღეებში
დაბა ამბროლაურში სოფ. წე-
სსა და სოფ. სადმელში მოაწ-
ყო ზონალური თათბირ-სემი-
ნარები ამხანაგური სასამართ-
ლოების თავმჯდომარეების, მათი
მოადგილეებისა და მდივე-
რებისათვის.


თათბირ-სემინარის მონაწი-
ლეებს ამხანაგურ სასამართ-
ლოების მუშაობის ორგანიზა-
ციულ საკითხებზე და მათ
ამოცანებზე ვრცლად ესაუბ-
რა რაიონის სახალხო მოსა-
მართლე ნ. საბანაძე.




პედერფილდში, ერთი ინგლისელი მუშა სასამართლოში წაიყვანეს იმის გამო, რომ მან მუშაობის დროს მოულოდნელად ყურზე აკოცა თავის თანაშემწე რომელ ქალიშვილს. სასამართლოში მუშა განცვიფრდა, როდესაც განუმარტეს, რომ 1381 წელს ინგლისში გამოცემული კანონის თანახმად, «ბანოვანისათვის კოცნა მის ნებადაურთველად სხეულის რა ნაწილზე არ უნდა ყოფილიყო». აკრძალული იყო, ხოლო განმეორების შემთხვევაში დამნაშავე მსჯავრდადებულ იქნებოდა, როგორც ქვეყნის მშვიდობის დამრღვევი. მუშამ პირობა დასდო, რომ დაუკითხავად არ აკოცებდა თანამშრომელს ყურზე და, განთავისუფლებულ იქნა.

* *

ვენაში, პასუხისგებაში მისცეს მეტუნუქე ფრიდრიხ მორსტერი იმის გამო, რომ იგი ერთდროულად ოთხ ქალთან იმყოფებოდა ქორწინებაში მისმა დამცველმა თავისი მარწმუნებლის დახსნის მიზნით სასამართლოში წარმოადგინა საექიმო დასკვნა, სადაც ექიმი—ფსიქიატრი ამოწმებდა, რომ ფრიდრიხ მორსტერს გულმაგიწყობა სჭირდა.



* *



პორტუგალიის ქალაქ ოპორტოში ერთ დილას დაურიდებლად გამოაღვიძეს მოსამართლე ლეორო სამმა პოლიციელმა ხელზე ბორკილდადებული მოსამართლე პიკამოთი წაიყვანა. შუადღისას გამოირკვა, რომ ეს დატუსაღება შეცდომას წარმოადგენდა: მოსამართლეს დამნაშავეს დაპატიმრების ბრძანებაში შეცდომით თავისი საკუთარი გვარი ჩაეწერა.

გერმანულიდან თარგმნა
ბიორბი ჯაბაშვილმა
ნახატი გ. კასრაძისა



შუენად „საბჭოთა სამართლებრივი“ 1959 წელს
გამომცემი მასალების სიახედი

მოწინავე წერილები

უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის
გააწყობილებები № 1, გვ. 3-7.

სკვ XXI ქრილობა და აბჭოთა დემოკრა-
ტიის შემდგომი განვითარება № 2, გვ. 3-8.

მშრომელთა დებუტატების საბჭოებ- ახალი
დღი ამოცანები წინაშე № 3, გვ. 3-9

სტატიები

თ. წერეთელი, ვ. მუაშვილი — სსო კავში-
რისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის
სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები
№ 1, გვ. 8-18

ბ. ფურცხვანიძე — ახალი კანონები სასა-
მართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძ-
ვლებისა და არსხლის სამართლის სასამართლო
წარმოების საფუძვლების შესახებ. № 1, გვ.
18-23.

ა. გელოვანი — დამცველის გარდღივი პრო-
ცესუალური როლის შესახებ საბჭოთა სისხლის
სამართლის პროცესში. № 1, გვ. 23-27

გ. სვერდლოვი — განქორწინების შესახებ
№ 1, გვ. 39-51

ა. კარანაძე — სახალხო საბჭოები, როგორც
სახელმწიფო ხელისუფლების კემსართად დე-
მოკრატიული ორგანოები № 2, გვ. 8-14

მ. ქიქოძე — ვახტანგის კანონთა საეალდებუ-
ლო ძალის საკითხისათვის XVIII საუკუნის
სამართალში № 2, გვ. 32-40

ა. ვარეშვილი — სასჯელი და სოციალური
დატვის დონისძიებები № 3, გვ. 19-25

გ. ბანძელაძე — სამართლისა და ზნეობის
ურთიერთობის საკითხისათვის № 3, გვ. 19-25

ს. ჯორბენაძე — მოუვლელი ქონების ცნე-
ბისათვის სამოქალაქო სამართლის მომავალ
კოდექსში № 3, გვ. 34-41

ა. პაიჭაძე — აუცილებელი მოგერებისა და
მოგერიების საზღვრის იდაცილების საკითხის
შესახებ № 3, გვ. 41-45

ი. სურგულაძე — საქართველოს ფეოდალ-
ური სახელმწიფო წყობილები, ფორმის საკითხი
„სახელმწიფოს კარის გარაგების“ მიხედვით № 3,
გვ. 49-54

მ. თოფურიძე — საბჭოთა კლმანიზმი № 4,
გვ. 8-14

გ. ნადარეიშვილი — სასამართლო დუელი
XVII საუკუნის თბილისში № 4, გვ. 35-42

მ. ლომიძე — საკოლდოკაციო მუშაობა ახალ
ეტაპზე № 5, გვ. 9-14

ვ. ქუჩუაშვილი — გავზარდოთ სასოფლო
საბჭოების ორგანიზატორული როლი № 5,
გვ. 14-18

ს. ბელიავსკაია — ზოგერთი საკითხი დანა-
შაულობათა თვიდან აკილების შესახებ № 5,
გვ. 18-25

ს. ჯორბენაძე — სახელმწიფო სოციალიტუ-
რი საკუთრების დამკვიდრების თავისებურ-
ბანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში № 5,
გვ. 25-34

ა. კარანაძე — უახლოესი გარდაქმნები გერ-
მანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმ-
წიფო აპარატში № 5, გვ. 34-41

ი. სურგულაძე — სულხან-საბა ორბელიანის
შეხედულება ბრალზე № 5, გვ. 41-48

ა. ფალიაშვილი — კრიმინალისტული ექა-
პეოტიზის დაკენის შეფასება სასამართლო
და საგამომიხებლო ორგანოების მიერ № 6,
გვ. 24-31

ს. ჯავარიძე — საბჭოთა კავშირ-რუმინეთის
სამართლებრივი თანამშრომლობის შესახებ
№ 6, გვ. 56-60

წინადადებანი ახალი
კანონმდებლობისათვის

ს. ჯავარიძე, გ. თარხნიშვილი, ა. ხოქოლაძე
— საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის
კოდექსის პროექტის შედგენისათვის № 1,
გვ. 51-60

ი. მიქაუტაძე — განზრახ მკვლელობის გა-
ნუტხადებლობის დასაჯობის შესახებ № 1,
გვ. 60-62

ე. ნეიძე — ზოგერთი პროცესუალური სა-
კითხის შესახებ შრომითი დავის განხილვისას
№ 1, გვ. 62-66

თ. ლილუაშვილი — წინადადებანი, რომელთა
გათვალისწინება მიზანშეწონილი იქნება სამო-
ქალაქო სამართლის მომავალ საპროცესო კო-
დექსში № 2, გვ. 40-46

შ. დარბინიანი — შემცველი მოსამართ-
ლების ინსტიტუტი მიზანშეწონილია გაუქმ-
დეს № 2, გვ. 46-49

შ. დანელია — საქართველოს სსრ საქორწი-
ლო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის
ზოგერთი მუხლი გადასინჯვას მოითხოვს № 2,
გვ. 49-52

ბ. ფურცხვანიძე — ზოგერთი პროცესუა-
ლური საკითხი, დაკავშირებული კერძო ბრალ-
დების საქმეთა განხილვასთან № 3, გვ. 54-59



ი. ღორთლიშვილი — ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ № 3, გვ. 59-61

ა. ხოჭოლავა — საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა საბინაო მშენებლობის შესახებ გაუმჯობესებას საჭიროებს № 4, გვ. 42-48

ლ. ზაიჩიკი — ზოგიერთი შენიშვნები სისხლის სამართლის სავროცესო კოდექსის პროექტზე № 4, გვ. 48-50

ქ. შარდიძე — ზოგიერთი სადაო საკითხის დადგენის შესახებ № 5, გვ. 58-61

შ. დანელია — ზოგიერთი პროცესუალური საკითხის გარკვევისათვის № 6, გვ. 60-64

ბ. ბუბაშვილი — ბინათმშენებლობისათვის მიღებული სესხის გადახდებიანების შესახებ № 6, გვ. 64.

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

მ. ვეფხვაძე — საჯამომჭებლო და ოპერატიული მუშაობათა სწორად დაგეგმვის შედეგად № 1, გვ. 27-30

ვ. ასიშვილი — პროკურორის მონაწილეობა სამოქალაქო სამართლის პროცესში № 3, გვ. 45-49

ა. საგინაშვილი — დაცვითი სიტყვა № 4, გვ. 50-57.

მ. ვეფხვაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ახალი ამოცანების წინაშე № 5, გვ. 3-9.

ვ. ასიშვილი — ზოგიერთი შენიშვნები სასამართლოებში განხილული საქმეების მიხედვით № 6, გვ. 31-34.

გ. დევდარიანი — დავიკვათ სასარჩელო განცხადებათა მიღებისა და გამხილვის წესებზე № 6, გვ. 42-45

3. შორშაძე — სასამართლო გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის ფაქტები № 6, გვ. 45-48.

საზოგადოებრიობის როლის შესახებ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში

ვ. ფარქოსაძე — საზოგადოებრიობის ღვიძლი საქმე № 4, გვ. 3-8

ი. ბურდულაძე — საზოგადოებრიობა ებრძვის დანაშაულს № 6, გვ. 21-24

%. ქუთათელი — აშანავური სასამართლო მოქმედებს № 5, გვ. 67-69.

საუბრები სახალხო მსაჯულებთან

საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესის ძირითადი ენებები № 1, გვ. 66-72

სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოში №2, გვ. 52-58

საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ძირითადი დებულებანი № 4, გვ. 58-66

წერილები და კორესპონდენციები

ლ. ჭღარკავა — საქართველოს ბუნების დაცვა საყოველთაო სახალხო საქმეა № 1, გვ. 30-33

ს. რასტი — პროფკავშირებში მუშაობის მდებლობის სადარაჯოზე № 2, გვ. 8-13

ბ. კიზირია — შშობლის მოვალეობა ბავშვს სწავლებისა და აღზრდის საქმეში № 2 გვ. 20-23.

გ. დევდარიანი — შესამე პირთა სარჩელებზე აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიკტვის შესახებ № 2, გვ. 28-32

ა. ნოდია — სასჯელისგან ვადამდე განთავსუფლების შესახებ № 4, გვ. 14-22

რ. ქოლოშვილი — კოლმეურნეობებიდან სოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დატაცების სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და გამოძიების დაგეგმვის თავისებურებანი № 4 გვ. 22-28

მ. ვეფხვაძე — ტერორისტოდ და უნებართლო აგებული შენობების თაობაზე აღძრული დავების განხილვის საკითხისათვის № 4, გვ. 33-35

ა. შაპირო — ახალი დებულებები მოწოდებათა შესახებ № 6, გვ. 34-38

ვ. კეკელია — ადვოკატის დაცვითი სიტყვა № 6, გვ. 38-42

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ა. შიხლინი, ს. შლიკოვი — პირადი ქონების ვატაცებისა და ყაჩაღობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ № 2 გვ. 58-63

გ. ინწკირველი — მნიშვნელოვანი ნაშრომები № 4, გვ. 66-71

სხვადასხვა

ი. სურგულაძე — ტერმინი „ცდა“ და მისი მნიშვნელობა № 1, გვ. 33-39

%. მესხენგისერი — ბურჟუაზიული კულტურის დანაშაულობათა სათავეა № 3, გვ. 61-65

შ. რაბაქიძე, %. მესხენგისერი — „საქმიანო ხალხის „მოღვაწეობა“ დასრულდა № 4 გვ. 71-75

%. მესხენგისერი — კომინატორები ჯაღოსნურ ხალიჩებით № 5, გვ. 70-72.

აკადემიკოსი ა. კ. ვენედიქტოვი საკანონმდებლო აქტები

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძველებზე პროექტი № 6, გვ. 4-21

ახალი კანონმდებლობაში № 5, გვ. 61-66 № 6, გვ. 65-75

სასამართლო პრაქტიკა — № 2, გვ. 71-74 № 3, გვ. 74-80, № 4, გვ. 82-88, № 5, გვ. 77-80, № 6, გვ. 75-80

სახალხო დემოკრატიის კვებებში № 2, გვ. 66-70

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას № 1, გვ. 72, № 2, გვ. 63-66, № 3, გვ. 65-68, № 4, გვ. 80-82

ინფორმაცია — № 1, გვ. 77, № 2, გვ. 70-73, № 3, გვ. 68-74, № 5, გვ. 73-77.

სარედაქციო კოლეგია:

მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. ვეფხვაძე, მ. თოფურიძე,
გ. ინწკირველი, თ. კაციტაძე (რედაქტორის მოადგილე),
თ. წერეთელი.

გადაეცა წარმოებას 3/II-60; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/III-60 წ;
ანაწყობის ზომა 7×12; ქალაქის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 7,5
ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 5,5.

შეკვ. № 167.

ტირაჟი 3.200

შე 00760.

საქ. კვ ც კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Полиграфкомбинат „Комунისტი“ Издательства ЦК КП Грузии
г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда, Прокуратуры и юридической комиссии
при Совете Министров Грузинской ССР